საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

პიტრე მედია

ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
29 მაისი **ოთხშაბათი** 2013
№124 (14 040) ფასი 80 თეთრი



## ფინიშის ხაზზე სუპერთასია

დღეს საკალათბურთო სეზონი დასრულდება

12

29 მაისი, 18:00 თბილისი. სპორტის სასახლე

**ოლიმპი-შსს აკადემია**

# ზოგი ბანქს უვარდება სამშობლოსთვის ზოგს თამაში არ უნდა

თემურ ქეცბაიას პრესკონფერენცია

2-3



თემურ ქეცბაია

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო



მასარო (მარცხნივ) და ბარეზი

## ბარეზი: მე და მასაროც მოვფრინავთ!

3



3

გია გეგუჩაძე

25 მაისს რომ დავწერეთ, დღეს ოფიციალურად დადასტურდა:

## გეგუჩაძე ქუთაისში აღარ იმუშავებს

# გრიგალაშვილის გამო...

## სკა-ენერგიამ შეიძლება, უმაღლესში გადასვლის შანსი დაკარგოს



შოთა გრიგალაშვილი (მარჯვნივ)

„სპორტ ექსპრესის“ ინფორმაციით, უახლოეს დღეებში რუსეთის საფეხბურთო კავშირის სადისციპლინო კომიტეტი **შოთა გრიგალაშვილის** საქმეს განიხილავს, რის გამოც, შესაძლოა, ყველაფერი თავდაყირა დადგეს და „სკა ენერგიას“ უმაღლესში გადასასვლელ პლეი-ოფში თამაშის უფლება ჩამოერთვას.

2012/13 წლის სეზონში 26 წლის შოთა გრიგალაშვილს სამ კლუბში თამაში ბრალდება, ეს კი ფიფას წესებით დაუშვებელია. ზაფხულში გრიგალაშვილი „დილაში“ გამოდიოდა, შემოდგომით - „ალანიაში“ გადავიდა, ხოლო იანვარში ხაბაროვსკელთა რიგებში აღმოჩნდა. რეგლამენტის მიხედვით, 8-ვე თამაშში, რომელშიც ქართველმა მიიღო მონაწილეობა, „სკა-ენერგიას“ 0:3 უნდა ჩაეთვალოს. ასე რომ, შეიძლება **გიორგი დარასელიას** გუნდმა აღზევების შანსი დაკარგოს

ნიკოლოზ ნეფარიძე

ლეგენდარული ალპინისტი

## ბენო ქაშაკაშვილი

13



ბენო ქაშაკაშვილი

## ...შუადღისთვის მწვერვალზე ვიყავით და ქართული დროშაც ავაფრიალეთ. ეს ქართული ალპინიზმის დიდი გამარჯვება იყო

ტორპედო


გია გეგუჩაძე (მარცხნივ) და ლევან ფხაკაძე

# ქუთაისელთა ახალგაზრდული და ესპანური კურსი

**"ტორპედოსა" და გია გეგუჩაძის გზები გაიყარა – ამის შესახებ რამდენიმე დღის წინ გახდა ცნობილი. ქუთაისური კლუბის ხელმძღვანელობამ გუნდის კიდევ უფრო გაახალგაზრდავება გადაწყვიტა და ესპანელი მთავარი მწვრთნელი მოიწვია. "ტორპედოს" ამიერიდან ჟერარდ სარაგოსა მულეტი და ალბერტო ბეროკალ კორეა გაწვრთნიან, რომლებმაც გასული სეზონი თბილისის "ლოკომოტივში" გაატარეს.**

**"ტორპედო" აქცენტს იმ ფეხბურთელებზე გააკეთებს, რომლებმაც შარშან საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალამდე მიაღწიეს. ფეხბურთელთა უმეტესობას იმერული კლუბი "ლოკომოტივიდან" დაიმატებს, კონტრაქტები ასევე გაუფორმდებათ გორის "დილასა" და საზღვარგარეთიდან დაბრუნებულ ახალგაზრდებს.**

**გუშინ "ტორპედოს" სპონსორის, კომპანია "ვისოლის" ოფისში პრესკონფერენცია გაიმართა, სადაც მედიის წინაშე "ტორპედოს" პრეზიდენტი ლევან ფხაკაძე და გუნდის აწ უკვე ყოფილი მთავარი მწვრთნელი გია გეგუჩაძე წარდგნენ.**

**ლევან ფხაკაძე:**

- უპირველესად, ჟურნალისტებს დიდ მადლობას გიხდით იმ ინტერესისა და დამოკიდებულებისთვის, რაც "ტორპედოს" მიმართ გაგაჩნიათ.

როგორც იცით, უკვე სამი წელიწადია, რაც ერთ-ერთ ყველაზე ტრადიციულ და ლეგენდარულ ქართულ კლუბზე ვზრუნავთ. მიგვაჩნია, რომ კლუბი ყოველწლიურად პროგრესირებს. შესაძლოა, გასულ სეზონში უფრო მეტი ამბიცია გვქონდა, მაგრამ ზედიზედ მეორედ საპრიზო სამეულში მოხვედრა და ევროპის ლიგის საგზურის მოპოვება წარმატებად მიგვაჩნია.

ძალიან ბევრი ვიფიქრეთ, როგორ უნდა გაგრძელებულიყო "ტორპედოს" განვითარების პროცესი და გუნდის კიდევ უფრო გაახალგაზრდავება დავისახეთ მიზნად. "ტორპედოს" მოთამაშეთა საშუალო ასაკი 22 წელი იქნება, რაც იდეალურ ასაკად მიგვაჩნია მნიშვნელოვანი წარმატებების მიღწევისთვის. დიდი იმედი გვაქვს, რომ ამას ესპანური სამწვრთნელო შტაბისა და ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალისტი ჩვენი 17-წლამდელებით შევძლებთ. ამ თაობამ დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში უპრეცედენტო წარმატებას მიაღწია, ამ ბიჭებს ნდობა და თანადგომა სჭირდებათ, მათი კარიერისთვის უმაღლეს ლიგაში თამაში აუცილებელია...

უახლოეს დღეებში კონტრაქტს გავუფორმებთ იმ გუნდის 12-13 ფეხბურთელს. ამავდროულად, "ტორპედოში" დარჩება იმ ფეხბურთელთა ნაწილი, რომლებიც გუნდის ღირსებას გასულ სეზონში იცავდნენ. იმედი გვაქვს, სასარგებლო და შედეგიანი შერწყმა გამოვა. მოკლედ, საკმაოდ ძირეულ ცვლილებებს ვახორციელებთ და მიგვაჩნია, რომ ეს სწორი გზაა.

ახალწვეულების პრეზენტაციას ორი კვირის ფარგლებში მოვაწყობთ. დასაკარგი დრო არ გვაქვს, შეკრება და ევროტურნირები კარსაა მომდგარი.

დიდ მადლობას გადავუხდი გია გეგუჩაძეს, რომელმაც "ტორპედოსთვის" ძალიან ბევრი რამ გააკეთა. იგი საქართველოს ერთ-ერთ საუკეთესო მწვრთნელად მიმაჩნია და ძალიან ვაფასებთ მის მიერ გაწეულ შრომას. გიასთან ერთად, მადლიერებით ვემშვიდობებით მის ასისტენტებს, დავით ჯანელიძესა და გურამ ასპინძელაშვილს და სამომავლო კარიერაში წარმატებებს ვუსურვებთ.

**- ევროთასებზე წარმატების რა შანსი გაქვთ?**

- იქიდან გამომდინარე, რომ არაერთ ძველ ფეხბურთელს ვინარჩუნებთ, იმედი გვაქვს, რომ გამოცდილი და ახალგაზრდა მოთამაშეების სინთეზი ევროპის ლიგაზეც მოგვიტანს შედეგს.

**- ვასილ მაისურაძესთან ხომ არ აპირებთ თანამშრომლობას?**

- მასთანაც და გიორგი დევდარიანთანაც კონსულტაციების სახით მჭიდრო კონტაქტი გვექნება, შემდგომში კი არაფერია გამორიცხული.

**გია გეგუჩაძე:**

- ჩემთვის დიდი პატივი იყო ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეული ქართულ კლუბში მუშაობა. ჩემი და ჩემი სამწვრთნელო შტაბის სახელით მადლობას ვუხდი "ტორპედოს" ხელმძღვანელებს, ამის საშუალება რომ მოგვცეს. ეს ჩემს კარიერაში მნიშვნელოვანი და საინტერესო პერიოდი იყო, რამაც უდიდესი გამოცდილება შემძინა. დიდი მადლობა "ტორპედოს" გულშემატკივრებს, რომლებიც გუნდს ყოველთვის, ნებისმიერ ვითარებასა და ამინდში ერთგულად ედგნენ მხარში. გულში ხინჯად მრჩება, რომ "ტორპედოსთან" ერთად უფრო მეტ წარმატებას ვერ მივაღწიე...

ჩემთვის სრულიად გასაგებია კლუბის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება და მას მივესალმები. "ტორპედოს" წარმატებებს ვუსურვებ.

**- თქვენს სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვით?**

- ჯერჯერობით, ვერაფერს. ჯერ დავისვენებ და დანარჩენს დრო გვიჩვენებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ნაკრები

# თემურ ქეცბაია: მარტო ენის ტლიკინი არ კმარა, სამშობლოს საქმე სჭირდება!

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა გუშინ საღამოს ტექნიკურ ცენტრ "ბასაზე" ღია ვარჯიში ჩაატარა. **თემურ ქეცბაიას** განკარგულებაში მყოფი ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელადაა. შეგახსენებთ, ჩვენი ეროვნული გუნდი ირლანდიასა და დანიაში გასამართი ამხანაგური მატჩებისთვის ემზადება. პირველი შეხვედრა 2 ივნისს გაიმართება, მეორე – 5 ივნისს. ქართული დელეგაცია დუბლინში დღეს გაფრინდება.

რაც შეეხება საქართველოს ნაკრების შემადგენლობას, ქეცბაიას რჩეულთა სიაში ცვლილებები, უფრო ზუსტად კი, დანაკლისია. ეროვნული გუნდის თავკაცს 28 მოთამაშე ჰყავდა გამოძახებული, ხუთი მათგანი ირლანდია-დანიაში არ ჩავა:

**ალექსანდრე ამისულაშვილს**, რომელიც რუსული "კრილია სოვეტოვის" ღირსებას იცავს, პრემიერლიგაში დასარჩენი პლეი ოფი ელის;

**ლევან მჭედლიძის** "ემპოლი" იტალიის სერია A-ში გადასასვლელად იბრძვის და ასევე პლეი ოფში თამაშობს;

**თორნიკე ოქრიაშვილი**, ოფიციალური ინფორმაციით, გადაღლილია და არასათანადო ფორმაშია;

**ელგუჯა გრიგალაშვილი** სავიზო პრობლემების გამო ვერ ახერხებს ნაკრებთან ერთად გამგზავრებას;

**ლევან ყენიას** ქორწილი აქვს.

ცნობისთვის, 2 და 5 ივნისი ფიფას მიერ დადგენილი სანაკრებო დღეები არ არის და სწორედ ამიტომ, კლუბებს, რომლებსაც ოფიციალური მატჩები ელით, სრული უფლება აქვთ, ფეხბურთელები ნაკრებში არ გაუშვან.

თბილისურ შეკრებაზე ვერ ჩამოვიდა **დავით დევდარიანი**, მაგრამ იგი ნაკრებს დუბლინში შეუერთდება.

საბოლოოდ, საქართველოს ნაკრების სიამ ასეთი სახე მიიღო:

მეკარეები: **გიორგი ლორია** (დინამო, თბილისი), **როინ კვასხვაძე** (ზესტაფონი), **ომარ მიგინეიშვილი** (ტორპედო);

მცველები: **უჩა ლობჟანიძე** (კრივბასი, უკრაინა), **ზურაბ ხიზანიშვილი** (ქაისერისფორი, თურქეთი), **დავით კვირკველია**, **გულვერდ თომაშვილი** (ორივე – დილა, გორი), **გურამ კაშია** (ვიტესი, ჰოლანდია), **გიორგი ფოფხაძე** (ბაქო, აზერბაიჯანი), **აკაკი ხუბუტია** (მორდოვია, რუსეთი), **სოლომონ კვირკველია** (რუბინი, რუსეთი), **მამუკა კობახიძე** (ალანია, რუსეთი);

ნახევარმცველები: **მურთაზ დაუშვილი** (კარპატი, უკრაინა), **ჯაბა კანკავა**, **ალექსანდრე კობახიძე** (ორივე – დნიპრო, უკრაინა), **ჯანო ანანიძე** (სპარტაკი მ. რუსეთი), **დავით თარგამაძე** (ილიჩევეცი, უკრაინა), **მერაბ გიგაური** (ტორპედო, ქუთაისი), **ირაკლი მაისურაძე** (დილა, გორი), **ირაკლი ძარია** (დინამო, თბილისი), **დავით დევდარიანი** (ორჰუსი, დანია), **თორნიკე გორგიაშვილი** (ზესტაფონი);

თავდამსხმელი: **ნიკოლოზ გელაშვილი** (ბოხუმი, გერმანია).

■ ■ ■

ვარჯიშამდე "ბასას" საკონფერენციო დარბაზში ქეცბაიას პრესკონფერენცია გაიმართა, სადაც ნაკრების თავკაცმა ემოციური განცხადებები გააკეთა.


თემურ ქეცბაია

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

**თემურ ქეცბაია:**

- უკვე ერთი კვირაა, რაც ნაკრების შეკრება დაიწყო, თუმცა სრული შემადგენლობით მაინც ვერ შევიკრიბეთ. კიდევ კარგი, 28 ფეხბურთელი გამოვიძახეთ, თორემ მოახლოებული მატჩების ჩასატარებლად საჭირო კონტინგენტი ვერ შეგროვდებოდა. ზოგი ფეხბურთელი საპატიო, ზოგიც არასაპატიო მიზეზით დაგვაკლდა. ისლა დაგვრჩენია, ფონს არსებული კადრებით გავიდეთ. თავის გამოჩენის საშუალება რამდენიმე ახალ ფეხბურთელს მიეცემა. ნაკრებში გამოძახებულთა უმრავლესობას ირლანდიასა და დანიაში თამაში მოუნდება.

სამწუხაროდ, აქ ისე არ ხდება, როგორც სხვა ქვეყნებში მინახავს – სხვაგან ეროვნულ ნაკრებში გამოძახება ფეხბურთელისთვის უდიდესი პატივია, ზოგი ჩვენი ფეხბურთელისთვის კი ასე არ არის. ნაკრებში ჩამოსვლისგან ისინი თავის არიდებას ცდილობენ. ფეხბურთელისთვის მთავარი ფეხბურთი უნდა იყოს, მით უმეტეს მაშინ, როცა საქმე ნაკრებს ეხება. ამის მაგივრად, ჩვენი ნაკრების ზოგი წევრი სანაკრებო მატჩების დროს პირად საქმეებს აგვარებს.

არის ხალხი, ვინც სამშობლოს გამო ტანკს უვარდება, და არიან ისეთებიც, რომლებსაც ფეხბურთის თამაში არ უნდათ! მარტო ენის ტლიკინი არ არის საკმარისი, სამშობლოს საქმე სჭირდება! პირადად მე ნაკრებში სათამაშოდ ყოველთვის განსაკუთრებული მონდომებით ჩამოვდიოდი, ზოგისთვის კი ნაკრები მეათეხარისხოვანია.

ორი გასვლითი და მეტად საინტერესო შეხვედრა გველის. ცუდია, რომ ამხანაგური მატჩების აბსოლუტურ უმრავლესობას სტუმრად ვატარებთ, მაგრამ რა გაეწყობა.

**- ამ ორი მატჩის მთავარი მიზანი რა არის?**

- ოფიციალური შეხვედრებისთვის მომზადება. დაზუსტებით შემიძლია გითხრათ, რომ საქართველოს ნაკრების სათამაშო სქემა არ შეიცვლება.

**- ლადო დვალიშვილის თამაში გამორიცხულია?**

- დიახ, რადგან პოლონეთის ჩემპიონატის დასრულებამდე კიდევ ორი ტურია დარჩენილი. მართალია, "ლეგიამ" ჩემპიონობა უკვე გაინაღდა, მაგრამ კლუბი დვალიშვილის ნაკრებში გამოშვებაზე უარს აცხადებს. სხვათა შორის, ვარშავაში რამდენიმე დღის წინ ვიყავი და მის თამაშს დავესწარი.

**- იმ ფეხბურთელებს, რომლებიც ნაკრების თამაშებს არასაპატიო მიზეზებით აცდენენ, ოფიციალური მატჩებისთვის მაინც გამოიძახებთ?**

- ნორმალურ ქვეყანაში მსგავს საქციელს არავის აპატიებდნენ, მაგრამ იძულებული ვარ, ბევრ რამეზე თვალი დავხუჭო, რადგან კვალიფიციური ფეხბურთელების დიდი არჩევანი არ გვაქვს.

**- ჯაბა დვალისთვის ნაკრების კარი საბოლოოდ დაიხურა?**

- ნაკრების კარი არავისთვისაა დახურული. ბევრ კანდიდატს ევროტურნირების მატჩებშიც დავაკვირდები. ცუდი ტენდენციაა, რომ ბევრი ის ფეხბურთელი, რომლებიც ერთი-ორი წლის წინათ კარგ ფორმაში იყვნენ, რეგრესს განიცდიან.

**- თბილისის "დინამოს" ესპანელმა ლიდერმა ჩისკომ საქართველოს ნაკრებში თამაშის სურვილი გამოთქვა.**

- მოდით, ჩამოწერილ ფეხბურთელებზე ნუ ვისაუბრებთ.

**- საქართველოს ასაკობრივი ნაკრებების ბოლოდროინდელ ასპარეზობაზე რას იტყვით?**

- მოხარული ვარ, რომ ჩვენი ჭაბუკები ასე წარმატებულად ასპარეზობენ. ცუდი კი ის არის, რომ მათ ჩვენს უმაღლეს ლიგაში თავის გამოჩენის საშუალება არ ეძლევათ. სამწუხაროდ, ჩემს ინიციატივას კლუბების მხრიდან განსაკუთრებული გამოხმაურება არ მოჰყოლია.

**ლევან ჯანეზაშვილი**

პროექტი დასრულდა

# გაგრძელდება კომენტატორი?

პროექტი "კომენტატორი" მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში წარმატებული საფეხბურთო შოუა. საზოგადოებრივი მაუწყებლის 1-ელმა არხმა ამ პროექტის განხორციელება ქართული ფეხბურთის პოპულარიზაციის მიზნით გადაწყვიტა. სწორედ აქედან გამომდინარეობდა გაზეთ "ლელოს" სურვილი, რომ გამხდარიყო პროექტის საინფორმაციო მხარდამჭერი.

თავდაპირველად კონკურსში 83 კონკურსანტი მონაწილეობდა. მათ კონკრეტული მატჩის რამდენიმეწუთიანი ფრაგმენტის კომენტირება უწევდათ. ყოველი ტურის შემდეგ, მომდევნო ეტაპზე მხოლოდ საუკეთესოები გადადიოდნენ, გამარჯვებულს კი ჟიურის წევრები ადგენდნენ: რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობი **სოსო ლალიძე**, პირველი არხის სპორტული კომენტატორი **დავით მინაშვილი** და ვეტერანი ფეხბურთელი **დავით მუჯირი**.

საბოლოოდ, პროექტს **ლევან ჩხაიძე** და **ნოდარ სიმსივე** შემორჩნენ – უდავოდ ნიჭიერი და პერსპექტიული კომენტატორები. მათ ფინალში რთული დავალებების შესრულება მოუხდათ: ეროვნული თასისა და უცნობი მატჩის 5-წუთიანი ეპიზოდების კომენტირება და მინი-ვიქტორინა.

საბოლოოდ, ჟიურიმ გამარჯვებულად ლევან ჩხაიძე გამოაცხადა, რომელთანაც საზოგადოებრივი მაუწყებელი ერთწლიან კონტრაქტს გააფორმებს. მეორე ადგილზე გასული ნოდარ სიმსივე კი 2013 წლის სუპერთასს პრაღიდან პირდაპირ ეთერში დავით მინაშვილთან ერთად გაუძღვება. პლუს, ორივე ფინალისტი ერთი წლის განმავლობაში უფასოდ მიიღებს გაზეთ "ლელოს". დაჯილდოვდნენ საუკეთესო მონაწილე გოგონა, ვებგვერდის საშუალებით გამოვლინდა ხალხის სიმპათია – ერთ-ერთი პრიზი კი ჩვენს კოლეგას, **ეკა ელოშვილს** ერგო.

ლევან ჩხაიძე: *"ასეთ ფინალს ვერასოდეს წარმოვიდგენდი. მადლობა საზოგადოებრივ მაუწყებელს, ჩემს გულშემატკივრებსა და კონკურსანტებს. ბედნიერი ვარ, ბევრი კარგი ადამიანი რომ გავიცანი და დავმეგობრდით. მიმაჩნია, რომ ეს პროექტი უნდა გაგრძელდეს, რადგან საქართველოში ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა კომენტატორია და მათაც უნდა იგრძნონ ის სიხარული, რაც დღეს მე განვიცადე".*

ნოდარ სიმსივე: *"უპირველესად, ლევანს ღირსეულ გამარჯვებას ვულოცავ. დარწმუნებული ვარ, ის ამ ერთი წლის განმავლობაში კომენტატორობას თავს ღირსეულად გაართმევს. მე კი იმითაც ბედნიერი ვარ, მეგობრები რომ შევიძინე და ცხოვრების წიგნი ლამაზი ფურცლით გავამდიდრე".*

დავით მინაშვილი: *"მონაწილეთა უმრავლესობამ მიუთითა, რომ მათი ოცნება კომენტატორობა იყო და ჩვენ ეს ოცნება ავუსრულეთ. მიმაჩნია, რომ წარმატებული პროექტი იყო. ჯერ მხოლოდ იმიტომ, რომ მონაწილეები დამეგობრდნენ. რაც მთავარია, ნიჭიერი ახალგაზრდების მთელი ჯგუფი გამოჩნდა. იმედია, რომ "კომენტატორი" მომავალი წელსაც გაგრძელდება".*

**მერაბ მამულაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტუაცია

# ჩიხურა კერძოა, მაგრამ მაინც ელოდება


ჩიხურაში ჯერ არ იციან, რა ბიუჯეტი ექნებათ დამდეგი სეზონისთვის

საჩხერის „ჩიხურა" მუნიციპალური კლუბი არ არის, „ქართუ ჯგუფი" აფინანსებს, თუმცა კლუბში ჯერ არ იციან, რა ბიუჯეტი ექნებათ დამდეგი სეზონისთვის.

„ჩიხურა" 2011/12 წლების სეზონისთვის აღზევდა უმაღლეს ლიგაში და დებიუტანტის კვალობაზე დიდ წარმატებასაც მიაღწია - ჩემპიონატში მეოთხე ადგილი დაიკავა და დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის გათამაშების ფინალშიც გავიდა, რითაც ევროპა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა.

„ჩიხურამ" კი შეიმუშავა მომდევნო სეზონისთვის მზადების გეგმა, მაგრამ ამის იქით ვერ მიდის - ეს კლუბიც იმას ელოდება, თუ რა პროგრამას შეიმუშავებს და დაამტკიცებს ქვეყნის მთავრობა საკლუბო ფეხბურთის განვითარებისთვის.

„ჩიხურადან" ჯერ არც ერთი ფეხბურთელი არ წასულა, იჯარის ვადა დაუსრულდა „დინამო თბილისისგან" ნათხოვარ 25 წლის მცველ **გიორგი რეხვიაშვილს**, თუმცა „ჩიხურაში" გვითხრეს, „დინამო" წინააღმდეგი არ არის, რეხვიაშვილმა ისევ ჩვენთან ითამაშოსო.

რეხვიაშვილის დარად იჯარის ვადა 32 წლის ნახევარმცველ **დავით ოდიკაძესაც** ამოეწურა, ვისაც იმავდროულად კონტრაქტიც დაუმთავრდა „დინამოსთან".

„ჩიხურა" ბირთვის შენარჩუნებასა და გაძლიერებას კი აპირებს, თუმცა უმეტესი ქართული გუნდების მსგავსად მოლოდინის რეჟიმშია.

**დავით თავართქილაძე**

კალაძის გამოსამშვიდობებელი მატჩი


ფრანკო ბარეზი


დანიელ მასარო

# მასარო, ბარეზი, ტონი და კოუტუ მოდიან

**კახა კალაძის** გამოსამშვიდობებელი მატჩის ორგანიზატორმა **დავით მუჯირმა** ბოლო პრესკონფერენციაზე ბევრი სიახლე გაამხილა. თუმცა, 31 მაისს „დინამო არენაზე" „მილანისა" და კახას მეგობრების გუნდების სრული შემადგენლობა უცნობი იყო.

მუჯირის თქმით, კიდევ რამდენიმე ჩამომსვლელის ვინაობა დაზუსტდა: *"ბევრი მოთამაშე დაგვემატა, ზოგიერთის ჩამოსვლა კი ველარ ხერხდება. მაგალითად, 1 ივნისს "რეალი" "ოსასუნას" იღებს და კაკა ვერ ჩამოდის. სამაგიეროდ, დაგვემატებიან დანიელ მასარო, ფრანკო ბარეზი, პიერო ვერხოვოდი, ფაბიო გროსო, ლუკა ტონი, ფერნანდო კოუტუ. კიევიდან მოდიან ანდრეი შევჩენკო, სერგეი რებროვი, ანდრეი გუსინი, ალექსანდრე შოვკოვსკი და ვლადისლავ ვაშჩუკი. შემიძლია მსაჯის ვინაობა გაგიმხილოთ - თამაშს სლოვაკი ლუბოშ მიხელი გაუძღვება. გვერდითი არბიტრები კი, სავარაუდოდ, ქართველები იქნებიან. ცნობილია მონაწილე ქართველების სიაც, მაგრამ ამას პატარა საიდუმლოდ შევინახავ".*

საორგანიზაციო კომიტეტის საინფორმაციო ჯგუფის ცნობით, დღეს, 29 მაისს, "დინამო არენაზე" ჟურნალისტებისთვის აკრედიტაციის თემაზე პრესკონფერენცია გაიმართება, სადაც განიხილება მედიის მუშაობის პირობები.

30 მაისს 22.30 საათზე დავით მუჯირი და კალაძის მეგობრების გუნდის რამდენიმე ფეხბურთელი პრესკონფერენციას გამართავენ, 23.00-ზე კი კალაძის მეგობრების გუნდის ღია ვარჯიში დაიგეგმა.

**მერაბ მამულაშვილი**

ფუტსალი

# იბერია ბოლო ტურში არ გამოცხადდა

## პორტუგალიის ნაკრების კაპიტანი სოკარში!

საქართველოს ფუტსალის მე-20 ეროვნული ჩემპიონატი დასრულდა. ბოლო ტურში "სტუ თელასმა" "სოკართან" შეხვედრა 3:9 წააგო. თსუ-სა და "იბერიას" მატჩი კი ჩაიშალა, რადგან საქართველოს ჩემპიონი და უეფას ოთხთა ფინალისტი არ გამოცხადდა და 0:5 ჩაეთვალა. ძალიან დასანანია, რომ ეს შეემთხვა კლუბს, რომელმაც საქართველოს უდიდესი სიხარული მიანიჭა.

სენსაციური ტრანსფერით ბოლო ტურში თავი "სოკარმა" გამოიჩინა. კლუბის ფორმა პირველად მოირგო **არნალდუ პერეირამ**: ის უდავოდ მაღალი კლასის მოთამაშეა, არის პორტუგალიის ნაკრების მოქმედი კაპიტანი და ოქტომბერში ლისაბონში საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ ითამაშა. 2002-2006 და 2007-2012 წლებში ლისაბონის "ბენფიკაში" თამაშობდა, ბოლოს კი ლატვიის ჩემპიონისა და თასის მფლობელის, "ნიკარსის" ღირსებას იცავდა. 2010 წელს ლისაბონელთა შემადგენლობაში უეფას თასის მფლობელი გახდა.

... ჩემპიონატის გამარჯვებულთა და საუკეთესოთა დაჯილდოება სპორტკომპლექს „ქარიშხალაში" მოეწყო. „იბერია სტარმა" კვლავ იზეიმა ჩემპიონობა, ხოლო მეორე-მესამე ადგილები თსუ-მ და „სოკარმა" გაინაწილეს.

საუკეთესო მეკარედ „იბერია სტარის" ბრაზილიელი **სელიო** აღიარეს, უპირველეს მოთამაშედ „იბერია სტარის" წევრი - **ალექსანდრე ძაბირაძე**. ტურნირის ბომბარდირი კი „სოკარის" ფეხბურთელი **გიორგი ტიკურიშვილი** გახდა (26 გოლი).

ასე დასრულდა ამბავი, რომლის გაგრძელებაც ჯერ არავინ უწყის. მაგრამ იმედია, მომავალი სეზონის დაწყებამდე "იბერიასაც" ეშველება, "სოკარიც" გაძლიერდება და იქნებ, ძლიერი ჩემპიონატი ვიხილოთ. ფუტსალის ასოციაციის გენერალური მდივნის, **ბექა კვიციანის** თქმით, ლიგაში თამაში რამდენიმე გუნდს სურს: *"არნალდუს გარდა, "სოკარის" ხელმძღვანელობა მომავალ ჩემპიონატში კიდევ რამდენიმე ტოპკლასის ლეგიონერებით გაძლიერებას გეგმავს. კლუბში ითამაშეს საზღვარგარეთ გამოცდილებამიღებულმა დევდარიანმა, თოთლაძემ, ზოიძემ, კეფაშვილმა. ჩემპიონატის საუკეთესო გოლეადორის ტიტული სწორედ "სოკარის" მოთამაშე ტიკურიშვილი გახდა. გუნდს წარსულში ეროვნული ნაკრების ლიდერები ალექსიძე და სოლოღაშვილი ავარჯიშებენ.*

*საერთოდ, გაგვიჩნდა იმედი, რომ მომავალ სეზონში ჩემპიონატში 10 გუნდი ითამაშებს. გამოსვლის სურვილი გამოთქვეს გორელებმა, ქუთაისის "ჯუნგლებმა" და შესაძლოა, დედაქალაქის კიდევ ორი კლუბი, "გრანდი" და "თბილისი" დაგვემატოს. მალე სფა-ს საპატიო პრეზიდენტი კახა დევდარიანი "სამცხეს" ხელმძღვანელობას შეხვდება და ახალციხელების გამოსვლის საკითხი ამ მოლაპარაკების შემდეგ გახდება ცნობილი.*

*ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე "თელასი" 3 ივნისს გურიაში შეკრებას გაივლის. ხოლო 16 ივნისიდან მოსკოვის ტურნირზე მიიღებს მონაწილეობას. ერთი წლის წინ კლუბმა იგივე ტურნირზე ვერცხლი მოიპოვა.*

*სავარაუდოდ, სახელს შეიცვლის GIEC, რომელსაც ნაკრების ყოფილი თავკაცი, პეტრე თაბუკაშვილი წვრთნის - კლუბი მოლაპარაკებას საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტთან აწარმოებს. ძალიან საწყენია, რომ "იბერია სტარს" პრობლემები შეექმნება, რადგან სწორედ ამ კლუბის დამსახურებაა, ჩვენი ფუტსალი პოპულარული რომ გახდა და მსოფლიოში გაიცნეს. მაგრამ იმედია, გუნდის ხელმძღვანელები პრობლემებს მოაგვარებენ".*

"იბერია სტარის" საკითხზე "ლელოსთან" კომენტარი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა **ლევან ყიფიანმა** გააკეთა: *"იბერია სტარის" ხელმძღვანელებთან კლუბის პერსპექტივები უნდა განვიხილოთ. საწყენია, რომ კლუბს უჭირს, მაგრამ ასეა მთელი ქვეყანა და ამ პრობლემების მოგვარებას დრო სჭირდება და მეორეცაა – როგორ უნდა დაეხმაროს სახელმწიფო კერძო კლუბს? ბიზნესიც არ აქტიურობს, რადგან ფეხბურთის სახელი შელახულია. ფეხბურთისკენ რომ გამოიხედონ, უპირველესად, ეს ფედერაციამ უნდა მოახერხოს და გაფუჭებული სახელი გამოაკეთოს. თუმცა, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, "იბერია სტარის" პრობლემები რომ მოგვარდეს".*

**მერაბ მამულაშვილი**

● საქართველოს XXIV ჩემპიონატი. სეზონის შეჯამება. დილა

# მოვერცხლილი ისტორია

საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში ერთ-ერთი „სტაჟიანი“ წევრისათვის (მხოლოდ ოთხი ჩემპიონატი აქვს გამოტოვებული) გასული სეზონი, უდავოდ წარმატებულად უნდა შეფასდეს: „დილა“ პირველად მოხვდა სამეულში და ვერცხლის მედლების მფლობელი გახდა. ჰო, აქამდე ხომ გუნდი, ტრადიციულად, VIII-X ადგილებზე ამთავრებდა სეზონს (ერთადერთხელ გავიდა VI ადგილზე), თუმცა ბოლო ორი წლის განმავლობაში კლუბში სასიკეთო ძვრები მოხდა და შარშან თუ საქართველოს თასის მოპოვებით გაიხარეს გორელმა გულშემატკივრებმა, ახლა უკვე ჩემპიონატში უჩვენეს საუკეთესო შედეგი. თანაც, არ დაგვავიწყდეს, რომ XXIV ჩემპიონატის დაწყების წინ გათამაშების რეალური ფავორიტის, თბილისის „დინამოს“ უპირველეს და ლამის ერთადერთ კონკურენტად სწორედ „დილა“ მიიჩნეოდა; ასეც მოხდა: რამდენიმე ხელისშემშლელი ფაქტორის მიუხედავად, „დილამ“ შეძლო და „დინამოს“ მართლაც სერიოზული კონკურენცია გაუწია; თუმცა, არაერთი საფეხბურთო თუ არასაფეხბურთო ნიუანსების გათვალისწინებით, „დილა“ ჯერ არ იყო „საჩემპიონო გუნდი“, მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, გასული სეზონი, უდავოდ, წარმატებულად უნდა მივიჩნიოთ. აქვე, პოლიტიკური კატაკლიზმებიც უნდა ვახსენოთ: 2012 წლის პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე „დილას“, ეგრეთ წოდებული, ხელშეუხებელი გუნდის „სტატუსი“ ჰქონდა! შეგახსენებთ, რომ 2011 წლის შემოდგომიდან გორელთა გუნდის პატრონობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ითავა; მეურვეების ხელშეწყობით გუნდი ფინანსურადაც მოძლიერდა და, რაც მთავარია, ერთიმეორეზე უკეთესი ფეხბურთელებითაც. არანაკლები კი არა, ალბათ, გადამწყვეტი ფაქტორი იყო კლუბის მმართველ სტრუქტურაში რუსეთში მოღვაწე ცნობილი ქართველი მენეჯერის **მამუკა ჯულელის** გამოჩენაც! ოფიციალურად, ჯულელს, შესაძლოა არანაირი თანამდებობა არც ჰქონდა „დილაში“, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ სწორედ მისი თხოვნით დაბრუნდნენ საქართველოში და გორელთა გუნდში გააგრძელეს კარიერა რუსეთში მოთამაშე ქართველ ლეგიონერთა სოლიდურმა ჯგუფმა. არადა, ამ „პროექტს“ ბევრი ეჭვის თვალით უცქერდა, თუმცა „დილამ“ ევროტურნირებზეც მართლაც მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვა და მერე კი, საქართველოს ჩემპიონატს მისცა ინტრიგა. სამწუხაროდ, სწორედ ევროტურნირების გამო იყო, „დილამ“ XXIV ჩემპიონატის სტარტი რომ ჩააგდო: გუნდს ორ „ფრონტზე“ თამაში გაუჭირდა, თანაც საშინაო მატჩებს თბილისში ატარებდა და 4 ტურის მერე თბილისის „დინამოს“ 11 ქულით ჩამორჩებოდა. აი, ამის მერე კი მამუკა ჯულელმა ერთობ საინტერესო საკადრო ცვლილება მოახდინა და ჩემპიონატში ინტრიგაც გაჩნდა...

## მწვრთნელ(ებ)ი და ფინანსები

...კალენდრის თანახმად, ჩემპიონობის უმთავრესი კანდიდატების, თბილისის „დინამოსა“ და „დილას“ პირველი დაპირისპირება V ტურში უნდა შემდგარიყო; ამ მატჩამდე „დინამოს“ ასპროცენტიანი შედეგი ჰქონდა, „დილას“ კი — ოთხ მატჩში ერთი ქულა! სწორედ „დინამოსთან“ შედგა „დილას“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე **გიორგი დარასელიას** დებიუტი: საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში ერთ-ერთმა გამორჩეულმა ფეხბურთელმა კარიერა ისრაელში გააგრძელა, იქვე დარჩა საცხოვრებლად და წამყვან ებრაულ კლუბებში მთავარი მწვრთნელის ასისტენტადაც მუშაობდა. და აი, სამშობლოში დაბრუნება შესთავაზეს და აღმოჩნდა, რომ კიდევ ერთი პერსპექტიული მწვრთნელი გვყოლია: დარასელიას ხელმძღვანელობით „დილამ“ ის მატჩი („დინამოსთან“) ხომ მოიგო, ამას მოჰყვა ზედიზედ ათი გამარჯვება! ჰო, მართლაც უნიკალური შედეგი იყო: ორი თვის განმავლობაში „დილამ“ საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე ყველა გუნდს მიჯრით მოუგო და საკუთარ კარში მხოლოდ ერთი ბურთი (**ისიც — პენალტით**) გაუშვა! ასეთი წარმატებული სერიის „გამოძახილი“ იყო სატურნირო ცხრილში შექმნილი სიტუაციაც: როცა მეორე წრის (და, საერთოდ, პირველი ეტაპის) ცენტრალური მატჩის დრო დადგა, თბილისის „დინამო“ მხოლოდ 2 ქულითღა უსწრებდა „დილას“. გორელ ქომაგთა სამწუხაროდ, ის შეხვედრა „დინამოს“ სრული უპირატესობით წარიმართა და ანგარიშიც (3:0) რეალურად ასახავდა მოედანზე მიმდინარე მოვლენებს. პირველი ეტაპის ბოლომდე „დილამ“ კიდევ ერთი დასანანი მარცხი იწვნია, მაგრამ მეორე ეტაპის დაწყების წინ „დინამოს“ მხოლოდ სამი ქულით ჩამორჩებოდა. ამასობაში კი გუნდშიც და კლუბშიც სერიოზული საკადრო ცვლილებები მოხდა: მამუკა ჯულელი ისევ რუსეთში დაბრუნდა, „თავისი“ ფეხბურთელების ჯგუფიც თან წაიყვანა და... გიორგი დარასელიაც! „დილას“ პატრონობა კი ადგილობრივ მუნიციპალიტეტს უნდა ეკისრა, თუმცა პირველ ეტაპთან შედარებით ბევრად მწირი დაფინანსება რომ იქნებოდა, ეს ცხადზე ცხადი იყო. ამ ყველაფრის მიუხედავად, „დილამ“ მაინც „გაიბრძოლა“: ახალი შემადგენლობითა და ახალი მწვრთნელით, გუნდი მაინც ღირსეულ კონკურენციას უწევდა „დინამოს“; თანაც, სეზონი სრულდებოდა, როცა გაირკვა, რომ თურმე „დილაში“ სერიოზული ფინანსური პრობლემები იყო და მწვრთნელ-ფეხბურთელები ორი-სამი თვის განმავლობაში უხელფასოდ თამაშობდნენ. არადა, „დილაში“ მართლაც საინტერესო მწვრთნელი მივიდა: 90-იანი წლების გამორჩეულ ლიტველ ფეხბურთელს **ვალდას ივანაუსკასს** გარკვეული სამწვრთნელო გამოცდილებაც ჰქონდა მიღებული და ეს გორში გატარებულ მოკლე პერიოდშიც დაამტკიცა. სამწუხაროდ, მიზეზთა გამო, თითქმის გადაწყვეტილია, რომ ივანაუსკასისა და „დილას“ გზები გაიყარა; ანუ, დღესდღეობით გორელთა გუნდი უმწვრთნელოდ არის დარჩენილი, — არადა, „დილას“ სულ მალე ევროტურნირების მატჩები ელოდება...



გიორგი დარასელია



დავით კვირკველია

### მეკარე

პირველ ეტაპზე „დილას“ ძირითადი მეკარე 33 წლის **მარინ სკენდერი** გახლდათ. სწორედ ხორვატი მეკარის დიდი დამსახურებაც იყო, პირველ ეტაპზე ყველაზე ნაკლები გოლი სწორედ „დილამ“ რომ გაუშვა; ზამთრის პაუზის დროს, თანაგუნდელთა უმეტესობის მსგავსად, „დილადან“ სკენდერიც წავიდა (დანიაში აგრძელებს კარიერას) და ძირითადი მეკარის სტატუსი ისევ **ბექა შეყრილაძემ** დაიბრუნა. 29 წლის შეყრილაძე თავის შანსს დიდხანს ელოდა და აი, 2008-09 წლების სეზონის მერე პირველად მოხდა, თავისი გუნდის პირველი მეკარე რომ გახდა.

### მცველები

პირველ ეტაპზე „დილას“ ისეთი დაცვის ხაზი ჰყავდა, ერთიმეორეზე უკეთესი და გამოცდილი ფეხბურთელებით რომ იყო დაკომპლექტებული. ალარაფერს ვამბობთ კონკურენციაზე: ხშირად ყოფილა შემთხვევა, ძირითადში ისეთი ფეხბურთელები ვერ ხვდებოდნენ, როგორებიც არიან **კახა ალადაშვილი და შოთა კაშია**. ჰო, „დილას“ დაცვის ხაზი მართლაც შთამბეჭდავად გამოიყურებოდა: მარჯვნივ — 33 წლის **გიორგი შაშიაშვილი**, მარცხნივ — 32 წლის **დავით კვირკველია**, ცენტრში — 31 წლის **ლაშა სალუქვაძე** და 29 წლის **გიორგი ონიანი**. არადა, პირველი ეტაპის მერე ამ ოთხეულიდან „დილაში“ მხოლოდ კვირკველია დარჩა, რომელმაც მთელი სეზონი ჩვეულ დონეზე ჩაატარა და ალბათ, არც არავის გაჰკვირვებია, რომ ჩემპიონატის სიმბოლურ ნაკრებში მარცხენა მცველის პოზიციაზე „ლელომ“ სწორედ ის მიიჩნია საუკეთესოდ. სამწუხაროდ, ტრავმის გამო ბევრი მატჩი გაუცდა გუნდის ახალწვეულ გულვერდ თომაშვილს — 24 წლის უნივერსალ მცველს ხომ რამდენიმე პოზიციაზე ერთნაირი წარმატებით შეუძლია თამაში.

### ნახევარდაცვა

დაცვის ხაზის არ იყოს, არანაკლებ გამორჩეული ფეხბურთელები თამაშობდნენ შუა ხაზშიც; თუმცა ისიც ფაქტია, რომ ხშირმა ტრავმიანობამ არ მისცა საშუალება, თავისი შესაძლებლობები სრულად გამოევლინა გუნდის პოტენციურ ლიდერს, 28 წლის **გოჩა ხოჯავას**; საერთო ჯამში, ურიგო სეზონი არ ჩაუტარებია 29 წლის **გოგიტა გოგუას**. თუმცა ამ ფეხბურთელს უფრო მეტიც შეუძლია. გოგუამ ორივე ეტაპი ითამაშა „დილას“ შემადგენლობაში, ისე როგორც **გიგა ბეჭვაიამ, გიორგი კახელიშვილმა** და **ზურაბ არზიანმა**; თუმცა, იმავე არზიანს ტრავმებისა თუ სხვა მიზეზთა გამო ბევრი გაუცდა, არადა, ეს 25 წლის საყრდენი თავის ამპლუაში საქართველოში ერთ-ერთ საუკეთესოდ მიგვაჩნია; პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ სხვა გუნდებში გადავიდნენ **სანდრო გურული, რომან ახალკაცი** და **ირაკლი კლიმიაშვილი**; სამაგიეროდ, მეორე ეტაპზე უფრო მეტი სათამაშო დროც მიეცათ და, ფაქტობრივად, ძირითადის მოთამაშეებად იქცნენ 21 წლის **ლაშა გვალია** და 20 წლის **ლეონარდო**; ძალიან საინტერესო ფეხბურთელია **მიხაილ გორელიშვილი** — 19 წლის მარცხენაფლანგელს ყაზანის „რუბინის“ „სკოლა“ აქვს გავლილი და ეს ბევრ მატჩში დაამტკიცა კიდეც. მეორე ეტაპზე „დილაში“ გადმოვიდა „მეტალურგის“ ყოფილი ნახევარმცველი **ირაკლი მაისურაძე**, ბოლო მატჩებში კი ვალდას ივანაუსკასი უკვე თამამად ენდობოდა 18 წლის **გიორგი აბურჯანიას**, რომელმაც უმაღლეს ლიგაში სადებიუტო გოლიც გაიტანა.

### თავდასხმა

სეზონი ახალი დაწყებული იყო, „დილამ“ თავისი საუკეთესო ფორვარდი (და, საერთოდაც, გუნდის ერთ-ერთი ლიდერი) **მათე ვაწაძე** რომ დაკარგა — 24 წლის თავდამსხმელი დანიურ „ორჰუსში“ გადავიდა. ვაწაძის ადგილს (დარასელიაც და ივანაუსკასიც, ძირითადად, ერთფორვარდიან ტაქტიკას ანიჭებდნენ უპირატესობას) კი ხან **ირაკლი მოდებაძე** იკავებდა, ხან — **ნათან ჟუნიორი**. სამწუხაროდ, წინა სეზონის მსგავსად, ტრავმის გამო კვლავაც ბევრი გაუცდა **გიორგი ილურიძეს** — არადა, ამ 21 წლის ფორვარდს კონკრეტული მატჩის ბედის გადაწყვეტა შეუძლია. ისე როგორც **ბაჩანა არაბულს** — ბოლო წლების ქართული ფეხბურთის ყველაზე იმედისმომცემ და ნიჭიერ ფეხბურთელს, ასევე ტრავმებმა რომ გატანჯა. 19 წლის არაბულმა მეორე ეტაპის მიწურულს ერთი მატჩი ჩაატარა ძირითადში, სამჯერ შეცვლაზე შევიდა და, ამის მიუხედავად, 5 გოლის გატანა მოახერხა! თანაც, ორ შეხვედრაში სულაც „დუბლი“ შეასრულა...

**გია ტუხაშვილი**



გოგიტა გოგუა

### დილას ყველა მატჩი

**I ეტაპი**

| | | |
|---|---|---|
| I ტური | დილა - ვიტ ჯორჯია | 0:1 |
| II ტური | დილა - ჩიხურა | 2:3 |
| III ტური | დილა - სიონი | 2:3 |
| IV ტური | ზუგდიდი - დილა | 0:0 |
| V ტური | დილა - დინამო (თბ) | 2:0 |
| VI ტური | ზესტაფონი - დილა | 0:1 |
| VII ტური | დილა - მეტალურგი | 3:0 |
| VIII ტური | ტორპედო - დილა | 0:1 |
| IX ტური | დილა - დინამო (ბთ) | 2:0 |
| X ტური | კოლხეთი - დილა | 0:3 |
| XI ტური | დილა - მერანი | 2:1 |
| XII ტური | ვიტ ჯორჯია - დილა | 0:2 |
| XIII ტური | ჩიხურა - დილა | 0:2 |
| XIV ტური | სიონი - დილა | 0:2 |
| XV ტური | დილა - ზუგდიდი | 3:0 |
| XVI ტური | დინამო (თბ) - დილა | 3:0 |
| XVII ტური | დილა - ზესტაფონი | 1:0 |
| XVIII ტური | მეტალურგი - დილა | 0:2 |
| XIX ტური | დილა - ტორპედო | 0:1 |
| XX ტური | დინამო (ბთ) - დილა | 1:2 |
| XXI ტური | დილა - კოლხეთი | 1:0 |
| XXII ტური | მერანი - დილა | 2:3 |

*I ეტაპი: 22 მატჩი, 16 მოგება, 1 ფრე, 5 წაგება, ბურთები: 36-15*

**II ეტაპი**

| | | |
|---|---|---|
| XXIII ტური | დილა - ზესტაფონი | 2:1 |
| XXIV ტური | დინამო (თბ) - დილა | 0:0 |
| XXV ტური | დილა - ზუგდიდი | 6:0 |
| XXVI ტური | დილა - ტორპედო | 1:2 |
| XXVII ტური | ჩიხურა - დილა | 1:2 |
| XXVIII ტური | ზესტაფონი - დილა | 0:3 |
| XXIX ტური | დილა - დინამო (თბ) | 0:1 |
| XXX ტური | ზუგდიდი - დილა | 1:2 |
| XXXI ტური | ტორპედო - დილა | 5:4 |
| XXXII ტური | დილა - ჩიხურა | 4:0 |

*II ეტაპი: 10 მატჩი, 6 მოგება, 1 ფრე, 3 წაგება, ბურთები: 24-11*

სულ: 32 მატჩი, 22 მოგება 2 ფრე, 8 წაგება, ბურთები: 60-26

მწვრთნელები: თემურ შალამბერიძე (I - IV ტური)
გიორგი დარასელია (V - XXII ტური)
ვალდას ივანაუსკასი (XXIII - XXXII ტური)

მეკარეები: მარინ სკენდერი - 21, ბექა შეყრილაძე - 10, ზურაბ მამალაძე - 1;

მცველები: დავით კვირკველია - 29 (2), გიორგი ონიანი - 20 (3), გულვერდ თომაშვილი 19 (3), გიორგი შაშიაშვილი - 17, ლაშა სალუქვაძე - 14 (1), კახა ალადაშვილი - 14 (1), შოთა კაშია - 10, ალექსანდრე კვახაძე - 9, ნიკოლოზ ჯიშკარიანი - 6, ლაშა თოთაძე - 4, ნიკოლოზ მნათობიშვილი - 1, ილია ლომიძე - 1, ლაშა ლომიძე - 1, ვალტერ ხორგუაშვილი - 1;

ნახევარმცველები: გიორგი კახელიშვილი - 23 (3), გიგა ბეჭვაია - 23 (1), გოგიტა გოგუა - 22 (2), მიხაილ გორელიშვილი - 20 (2), ირაკლი კლიმიაშვილი - 18 (2), ლაშა გვალია - 17 (3), ზურაბ არზიანი - 17 (1), რომან ახალკაცი - 16 (4), სანდრო გურული - 15 (2), ლეონარდო - 14 (1), ირაკლი მაისურაძე - 8, გიორგი აბურჯანია - 5 (1), ვალერიან კაციტაძე - 3 (1), გიორგი მამუჩიშვილი - 1, დათა მიქაძე - 1.

თავდამსხმელები: ირაკლი მოდებაძე - 21 (11), ნათან ჟუნიორი - 21 (7), გიორგი ილურიძე - 10 (1), ბაჩანა არაბული - 4 (5), მათე ვაწაძე - 2 (2), რომან გოგინაშვილი - 2.

### პირველი ლიგა

**ბოლო ტური**

**A ჯგუფი**

| | |
|---|---|
| სულორი – გურია | 0:1 |
| ჭიათურა – სასკო | 3:0 |
| იმერეთი – დინამო-2 | 1:4 |
| ბეთლემი – გაგრა | 3:3 |
| სქური – სტუ | 0:2 |
| მეშახტე – რაჭა | 3:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გურია | 33 | 27 | 4 | 2 | 86-20 | 85 |
| 2. დინამო-2 | 33 | 21 | 6 | 6 | 100-42 | 69 |
| 3. სასკო | 33 | 20 | 4 | 9 | 84-38 | 64 |
| 4. გაგრა | 33 | 16 | 5 | 12 | 63-46 | 53 |
| 5. მეშახტე | 33 | 13 | 6 | 14 | 42-66 | 45 |
| 6. ჭიათურა | 33 | 12 | 7 | 14 | 39-47 | 43 |
| 7. იმერეთი | 33 | 12 | 7 | 14 | 37-46 | 43 |
| 8. სტუ | 33 | 12 | 3 | 18 | 63-75 | 39 |
| 9. სქური | 33 | 10 | 8 | 15 | 33-51 | 38 |
| 10. ბეთლემი | 33 | 10 | 5 | 18 | 40-76 | 35 |
| 11. სულორი | 33 | 7 | 4 | 22 | 30-72 | 25 |
| 12. რაჭა | 33 | 7 | 3 | 23 | 39-77 | 24 |

**B ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ალგეთი – სამტრედია | 0:3 |
| მერცხალი – ლოკომოტივი | 1:2 |
| ლიახვი – კოლხეთი (ხ) | 1:2 |
| ადელი – შუქურა | 1:2 |
| ჩხერიმელა – სპარტაკი | 1:5 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სპარტაკი | 30 | 25 | 2 | 3 | 82-15 | 77 |
| 2. ლოკომოტივი | 30 | 19 | 6 | 5 | 70-29 | 63 |
| 3. შუქურა | 30 | 19 | 4 | 7 | 56-25 | 61 |
| 4. კოლხეთი | 30 | 18 | 3 | 9 | 43-28 | 57 |
| 5. სამტრედია | 30 | 17 | 4 | 9 | 52-37 | 55 |
| 6. სამგურალი | 30 | 13 | 7 | 10 | 59-48 | 46 |
| 7. ალგეთი | 30 | 10 | 3 | 17 | 39-54 | 33 |
| 8. მერცხალი | 30 | 5 | 10 | 15 | 37-52 | 25 |
| 9. ჩხერიმელა | 30 | 6 | 2 | 22 | 34-91 | 20 |
| 10. ლიახვი | 30 | 4 | 6 | 20 | 29-74 | 18 |
| 11. ადელი | 30 | 4 | 3 | 23 | 27-75 | 15 |

ინტერვიუ

# დვალის წარმატებული სეზონი

## დინამო ის კლუბი არ არის, საიდანაც გარბიან

ეროვნული ჩემპიონატების ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელი ჯაბა დვალი ამბობს, რომ ყოველ შეხვედრას იმისთვის იყენებს, სურს დაამტკიცოს, რომ ეროვნულ ნაკრებში მოხვედრას იმსახურებს. მართლაც, ბოლო ორ სეზონში საქართველოს პირველობაზე 40 გოლი გაიტანა, ბოლო სამ ევროსეზონში კი - 16, რაც დამოუკიდებლობის პერიოდში ქართველებში საუკეთესო მაჩვენებელია.

ისიც სათქმელია, რაოდენობასთან ერთად, ჯაბა ხარისხიანი გოლებითაც გვამახსოვრებს თავს. ეროვნულ ჩემპიონატში მის მიერ ქუთაისის "ტორპედოსთან" გატანილი გოლი კი ნამდვილი შედევრი იყო.

**- სეზონი 20 გოლით დაასრულე. რომ არა "ზესტაფონიდან" "დინამოში" გადმოსვლისას აუცილებელი ადაპტაციის პერიოდი, უფრო მეტს გაიტანდი?**

- გამორიცხული არაა. რაც უნდა იყოს, ნებისმიერ მოთამაშეს ესაჭიროება ადაპტაცია გუნდთან, მის სქემასთან და თანაგუნდელებთან. "დინამოში" ისე გადმოვედი, რომ მასთან ერთად შეკრებაც არ გამევლო და ჩემპიონატში ორი ტური იყო ნათამაშები. ამის მიუხედავად, სულაც არ ვთვლი, რომ წარუმატებელი სეზონი მქონდა.

**- საშემოდგომო ეტაპის ბოლოს გადაღლილობაც შეგეტყო.**

- ყველაფერი ერთმანეთს დაემთხვა: "ზესტაფონში" ლიგაში მოსახვედრად მზადება ნაადრევად დავიწყეთ. "ნეფთჩისთან" გამოვარდნაც დიდი ფსიქოლოგიური ტრავმა იყო, მერე ერთი კვირა ვერ ვვარჯიშობდი, რადგან "ზესტაფონიდან" წამოვედი, ჩემი ამბავი ირკვეოდა და სხვაგან ვარჯიშის უფლება არ მქონდა. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ჩემი თავით უკმაყოფილო არ ვარ, რადგან წინა სეზონის მსგავსად, ახლაც 20 გოლი გავიტანე. ანუ შედეგი არ გამიუარესებია, თანაც ბევრი თამაში გამოვტოვე და ამას დაუმატეთ თქვენ მიერ ნახსენები ადაპტაციის პერიოდი. პირველ წრეში 17 მატჩში გატანილი 16 გოლი ცუდი შედეგი არ არის. მაგრამ მეორე წრეში მხოლოდ ოთხი გოლის გატანა შევძელი.

**- წლევანდელი სეზონი იმათაც დაგამახსოვრდება, რომ "ასიანთა კლუბის" წევრი გახდი.**

- ეს ძალიან მახარებს. მაგრამ ჯერ 27 წლის ვარ და მეტის გატანაც შეიძლება.

**- როგორც ვიცი, კონტრაქტში გიწერია, რომ დაინტერესებული კლუბი მილიონი დოლარის საფასურად გამოგისყიდის.**

- დიახ, კონტრაქტში ასეთი პირობა მართლაც ჩავწერეთ.

**- შესაძლოა, ზედიზედ ორჯერ 20-20 გოლის გატანით ბევრი გუნდი დააინტერესო, მაგრამ საქართველოს ჩემპიონატის ფეხბურთელში მილიონ დოლარს ვინ გადაიხდის?**

- "დინამოსთან" სამწლიანი კონტრაქტი გავაფორმე და სიმართლე გითხრათ, წასვლაზე არც ვფიქრობ.

**- ამაზე საქართველოში ყველა ფეხბურთელი ფიქრობს.**

- "დინამო" ტრადიციული კლუბია, სადაც მოხვედრა მართლა ბედნიერებაა და ამით განსხვავდება ბევრი კლუბისგან. წლეულს მოვახერხეთ და საქართველოში პოზიციები დავიბრუნეთ, გავხდით ჩემპიონები და თასის მფლობელები. გუნდი აშკარად გაძლიერდა და თითოეულ ჩვენგანს ევროთასებზე წარმატებული თამაშის იმედი გაუჩნდა. სულ იმაზე ვფიქრობ, საქართველოს და ჩვენს ხალხს რამხელა სიხარულს მივანიჭებთ, ჩემპიონთა ან ევროპის ლიგების ჯგუფურ ეტაპზე რომ მოვხვდეთ. ასეთი მიზნების მქონე გუნდიდან არ გარბიან. "დინამოდან" მხოლოდ იმ შემთხვევაში წავალ, თუ კლუბს ვინმე კარგი წინადადებით მიმართავს და ტრანსფერზე შეუთანხმდება.

**მერაბ მამულაშვილი**

ლივერპული



ლუის სუარესისადმი გულშემატკივართა სიყვარულს სკანდალები ვერაფერს აკლებს

# ურუგვაელი საუკეთესოა

„ლივერპულის" 26 წლის თავდამსხმელმა **ლუის სუარესმა** სატიტულო სპონსორ Standard Chartered-ისგან 2012/13 წლების სეზონის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი მიიღო. გამოკითხვა გულშემატკივართა შორის კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე ჩატარდა. ანალოგიური აღიარება ცოტა ხნის წინ მან „ლივერპულის" ფანკლუბის მიერ ორგანიზებული კვლევითაც დაიმსახურა. ურუგვაელმა თავდამსხმელმა ამჯერად ხმების 64% მიიღო და სოლიდური სხვაობით ჩამოიტოვა მომდევნო ადგილებზე გასულები: **სტივენ ჯერარდი, ჯეიმი კარაგერი, დანიელ აგერი** და **ფილიპე კოუტინიო**. შეგახსენებთ, რომ ფეხბურთელი წელს პრემიერლიგის საუკეთესო მოთამაშის პრიზისთვისაც იბრძოდა, მაგრამ კოლეგებმა მას ტოტენჰემელი **გარეთ ბეილი** ამჯობინეს. აი, რა თქვა დაჯილდოების შემდეგ სამხრეთამერიკელმა ვარსკვლავმა:

- ჩემთვის ეს წარმოუდგენელი მიღწევაა. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი ჯილდო რაც კი ოდესმე მიმიღია, რადგან გულშემატკივართა მხარდაჭერა ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. ჩემი მთავარი ამოცანაა, დავეხმარო გუნდს. სწორედ ამიტომ არის, რომ ყოველ ჯერზე ბოლომდე ვიხარჯები. შარშან ზაფხულს იმედი მქონდა, რომ უფრო წარმატებული სეზონი გამოგვივიდოდა, რადგან თითოეული ფეხბურთელი მაქსიმუმს აკეთებდა. გარწმუნებთ, რომ მომავალი სეზონისთვის კიდევ უფრო უკეთ მოვემზადებით.

როცა გუნდი ბრენდან როჯერსმა ჩაიბარა, პირველ ეტაპზე საკმაოდ გაგვიჭირდა, რადგან ის ფეხბურთელებს იდეალურად არ იცნობდა და ახალ გარემოსთან შეგუებას ცდილობდა. ფეხბურთელების მხრიდან მას ნდობის დეფიციტი არ ჰქონია. ამ მხრივ ყველაფერი წესრიგში იყო. დარწმუნებული ვარ, რომ მომავალში კიდევ უფრო ძლიერად ავთამაშდებით. ამისთვის ჩემი და ჩემი თანაგუნდელების თავდადება და ერთიანობაა საჭირო როგორც მოედანზე, ისე მის ფარგლებს გარეთ.

**ლევან ბიბილაშვილი**

მანჩესტერ იუნაიტედი

# ფილ ნევილი ბრუნდება

„გარდიანის" ცნობით, „ევერტონში" **დევიდ მოიესის** სამწვრთნელო შტაბი პრაქტიკულად სრული შემადგენლობით გადაბარგდება „მანჩესტერ იუნაიტედში". ძველ შემადგენლობას დაემატება **ფილ ნევილი**, ვინც თავის დროზე „ოლდ ტრეფორდზე" 10 წელიწადი გაატარა და გუნდის ღირსება 400-მდე შეხვედრაში დაიცვა. ფილი „ეშმაკებში" **რენე მალესტინის** ადგილს (მთავარი მწვრთნელის თანაშემწე) დაიკავებს. უკანასკნელმა **ალექს ფერგიუსონის** გადადგომის შემდეგ მანჩესტერში დარჩენა აღარ ისურვა და ალბათ დამოუკიდებელ სამწვრთნელო პრაქტიკას დაიწყებს. **მაიკ ფელანს** (ფერგის ყოფილი პირველი თანაშემწე) **სტივ რუნდი** შეცვლის, მეკარეთა მწვრთნელად **ერიკ სტილის** ნაცვლად **კრის ვუდსი** დაიწყებს მუშაობას, მთავარი სკაუტის პოსტს კი **მარტინ ფერგიუსონის** ნაცვლად ამიერიდან **რობი კუკი** ჩაიბარებს.

### მოიესს უნდა ესმოდეს...

ალბათ გახსოვთ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედმა" იანვარში **უილფრიდ ზაჰა** „კრისტალ პალასიდან" 17 მილიონად შეიძინა და ფეხბურთელი იჯარით სეზონის ბოლომდე ამავე კლუბს დაუტოვა. 20 წლის გარემარბმა ლონდონელთა შემადგენლობაში უკანასკნელი შეხვედრაც უმაღლეს დონეზე ჩაატარა და „უოტფორდთან" პრემიერლიგაში გადასასვლელი პლეი ოფის გადამწყვეტ შეხვედრაში პენალტი მოინადირა. 11-მეტრიანი 39 წლის **კევინ ფილიპსმა** გამოიყენა და გუნდს პრემიერლიგის საგზური მოუპოვა. ზაჰას იჯარის ვადა ამით ამოეწურა. ამიერიდან მას უკვე „იუნაიტედის" ფეხბურთელი შეგვიძლია ვუწოდოთ. „არწივებმა" „ეშმაკებს" კიდევ ერთხელ მიმართეს იჯარის გაგრძელების თხოვნით, მაგრამ „კრისტალ პალასის" თავკაც **იან ჰოლოვეის** არ სჯერა, რომ **დევიდ მოიესი** ამაზე დასთანხმდა. *„არ მგონია, მოიესს იმდენი არ ესმოდეს, თუ რამდენი რამ შეუძლია ზაჰას. სწორედ ამიტომ არ მაქვს დიდი იმედი. მეორე მხრივ ჩვენ ახლა უკვე პრემიერლიგელები ვართ და გამორიცხული არაფერია. ვინ იცის, რა მოხდება. რაც უნდა იყოს, ზაჰას კარიერაში მხოლოდ წარმატებებს ვუსურვებ,"* – განუცხადა Sky Sports-ს 50 წლის ინგლისელმა სპეციალისტმა.



ფილ ნევილი (მარცხნივ) „ევერტონში" 8 წელიწადი თამაშობდა დევიდ მოიესის ხელმძღვანელობით

ვარსკვლავი

# სტერლინგის ამბიცია

**რაჰემ სტერლინგმა** 2012/13 წლების სეზონი ყინჩად დაიწყო. ჯერ კიდევ 17 წლისა (18-ის მხოლოდ დეკემბერში გახდა) ის ძირითადი შემადგენლობის წევრად მიიჩნეოდა. იანვარში ძალიან ბევრი რამ შეიცვალა. მას შემდეგ თინეიჯერი სასტარტოში აღარ გამოჩენილა. ამის მიზეზი ახალგაზრდა ნახევარმცველის გადაღლილობა და ტრავმები გახლდათ. იანვრის სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე დღეებით ადრე ისიც კი დაიწერა, რომ „ლივერპული" იჯარით მის გაშვებას აპირებდა. თუმცა საბოლოოდ რაჰემი „ენფილდზე" დარჩა და ძირითადად სათადარიგოთა შორის უწევდა ჯდომა.



რაჰემ სტერლინგი

2013/14-ის სეზონი ყველასთვის, ვისაც სანაკრებო ამბიცია აქვს, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. მათ შორის არის სტერლინგიც. ახალგაზრდა ნახევარმცველის თქმით, ის „წითლების" ძირითადში აპირებს ადგილის დაბრუნებას, რათა **როი ჰოჯსონის** რჩეულთა შორის მოხვდეს და ბრაზილიაში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზე გაემგზავროს. *„2013 წლის ზაფხულს იმისთვის გამოვიყენებ, რომ ერთი მხრივ „ლივერპულსა" და მეორე მხრივ მთელ ქვეყანას დავუმტკიცო, რომ უმაღლეს დონეზე თამაში შემიძლია. ამხანაგურ შეხვედრებშიც კი ბოლომდე დავდებ თავს. გული მწყდება, რომ ბარძაყის ტრავმის ინგლისის ახალგაზრდულ ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე ვერ მივყვები, რადგან ჩემთვის ეს კიდევ ერთი შანსი იქნებოდა თავის გამოსაჩენად. სამწუხაროა, რომ ფეხი ამის საშუალებას არ მაძლევს. მომდევნო სეზონში გუნდის ძირითადში ადგილი უნდა დავიბრუნო. ამისთვის რამდენიმე წარმატებული შეხვედრა დამჭირდება და მერე, ალბათ, სტაბილურად შევძლებ თამაშს. ბრაზილიაში ნაკრებთან ერთად წასვლა თუ მინდა, უფრო მეტი უნდა გავიტანო და მეტი საგოლე გადაცემა შევასრულო,"* – აცხადებს რაჰემ სტერლინგი.

**ლევან ბიბილაშვილი**

ამბები

### ლივერპულის წინადადება



ლუკას პიაზონი

„ჩელსის" 19 წლის ბრაზილიელმა თავდამსხმელმა **ლუკას პიაზონმა** (ძირითადად უკან დახეული შემტევის პოზიციაზე ირჯება) ლონდონელთა შემადგენლობაში დამკვიდრება ვერ შეძლო. მან პრემიერლიგასა და ჩემპიონთა ლიგაში მხოლოდ სამი თამაში ჩაატარა და იანვარში იჯარით „მალაგაში" გადავიდა. ლუკასს კარიერა არც პრიმერადივიზიონში აეწყო, რადგან ძირითადში ადგილს **მანუელ პელეგრინი** არ ანდობდა. „სტემფორდ ბრიჯზე" დაბრუნების შემდეგ **დემბა ბას, ფერნანდო ტორესისა** და **რომელუ ლუკაკუს** გარემოცვაში მას ნათელი პერსპექტივა ნამდვილად არ ელის. სწორედ ამიტომ „ლივერპულმა" „ჩელსისგან" მისი გამოსყიდვა მოინდომა. სამხრეთამერიკელი შეიძლება თანამემამულე **ფილიპე კოუტინიოს** მაგალითმა გაამხნევოს. **ბრენდან როჯერსი** ხომ ჯერჯერობით შეგირდთან წარმატებით მუშაობს. მერსისაიდელთა გარდა პიაზონის ტრანსფერით პრემიერლიგის სხვა კლუბებიც არიან დაინტერესებულნი.

### ჩელსი სიტის არიფაში ჩაუდგა

„მანჩესტერ სიტი" „ნაპოლიდან" **ედინსონ კავანის** შეძენაზე დიდი ხანია მუშაობს. „ქალაქელები" 26 წლის ურუგვაელში 60 მილიონ ევროს ჩამოდიან, თუმცა კვანძის გახსნას ჯერ ერთი ნაბიჯითაც ვერ მიუახლოვდნენ. ამასობაში საქმეში „ჩელსი" ჩაერთო, რომელიც იტალიურ კლუბს 63 მილიონს სთავაზობს, თანხას, რომელიც სამხრეთამერიკელ ფორვარდს კონტრაქტით აქვს შეთანხმებული. როგორც ირკვევა ლონდონელთა შეთავაზება „ნაპოლიმ" უკვე ოფიციალურად მიიღო. თუკი ეს ინფორმაცია რეალურია, გამოდის, რომ ახლა ყველაფერი უკვე კავანიზეა დამოკიდებული. სერია A-ს 2012/13-ის სეზონში ფეხბურთელმა ჩემპიონატის 34 შეხვედრაში 29 გოლი გაიტანა და ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

### ერიკსენი დორტმუნდში?



კრისტიან ერიკსენი

ინგლისური „დეილი მეილის" მტკიცებით, „ლივერპული" დორტმუნდის „ბორუსიასთან" აიაქსელი **კრისტიან ერიკსენის** ტრანსფერისთვის ბრძოლაში დამარცხდა. BVB სწორედ 21 წლის დანიელში ხედავს „ბაიერნში" წასული **მარიო გიოტცეს** შემცვლელს. მართალია, უკანასკნელი ძირითადად ფლანგებზე თამაშობდა, ერიკსენი კი ცენტრალური ნახევარმცველია, მაგრამ **იურგენ კლოპს** გუნდის შიდა რესურსების ხარჯზე შეუძლია ამ პრობლემის გადაჭრა. თუნდაც **მარკო როისის** ფლანგზე გადასროლით.

Football Espana-ს ცნობით კი, „ბარსელონა" „შავ-ყვითლების" წინადადებას დათანხმდა და „ვესტფალენშტადიონზე" ერთწლიანი იჯარით მიავლენს 19 წლის გარემარბ **ჟერარდს**, იმავე ჟერარდ დეულოფეუს. ფეხბურთელს „კამპ ნოუზე" თავის გამოჩენის შანსი არ მისცემია. პრიმერა დივიზიონსა და ჩემპიონთა ლიგაში მან სულ 4 თამაში ჩაატარა (ყველა შეცვლაზე) და არ გაგიკვირდებათ თუ გეტყვით, რომ გოლის გატანა ვერ მოახერხა.

### მარტინესი წავიდა

პრინციპში ეს მოსალოდნელიც იყო. 39 წლის ესპანელმა სპეციალისტმა **რობერტო მარტინესმა** „უიგანის" მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა და დიდი ალბათობით რამდენიმე დღეში „ევერტონში" **დევიდ მოიესს** შეცვლის. მას კიდევ ერთი ვარიანტი აქვს: ესპანური პრიმერადან „მალაგა" უხმობს. 2012/13-ის სეზონში „ათლეტებმა" მისი ხელმძღვანელობით ასოციაციის თასზე იმარჯვეს, რითაც ევროპის ლიგაზე გამოსვლის უფლება მოიპოვეს, მაგრამ სათასო ტრიუმფიდან რამდენიმე დღეში გუნდმა პრემიერლიგიდან გავარდნის ამბავი შეიტყო. „უიგანში" მარტინესი 2009 წლიდან მუშაობდა. *„მან პირადად მთხოვა გუნდიდან წასვლის ნებართვა მიმეცა, რაზეც უმალ დავთანხმდი. რაკი რობერტოს კონტრაქტის ვადა ერთ წელიწადში ეწურება, მის მსურველს „უიგანისთვის" კომპენსაციის გადახდა მოუწევს,"* – განაცხადა კლუბის პრეზიდენტმა **დეივ უილანმა**.

**ლევან ბიბილაშვილი**

ბრაზილია. სერია A I ტური

# ნეიმარის ბოლო მატჩი და მესის დეიდაშვილის გოლი

**ვასკო-პორტუგეზა 1:0**

**გოლი:** 1:0 კ. ტენორიო (48)
**გაძევება:** დიოგო (78. პორტუგეზა)

**ვიტორია-ინტერნასიონ. 2:2**

**გოლები:** 1:0 ბიანკუჩი (2), 2:0 გაბრიელ პაულისტა (12), 2:1 ფორლანი (30), 2:2 ფრედი (64)

**კორინთიანსი-ბოტაფოგო 1:1**

**გოლები:** 0:1 რაფაელ მარკეში (26), 1:1 პაულინიო (74)

**გრემიო-ნაუტიკო 2:0**

**გოლები:** 1:0 ზე რობერტო (16), 2:0 ელანო (71)

**პონტე პრეტა-სან პაულო 0:2**

**გოლები:** 0:1 ლუსიო (9), 0:2 ჟადსონი (45-პენ)
**გაძევება:** ედსონ სილვა (59. სან პაულო)

**კრისიუმა-ბაია 3:1**

**გოლები:** 1:0 მატეუს ფერაზი (45), 2:0 ლინსი (47), 2:1 დიონესი (73), 3:1 ჟოაო ვიტორი (81)

**ფლუმინენსე-ატლ. პარანაენსე 2:1**

**გოლები:** 1:0 რაფაელ სობისი (16-პენ), 1:1 მანოელი (28), 2:1 სამუელ როსა (54)

**კრუზეირო-გოიასი 5:0**

**გოლები:** 1:0 დიეგო სოუზა (6), 2:0 ბრუნო როდრიგო (31), 3:0 ნილტონი (40), 4:0 ბორჟესი (43), 5:0 ნილტონი (80)

**კორიტიბა-ატლ. მინეირო 2:1**

**გოლები:** 0:1 დიეგო ტარდელი (50), 1:1 დეივიდი (54), 2:1 არტური (90)

**სანტოსი-ფლამენგო 0:0**

**ბრაზილიაში სერია A-ს მორიგი გათამაშება დაიწყო და პირველივე ტურში არაერთი საინტერესო რამ მოხდა. ყველაზე დიდ ინტერესს, რა თქმა უნდა, ნეიმარის ბოლო მატჩი იწვევდა, რომელიც არა სანტოსში, არამედ ბრაზილიის დედაქალაქ ბრაზილიაში, მანე გარინჩას სახელობის ეროვნულ სტადიონზე გაიმართა...**

ლეგენდარული ფეხბურთელის სახელობის არენა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ააშენეს და მასზე პირველი შეხვედრა სწორედ „სანტოსმა“ და „ფლამენგომ“ გამართეს. **ნეიმარი** მშობლიურ გუნდს ისე ვერ დაემშვიდობა, როგორც სურდა. 21 წლის ფორვარდმა გოლი ვერ გაიტანა და „სანტოსმაც“ ვერ მოიგო, მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლად „სანტოსი“ ითვლებოდა, ტრიბუნებზე, უმეტესად „ფლამენგოს“ გულშემატკივრები ისხდნენ, რომლებიც მეტოქე გუნდის მთავარ ვარსკვლავს, ბურთის ყოველი შეხებისას სტვენით ხვდებოდნენ. საბოლოოდ, 60 000-ზე მეტმა მაყურებელმა გოლი ვერ იხილა და შეხვედრა ფრედ დასრულდა. ნეიმარი ქომაგებს გოლის გარეშე, მაგრამ თვალცრემლიანი გამოემშვიდობა.



ნეიმარი „სანტოსს“ ცრემლებით დაემშვიდობა

## ფავორიტებმა იყოჩაღეს

სეზონი გამარჯვებით დაიწყო ჩემპიონმა, რომელმაც საკუთარ მოედანზე დებიუტანტ „ატლეტიკო პარანაენსეს“ სძლია. „ფლუმინენსეს“ რამდენიმე დღეში ლიბერტადორესის თასის საპასუხო 1/4 ფინალი ელის (ოლიმპიასთან), რის გამოც **აბელ ბრაგამ** რამდენიმე ლიდერი დაასვენა. მთელი მატჩის განმავლობაში უპირატესობას „ატლეტიკო“ ფლობდა, მაგრამ ამის მიუხედავად, მასპინძლებმა სეზონი 3 ქულის მოპოვებით გახსნეს. „ფლუს“ მხრიდან გოლები **რაფაელ სობისმა** (პენალტით) და ახალგაზრდა **სამუელ როსამ** გაიტანეს.

მოიგო „ვასკო და გამამაც“, ვინც შინ კიდევ ერთი დებიუტანტ „პორტუგეზასთან“ ითამაშა. მართალია, „ვასკომ“ მინიმალური ანგარიშით იმარჯვა, მაგრამ „ფლუსგან“ განსხვავებით, **პაულო აუტორის** გუნდს სერიოზული პრობლემები არ შეჰქმნია. მასპინძლებმა დროის უმეტესი ნაწილი შეტევებში გაატარეს, მაგრამ გოლი მხოლოდ ერთხელ, 48-ე წუთზე გაიტანეს - თავი **კარლოს ტენორიომ** გამოიჩინა და საკუთარ გუნდს კარგი სტარტი აალებინა.

„სან პაულომ“ დერბიში „პონტე პრეტას“ მოუგო. გოლები **ლუსიომ** და **ჟადსონმა** გაიტანეს, ლიბერტადორესის თასის კიდევ ერთმა ყოფილმა მონაწილე „გრემიომ“ კი სტუმრად საშინლად მოთამაშე „ნაუტიკოს“ დააყრევინა ფარხმალი. პორტუ ალეგრის კლუბის მხრიდან ბურთები უბერებელმა **ზე რობერტომ** და **ელანომ** გაიტანეს.

## მოსალოდნელი მარცხი და მესის დეიდაშვილი

„ატლეტიკო მინეირო“ „ბრაზილეირაოს“ ერთ-ერთი ფავორიტია, მაგრამ „კორიტიბასთან“ მატჩის წინ ის აუტსაიდერად მიიჩნეოდა. ამას ორი ძირითადი მიზეზი ჰქონდა: „კორიტიბა“ შინ ყოველთვის კარგად თამაშობს და „ატლეტიკოს“ რამდენიმე დღეში „ტიხუანასთან“ საპასუხო 1/4 ფინალი ელის და მოსალოდნელი იყო, რომ **კუკა** ლიდერებს დაასვენებდა.

საბოლოოდ, ყველაფერი ასეც მოხდა - კუკამ რამდენიმე ლიდერი (**რონალდინიო, ჟო, ჟოსუე, ჟილბერტო სილვა, მარკოს როჩა, რიჩარლისონი**) არ ათამაშა, მასპინძლებმა კარგი შთაბეჭდილება დატოვეს და მართალია, ბოლო წუთზე გატანილი გოლის წყალობით, მაგრამ მაინც იმარჯვეს.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ **დეივიდის** მორიგი გოლი - 33 წლის ფორვარდი „კორიტიბაში“ შარშან, სეზონის შუაში გადავიდა და იქიდან მოყოლებული, საოცარი შედეგიანობით გამოირჩევა. დეივიდმა ახალ გუნდში სულ 14 შეხვედრა გამართა და ამ პერიოდში უკვე მე-9 გოლი გაიტანა.

კიდევ ერთ მოვლენას, რომელიც აუცილებლად უნდა გამოვარჩიოთ, ადგილი ქალაქ სალვადორში ჰქონდა, სადაც დებიუტანტმა „ვიტორიამ“ „ინტერნასიონალს“ უმასპინძლა. სტუმრები 0:2-ს აგებდნენ, მაგრამ რთული სიტუაციიდან თავის დაძვრენა შეძლეს და ქულა აიღეს. „ინტერის“ მხრიდან ერთ-ერთი გოლი **დიეგო ფორლანმა** გაიტანა, მაგრამ ამაზე საინტერესო იყო ის, რომ შეხვედრის მეორე წუთზე ანგარიში არგენტინელმა **მაქსი ბიანკუჩიმ** გახსნა. აღსანიშნავი კი ამ ყველაფერში არის ის, რომ 28 წლის ბიანკუჩი **ლიონელ მესის** დეიდაშვილი გახლავთ და მან ბრაზილიის სერია A-ში გოლი 5-წლიანი პაუზის შემდეგ გაიტანა (ბიანკუჩი 2007-09 წლებში „ფლამენგოში“ თამაშობდა).

## ჩემპიონები მშვიდობიანად დაშორდნენ

პირველი ტურის ცენტრალური მატჩი კი სან პაულოს და რიოს შტატების ჩემპიონებს შორის გაიმართა: „კორინთიანსმა“ „ბოტაფოგოს“ უმასპინძლა. მასპინძელთა მხრიდან გამორჩეული იყო **პაულინიო**, რომელმაც ანგარიშიც გაათანაბრა და მოედანზეც ყველაზე შესამჩნევი ფიგურა გახლდათ. პირველი გოლი კი სტუმრებმა გაიტანეს - 26-ე წუთზე, **კლარენს ზეედორფმა** საგოლე პასით **რაფაელ მარკეში** მოამარაგა და 30 წლის ბრაზილიელმა ფორვარდმა ანგარიში გახსნა.

გვერდს ვერ ავუვლით „კრუზეიროს“ შესანიშნავ თამაშს. **მარსელო ოლივეირას** სამწყსომ კიდევ ერთი დებიუტანტი „გოიასი“ მიწასთან გაასწორა და ხუთი უპასუხო გოლი გაუტანა. „სამხრეთის ვარსკვლავის“ რიგებში დუბლი **ნილტონმა** შეასრულა, ერთი ბურთიც ბრაზილიის 2011 წლის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის (23 გოლით), **ბორჟესის** ანგარიშზეა. გამოირჩა გამოცდილი **დაგობერტოც**, ვინც ორი საგოლე გადაცემა გააკეთა.

არგენტინა. ტორნეო ფინალი. XV ტური

# ნიუელსმა ლიდერობა გაიმყარა

## მისი კონკურენტი კი უკვე რივერია




„ბოკას“ განადგურებას სათავე რინალდო კრუსადომ დაუდო

**კოლონი-ოლ ბოისი 2:0**

**გოლები:** 1:0 ჟიგლიოტი (77-პენ), 2:0 კურუჩეტი (90)
**გაძევება:** კიროგა (86. ოლ ბოისი)

**ველესი-კილმესი 2:0**

**გოლები:** 1:0 ფ. ფერეირა (18), 2:0 ფ. ფერეირა (64)

**სან მარტინი-ლანუსი 3:1**

**გოლები:** 1:0 კაპრარი (8), 1:1 ბარიენტოსი (29), 2:1 დ. ლედესმა (71), 3:1 რიანიო (89)
**გაძევება:** დ. ლედესმა (71. სან მარტინი)

**რასინგი-გოდოი კრუსი 1:1**

**გოლები:** 1:0 სახა (44-პენ), 1:1 ხ. ფერნანდესი (64)

**რივერი-ატლ. რაფაელა 3:0**

**გოლები:** 1:0 ვანხიონი (8), 2:0 ე. დომინგესი (14-საკ. კარში), 3:0 ლუნა (32)

**ნიუელსი-ბოკა 4:0**

**გოლები:** 1:0 კრუსადო (7-პენ), 2:0 ორსანი (66), 3:0 ტონსო (68), 4:0 ურუტი (71)
**გაძევება:** მაგალიანი (45. ბოკა ხუნიორსი)

**არსენალი-ტიგრე 3:2**

**გოლები:** 1:0 ლ. ლოპესი (3), 1:1 სანტანდერი (18), 2:1 ლ. ლოპესი (35), 2:2 ფტაკლა (64), 3:2 ბრაგიერი (85)

**სან ლორენსო-უნიონი 4:2**

**გოლები:** 1:0 გ. ვერონი (2), 2:0 გ. ვერონი (15), 2:1 ფრანსოია (34), 2:2 ფრანსოია (43), 3:2 ა. რუისი (88), 4:2 ფ. ხარა (90)

**ესტუდიანტესი-არ. ხუნიორსი 0:0**

**გაძევება:** გ. ფერნანდესი (90. ესტუდიანტესი)

**ბელგრანო-ინდეპენდიენტე 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნიუელსი | 15 | 10 | 2 | 3 | 31-18 | 32 |
| 2. რივერი | 15 | 8 | 5 | 2 | 22-13 | 29 |
| 3. ლანუსი | 15 | 7 | 7 | 1 | 19-9 | 28 |
| 4. სან ლორენსო | 15 | 7 | 5 | 3 | 22-13 | 26 |
| 5. არსენალი | 15 | 7 | 5 | 3 | 20-16 | 26 |
| 6. გოდოი კრუსი | 15 | 6 | 6 | 3 | 19-14 | 24 |
| 7. კილმესი | 15 | 5 | 6 | 4 | 22-19 | 21 |
| 8. ატლ. რაფაელა | 15 | 5 | 6 | 4 | 18-16 | 21 |
| 9. ბელგრანო | 15 | 4 | 8 | 3 | 13-10 | 20 |
| 10. რასინგი | 15 | 5 | 5 | 5 | 18-16 | 20 |
| 11. ინდეპენდიენტე | 15 | 5 | 5 | 5 | 14-13 | 20 |
| 12. კოლონი | 15 | 5 | 3 | 7 | 17-25 | 18 |
| 13. სან მარტინი | 15 | 4 | 5 | 6 | 23-24 | 17 |
| 14. ტიგრე | 15 | 5 | 2 | 8 | 18-24 | 17 |
| 15. ოლ ბოისი | 15 | 4 | 4 | 7 | 13-18 | 16 |
| 16. ესტუდიანტესი | 15 | 3 | 6 | 6 | 12-16 | 15 |
| 17. ველესი | 15 | 3 | 5 | 7 | 14-17 | 14 |
| 18. უნიონი | 15 | 2 | 7 | 6 | 15-22 | 13 |
| 19. ბოკა | 15 | 2 | 7 | 6 | 10-25 | 13 |
| 20. არ. ხუნიორსი | 15 | 1 | 5 | 9 | 8-20 | 8 |

**ბომბარდირები:** 10 - სკოკო (ნიუელს ოლდ ბოისი); 8 - ჟიგლიოტი (კოლონი), სილვიო რომერო (ლანუსი); 6 - ფრანსოია (უნიონი), ობოლო (გოდოი კრუსი), ვიეტო (რასინგი), დ. საპატა (ესტუდიანტესი).

**სარელეგაციო ცხრილი:**

| | თ | ქ | საშ. |
|---|---|---|---|
| 15. ატ. რაფაელა | 72 | 91 | 1.264 |
| 16. არ. ხუნიორსი | 110 | 130 | 1.182 |
| 17. კილმესი | 34 | 40 | 1.176 |
| 18. ინდეპენდიენტე | 110 | 127 | 1.155 |
| 19. სან მარტინი | 72 | 82 | 1.139 |
| 20. უნიონი | 72 | 70 | .972 |

*შენიშვნა: „უნიონი“ გავარდა*

**ტორნეო ფინალის მე-15 ტურის შემდეგ ლიდერი აღარ შეცვლილა, სამაგიეროდ, შეიცვალა მეორეადგილოსანი - „ლანუსმა“ სეზონში პირველი მარცხი განიცადა და მეორე პოზიცია „რივერ პლეიტს“ დაუთმო. ასევე, აღსანიშნავია ის, რომ დამთავრდა „უნიონის“ წვალება და სანტა ფეს გუნდმა მეორე დივიზიონის საგზური ოფიციალურად გაიფორმა...**

## „ნიუელსი“ წინ გაიჭრა

„ნიუელს ოლდ ბოისს“ და „ბოკა ხუნიორსს“ ერთკვირიანი რომანი აქვთ. რამდენიმე დღის წინ მათ ლიბერტადორესის თასის ეგიდით „ბომბონერაზე“ ითამაშეს (0:0), მე-15 ტურში უკვე **მარსელო ბიელსას** სახელობის სტადიონზე შეხვდნენ ერთმანეთს და 4 ივნისს აქვე, ლიბერტადორესის თასის საპასუხო შეხვედრაშიც ითამაშებენ.

ორივე გუნდმა მოედანზე შესუსტებული შემადგენლობა გამოიყვანა. უფრო სწორად, **ხერარდო მარტინომ** რამდენიმე ლიდერი (**ჰაინცე, მაქსი როდრიგესი, კასკო, სკოკო, მატეო**) თადარიგში დატოვა, **კარლოს ბიანკიმ** კი მთლიანად სარეზერვო გუნდი გამოიყვანა.

საბოლოოდ, ჩემპიონატის ლიდერმა ძალიან დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა, რაშიც „ნიუელსის“ ფეხბურთელების გარდა, საკმაოდ დიდი წვლილი „ბოკას“ ორმა ფეხბურთელმაც შეიტანა. პირველი გახლავთ **ლისანდრო მაგალიანი**, რომელმაც 45-ე წუთზე სულელური წითელი ბარათი მიიღო, მეორე კი **სებასტიან დანჯელო** - „ბოკას“ 24 წლის მეკარეს, რომელიც გუნდში მესამეა, მინიმუმ ორ ეპიზოდში საკუთარი გუნდის გადარჩენა შეეძლო (მეორე გოლისას ვალდებულიც იყო). „ნიუელსმა“ ამ მოგებით პირველი პოზიცია გაიმყარა, რადგან სეზონში პირველი მარცხი იწვნია „ლანუსმა“.

როგორი გასაკვირიც უნდა იყოს, **გილერმო ბაროს შელოტოს** გუნდს „სან მარტინმა“ მოუგო. სანხუანელებმა მთელი მატჩი დამაჯერებლად ჩაატარეს და სტუმრებს შანსი არ დაუტოვეს. „სან მარტინი“ ისევ გასავარდნ ზონაშია და მიუხედავად ამ გამარჯვებისა, მაინც უნდა გავარდეს, „ლანუსმა“ კი 15-მატჩიანი (წინა ჩემპიონატის ბოლო ტურშიც არ დამარცხებულა) წაუგებელი სერია შეწყვიტა.

როგორც უკვე ვთქვით, მოიგო „რივერ პლეიტმა“ და მეორე ადგილზე გადავიდა. **რამონ დიასის** სამწყსომ „ატლეტიკო რაფაელას“ უმასპინძლა და საქმე პირველივე ტაიმში მოამთავრა. მასპინძელთა მხრიდან ძალიან ლამაზი გოლი გაიტანა **ლეონელ ვანხიონიმ**. ისე, იმ დროს, როდესაც არგენტინის ნაკრებს მარცხენა მცველის პოზიციაზე უჭირს, 26 წლის ფეხბურთელის ეროვნულ გუნდში გამოძახება ცუდი ნამდვილად არ იქნებოდა, რადგან ვანხიონი ყოველ თამაშში ამტკიცებს, რომ ძალიან კარგი მცველია.

## შენარჩუნებული სხვაობა და ფაკუნდო

ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის მებრძოლმა „ინდეპენდიენტემ“ და „არხენტინოს ხუნიორსმა“ თავიანთი მატჩები ვერ მოიგეს და მათ შორის სხვაობა იგივე დარჩა - **დიეგო მარადონას** ყოფილი გუნდი, ლიბერტადორესის თასის 7-გზის გამარჯვებულს კვლავ 3 ქულით უსწრებს.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ **ფაკუნდო ფერეირას** მორიგი გოლები - „ველესის“ ფორვარდმა დუბლი შეასრულა და ზედიზედ მესამე შეხვედრაში გაიტანა. მძიმე ტრავმის მორჩენის შემდეგ, ტორნეო ინისიალის საუკეთესო ბომბარდირს ფორმაში შესასვლელად დიდი დრო არ დასჭირდა.

მცველებმა მოაგებინეს „არსენალს“, რომელმაც „ტიგრეს“ სძლია (3:2). პირველი ორი ბურთი **ლისანდრო ლოპესის** ანგარიშზეა, გამარჯვების მომტანი გოლი კი **დიეგო ბრაგიერიმ** გაიტანა.

„პედრო ბიდეგაინზე“ მხიარული მატჩი გაიმართა. „სან ლორენსომ“ „უნიონს“ ორი სწრაფი გოლი გაუტანა (**გონსალო ვერონმა** დუბლი გაიფორმა) და 2:0 დაწინაურდა, თუმცა ვერონის დუბლს სტუმართა მხრიდან **ანდრე ფრანსოიამ** უპასუხა და ანგარიში პირველივე ტაიმში გაათანაბრა. შეხვედრა თითქოს ფრედ უნდა დასრულებულიყო, როდესაც **ალან რუისმა** ისევ მასპინძლები დააწინაურა, **ფრანკო ხარამ** კი შეხვედრას საბოლოო წერტილი დაუსვა. 4:2 და „სან ლორენსომ“ ზედიზედ მესამე მატჩი მოიგო, ბოლო 5 ტურში კი 13 ქულა დააგროვა. დამარცხებული „უნიონი“ კი გახდა პირველი გუნდი, ვინც ლიგაში დარჩენის ყველანაირი შანსი დაკარგა და მეორე დივიზიონში დაქვეითდა.

აქვე ვთქვათ, რომ მეორე დივიზიონიდან პრიმერას საგზური გაინაღდა „როსარიომ“, ხოლო „ხიმნასია ლა პლატას“ და „ოლიმპოს“ უმაღლესში ცალი ფეხი უკვე შედგმული აქვთ.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

მწვრთნელთა საკითხი


რაფა ბენიტესის ადგილს ჟოზე მოურინიო დაიკავებს

# გადამფრენი მწვრთნელების სეზონი

## ახალ სეზონში ბევრი რამ შეიცვლება, ბევრ გრანდს ველარ ვიცნობთ

**ევროპის ტოპ-4 პირველობაზე ამ სეზონში 45 სამწვრთნელო ცვლილება განხორციელდა, თუმცა რიცხვზე მთავარი ხარისხია - ეს ზაფხული მნიშვნელოვნად შეცვლის ძალთა გადანაწილებას ევროპულ ფეხბურთში, რადგან ტოპ-მწვრთნელების სერიოზული სეზონური მიგრაცია დაიწყო...**

### სეზონის გახსნა

ვინ თუ არა „პალერმოს“ ოდიოზური პრეზიდენტი **მაურიციო ძამპარინი!** გასულ სეზონში პირველი მწვრთნელი (აქ და მერე მხოლოდ ევროპული ლიგების ტოპ ოთხეულს ვგულისხმობთ) მან დაითხოვა: ჩემპიონატის დაწყებიდან 35-ე დღეს (!) კარისკენ მიუთითა **ჯუზეპე სანინოს**, რომელსაც კიდევ ვახსენებთ ჩვენს წერილში, ისევე როგორც ძამპარინის. ერთ თვეში ესტაფეტა „ვოლფსბურგმა“ გადაიბარა, სადაც „რკინის“ **ფელიქს მაგათი** მოხსნეს...

### კითხვის ნიშნების მაგივრად

ევროპული ფეხბურთის ამინდს მაინც რამდენიმე გრანდი ქმნის და სწორედ ამ გრანდებში ხდება ცვლილებები. ასე რომ, გაისად ბევრი რამ შეიცვლება. ჯერ უბრალოდ ჩამოვთვლით კლუბებს, სადაც ახალი მწვრთნელები დაიწყებენ: „რეალი“, „მანჩესტერ იუნაიტედი“, „ბაიერნი“, „ჩელსი“, „ნაპოლი“, „ვერდერი“, „მალაგა“, „ინტერი“! გარდა ამისა, დიდი ალბათობით იგივე ელით „მილანს“, „რომას“, ხმები დაირხა, „ბარსელონასაცო“...

წარმოიდგინეთ, ევროპის ტოპკლუბების კარგა დიდი ნაწილი ძირეულად შეცვლის ბევრ რამეს, ზოგჯერ თამაშის სტილსაც კი. ბუნებრივია, ეს საინტერესო ძალთა გადაადგილებას გვპირდება მომავალი სეზონისთვის. ასე რომ, მთავარია, ქვემოთ ცხრილში კითხვის ნიშნების მაგივრად, რომელი სპეციალისტების გვარები ჩაიწერება.

ყველას გვაინტერესებს, როგორი იქნება პოსტმოურინიოსეული მადრიდის „რეალი“, ან (თუ ეს ტრანსფერი შედგა) **ჟოზეს** „ჩელსი II“. რას იზამს „ინტერში“ **ვალტერ მაცარი**, როგორ მოერგება „ნაპოლის“ სამხრეთულ ტემპერამენტს **რაფა ბენიტესი**, როგორ გაართმევს თავს „მანჩესტერ იუნაიტედში“ სერ **ალექსის** უზარმაზარ მემკვიდრეობას **დევიდ მოიესი**, როგორ შეძლებს **იუპ ჰაინკესის** მიერ მწვერვალზე აყვანილი „ბაიერნის“ გაძლოლას **პეპ გვარდიოლა.** დაგვეთანხმებით, ერთმანეთზე საინტერესო კითხვებია.

### გიჟთან საქმე არ უნდა დაიჭირო

ძამპარინი მართლაც რეკორდსმენია: პრეზიდენტმა მარტო ის არ იკმარა, რომ მწვრთნელი სეზონის დაწყებიდან ერთ თვეში მოისროლა. საქმე ისაა, რომ „პალერმომ“ სეზონი სწორედ იმავე ჯუზეპე სანინოსთან ერთად ჩაამთავრა, სეზონის დასაწყისში მოხსნილი, ბოლოსკენ დააბრუნეს. საბრალო სიცილიურ კლუბს (ის სერია B-ში გავარდა) სეზონის შუაშიც ბევრი უცნაურობა დამართა უცნაურმა პრეზიდენტმა: სანინო **ჯან პიერო გასპერინიმ** შეცვალა, რომელსაც კარზე თებერვალში მიუთითეს, ვინც **ალბერტო მალეზანიმ** შეცვალა. მალეზანიმ პოსტზე 20 დღე გაძლო და ძამპარინიმ ის 20 დღის წინათ გაგდებული გასპერინით შეცვალა! უთავმოყვარო მწვრთნელს ძამპარინი კიდევ ერთხელ, უკვე 15 დღეში დაემშვიდობა და სეზონის დასაწყისში გაგდებული სანინო დააბრუნა. ვფიქრობთ, ეს კაცი გინესის რეკორდების წიგნშია შესაყვანი.

### ქუდბედიანი მანჩინი

**რობერტო მანჩინი** შესაძლოა, ტოპმწვრთნელი არ არის (თუმცა კარგი სპეციალისტია უთუოდ), მაგრამ კონტრაქტის შედგენა ნამდვილად ყველაზე კარგად უწყის. ის უკვე აღარ იყო „ინტერში“, როცა მაინც ყველაზე მაღალანაზღაურებად მწვრთნელად ითვლებოდა მსოფლიოში. ახლაც, მართალია, იტალიელი „მანჩესტერ სიტიმ“ გაუშვა, მაგრამ მისთვის 33 მილიონი ევროს კომპენსაციის გადახდა მოუწევს. მანჩინის უდარდელად შეუძლია იყოს, თუმცა ჰორიზონტზე კიდევ ერთი „ფულის მუთაქა“ კლუბი გამოჩნდა - „მონაკო“ და დარწმუნებული ვართ, თუ შანსი მიეცა, იტალიელი ამასაც გამოიყენებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**ლა ლიგა**

| თარ. | მწვრთნელი | გუნდი | მიზეზი | შემცვლელი |
|---|---|---|---|---|
| 26 ნოემ. | მაურისიო პოჩეტინო | ესპანიოლი | შეთანხმება | ხავიერ აგირე |
| 1 დეკ. | მაურისიო პელეგრინო | ვალენსია | მოხსნეს | ერნესტო ვალვერდე |
| 30 დეკ. | ხოსე ოლტრა | დეპორტივო | მოხსნეს | დომინგოს პასიენსია |
| 14 იან. | მიჩელი | სევილია | მოხსნეს | უნაი ემერი |
| 30 იან. | ხუან ანკელა | გრანადა | მოხსნეს | ლუკას ალკარასი |
| 4 თებ. | ხოაკინ კაპაროსი | მალიორკა | მოხსნეს | გრეგორიო მანსანო |
| 11 თებ. | დომინგოს პასიენსია | დეპორტივო | შეთანხმება | ფერნანდო ვასკესი |
| 18 თებ. | პაკო ერერა | სელტა | მოხსნეს | აბელ რესინო |
| 1 ივნ. | ჟოზე მოურინიო | რეალი | შეთანხმება | ? |
| 1 ივნ. | მანუელ პელეგრინი | მალაგა | შეთანხმება | ? |
| 1 ივნ. | ფილიპ მონტანიე | სოსიედადი | შეთანხმება | ? |

**პრემიერლიგა**

| თარ. | მწვრთნელი | გუნდი | მიზეზი | შემცვლელი |
|---|---|---|---|---|
| 21 ნოემ | რობერტო დი მატეო | ჩელსი | მოხსნეს | რაფაელ ბენიტესი |
| 23 ნოემ | მარკ ჰიუზი | ქპრ | მოხსნეს | ჰარი რედნაპი |
| 18 იან | ნაიჯელ ედკინსი | საუთჰემპტ. | მოხსნეს | მაურისიო პოჩეტინო |
| 11 მარ | ბრაიან მაკდერმოტი | რედინგი | მოხსნეს | ნაიჯელ ედკინსი |
| 30 მარ | მარტინ ონილი | სანდერლენდი | მოხსნეს | პაოლო დი კანიო |
| 13 მაი | რობერტო მანჩინი | სიტი | მოხსნეს | ბრაიან კიდი (დრ.) |
| 19 მაი | რაფაელ ბენიტესი | ჩელსი | შეთანხმება | ? |
| 19 მაი | ალექს ფერგიუსონი | იუნაიტედი | პენსია | დევიდ მოიესი |
| 19 მაი | დევიდ მოიესი | ევერტონი | შეთანხმება | ? |
| 28 მაი | რობერტო მარტინესი | უიგანი | შეთანხმება | ? |

**ბუნდესლიგა**

| თარ. | მწვრთნელი | გუნდი | მიზეზი | შემცვლელი |
|---|---|---|---|---|
| 25 ოქტ | ფელიქს მაგათი | ვოლფსბურგი | შეთანხმება | დიტერ ჰეკინგი |
| 3 დეკ | მარკუს ბაბელი | ჰოფენჰაიმი | მოხსნეს | მარკო კურცი |
| 16 დეკ | ჰუუბ სტევენსი | შალკე | მოხსნეს | იენს კელერი |
| 22 დეკ | დიტერ ჰეკინგი | ნიურნბერგი | შეთანხმება | მიხაელ ვაიზინგერი |
| 20 თებ | მაიკ ბიუსკენსი | ფიურტი | მოხსნეს | ფრანკ კრამერი |
| 2 აპრ | მარკო კურცი | ჰოფენჰაიმი | მოხსნეს | მარკუს გისდოლი |
| 15 მაი | თომას შააფი | ვერდერი | შეთანხმება | ვოლფგანგ როლფი (დრ) |
| 18 მაი | იუპ ჰაინკესი | ბაიერნი | შეთანხმება | ხოსეპ გვარდიოლა |
| 27 მაი | ვოლფგან როლფი (დრ) | ვერდერი | შეთანხმება | რობინ დუტი |
| 27 მაი | ნორბერტ მაიერი | ფორტუნა | შეთანხმება | ? |

**სერია A**

| თარ. | მწვრთნელი | გუნდი | მიზეზი | შემცვლელი |
|---|---|---|---|---|
| 16 სექტ | ჯუზეპე სანინო | პალერმო | მოხსნეს | ჯან პიერო გასპერინი |
| 2 ოქტ | დომენიკო დი კარლო | კიევო | მოხსნეს | ეუგენიო კორინი |
| 2 ოქტ | მასიმო ფიკადენტი | კალიარი | მოხსნეს | ივო პულგა |
| 22 ოქტ | ლუიჯი დე კანიო | ჯენოა | მოხსნეს | ლუიჯი დელნერი |
| 18 ნოემ | ჯოვანი სტროპა | პესკარა | გადადგა | კრისტიანო ბერგოდი |
| 17 დეკ | სერსე კოსმი | სიენა | მოხსნეს | ჯუზეპე იაკინი |
| 17 დეკ | ჩირო ფერარა | სამპდორია | მოხსნეს | დელიო როსი |
| 21 იან | ლუიჯი დელნერი | ჯენოა | მოხსნეს | დავიდე ბალარდინი |
| 2 თებ | ზდენეკ ზემანი | რომა | მოხსნეს | აურელიო ანდრეაცოლი |
| 4 თებ | ჯან პიერო გასპერინი | პალერმო | მოხსნეს | ალბერტო მალეზანი |
| 24 თებ | ალბერტო მალეზანი | პალერმო | მოხსნეს | ჯან პიერო გასპერინი |
| 3 მარ | კრისტიან ბერგოდი | პესკარა | მოხსნეს | კრისტიან ბუჩი |
| 11 მარ | ჯან პიერო გასპერინი | პალერმო | შეთანხმება | ჯუზეპე სანინო |
| 19 მაი | ვალტერ მაცარი | ნაპოლი | შეთანხმება | რაფაელ ბენიტესი |
| 25 მაი | ანდრეა სტრამაჩონი | ინტერი | მოხსნეს | ვალტერ მაცარი |

კრისტალ პალასი

# აუტსაიდერობისთვის განწირული არწივები

27 მაისს „უემბლიზე“ **იან ჰოლოვეის** „კრისტალ პალასისა“ და **ჯანფრანკო ძოლას** „უოტფორდის“ დაპირისპირებაში 2013/14 წლების პრემიერლიგის უკანასკნელი მონაწილე გამოვლინდა. ელიტაში თამაშის უფლება ლონდონელმა „არწივებმა“ მოიპოვეს. პრემიერლიგაში გადასვლა ბევრად უფრო იოლია, ვიდრე იქ ფეხის მოკიდება. დედაქალაქელებს ეს ნამდვილად არ ესწავლებათ. პირველად ელიტაში ეს გუნდი 1969/70 წლების სეზონში გამოჩნდა და 1972/1973-ში ისევ დაემშვიდობა მას. მეორედ ის უკვე 1979/80-ში ვიხილეთ საუკეთესო ინგლისური გუნდების გვერდით, მაგრამ მათთვის დღესასწაული არც ამჯერად გაგრძელებულა დიდხანს. „პალასმა“ უკანასკნელად პრემიერლიგაში 9 წლის წინ, სწორედ პლეი ოფში მოიპოვა ეს უფლება, მაგრამ **იან დოუის** გუნდმა ვერც მაშინ გაუძლო საჭიდაო რიტმს და პირველივე სეზონში გავარდა. საფეხბურთო მიმომხილველებს ახლაც ეჭვი ეპარებათ, რომ გუნდმა დიდხანს მოახერხოს დარჩენა. ინგლისელმა ჟურნალისტებმა „უოტფორდთან“ გამარჯვებული შემადგენლობის საბაზრო ღირებულება გამოთვალეს და აღმოაჩინეს, რომ კლუბს 11 ფეხბურთელში მხოლოდ 2,15 მილიონი ფუნტი აქვს დახარჯული: ყველაზე ძვირი ჰოლოვეის შეგირდებს შორის **კაგიშო დიკგაჩოია**, „არწივებს“ „ფულჰემიდან“ მისი შეძენა 600 ათასი ფუნტი დაუჯდათ, **იულიან სპერონიში** 500 ათასია გადახდილი („დანდი იუნაიტედი“), **ჯოელ ვორდსა** და **დინ მოქსიში** – 400-400 ათასი (შესაბამისად „პორტსმუთი“ და „დერბი ქაუნთი“), **ოუენ გარვანში** კი - 250 ათასი („იპსვიჩი“). დანარჩენი ფეხბურთელებიდან ზოგი კლუბის აღზრდილია, ზოგი იჯარით თამაშობს, როგორც მაგალითად **უილფრიდ ზაჰა**, ვინც „მანჩესტერ იუნაიტედში“ ბრუნდება, და ზოგიც თავისუფალი აგენტის სტატუსით მოვიდა. არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ კატასტროფული მდგომარეობაა საკადრო თვალსაზრისით: ერთ თვეში 14 ფეხბურთელს უმთავრდება კონტრაქტი, ერთ წელიწადში კი 8 მათგანი ისარგებლებს თავისუფალი აგენტის სტატუსით, თუკი კლუბმა მათთან ხელშეკრულებები არ განაახლა.

ამ ყველაფრის გათვალისწინებითაც კი, რასაკვირველია, ლონდონელებს აქვთ მიღწეულით ტკბობის უფლება, მაგრამ უმჯობესია, მაინც საქმეს მიხედონ. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ძალიან მძიმე დღეები ელით. მით უფრო, რომ „სელჰერსტ პარკზე“ აღარ ითამაშებს უილფრიდ ზაჰა. რაც შეეხება **კევინ ფილიპსს**, ოდესღაც ინგლისის ნაკრების ფეხბურთელი უკვე 39 წლის არის და მის იმედად ყოფნა უკვე ძალიან ძნელი იქნება.


„კრისტალ პალასსა“ და იან ჰოლოვეის პრემიერლიგასთან ხანგრძლივი რომანის გაჩაღება ჯერჯერობით არ გამოსდით

რა შეიძლება ითქვას „არწივების“ მთავარ მწვრთნელზე? იან ჰოლოვეის პრემიერლიგაში ადრეც უმუშავია, მაგრამ წარმატებით ნამდვილად ვერ დაიკვეხნის. ის 2010/11-ის სეზონში „ბლექპულს“ ხელმძღვანელობდა და საბოლოოდ მხოლოდ მე-19 ადგილზე მოახერხა გუნდის გაყვანა. მრავალ ჭირნანახ სპეციალისტს ამჯერადაც წინასწარ უკიჟინებენ, რომ ის და მისი ფეხბურთელები სეზონის უმთავრესი აუტსაიდერები იქნებიან.

**ლევან ბიბილაშვილი**

ამბები


მარკ ჰიუზი

### ჰიუზი პულისის ადგილას

**ტონი პულისის** გადადგომის შემდეგ „სტოკ სიტიში“ დანიშვნის კანდიდატად რამდენიმე სპეციალისტი დასახელდა. კლუბის მენეჯმენტის არჩევანი საბოლოოდ **მარკ ჰიუზზე** შეჩერდა. ეტყობა, „სტოკს“ არ აშინებს იმ გუნდების გამოცდილება, სადაც უელსელს ოდესმე უმუშავია. უკანასკნელად ის „ქუინზ პარკის“ მთავარი მწვრთნელი იყო და „ლოფტუს როუდიდან“ იმიტომ დაითხოვეს, რომ გუნდმა პრემიერლიგის სასტარტო 17 ტურში ვერ მოიგო. ლაპარაკია, რომ 49 წლის სპეციალისტს 1-წლიან ხელშეკრულებას შესთავაზებენ.

### საით გააქროლებს ბენტლი?

„ტოტენჰემის“ 28 წლის ნახევარმცველ **დევიდ ბენტლიზე** თავის დროზე დიდ იმედებს ამყარებდნენ, მაგრამ ბოლო რამდენიმე წელიწადია, მას კარიერა აერია. უკანასკნელი სეზონი ფეხბურთელმა იჯარით „როსტოვსა“ და „ბლექბერნში“ გაატარა, თუმცა ორივეგან იმდენად ულიმლამოდ ასპარეზობდა, რომ კლუბებმა მასთან თანამშრომლობის გაგრძელება აღარ ისურვეს. ფეხბურთელმა იცის, რომ „უაით ჰარტ ლეინზე“ თამაშის შანსი მას არც მომავალში მიეცემა, ამიტომ მზადაა, „ვესტ ბრომვიჩის“, „უიგანისა“ და „ვესტ ჰემის“ წინადადებები მოისმინოს.


დევიდ ბენტლი

**ლევან ბიბილაშვილი**

იტალიის ნაკრები



სტეფან ელ შაარავიმ ვარჯიშზე ტრავმა მიიღო

# პრანდელიმ გუნდი დარაზმა

## ოსვალდო მოკვეთეს, ელ შაარავი დაშავდა

სატრანსფერო ჭორ-მართალთან და სამწვრთნელო გადანაცვლებებთან ერთად, იტალიურ სპორტულ პრესაში დიდი ადგილი სანაკრებო თემატიკას ეთმობა. 31 მარტს, იტალიის ეროვნული გუნდი სან მარინოს ამხანაგურად გაეჯიბრება, 7 ივნისს ჩეხეთთან მოუწევს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის პაექრობა, 16 ივნისიდან კი კონფედერაციათა თასზე ჩაერთვება და პირველ მატჩს მექსიკასთან გამართავს. ჩეზარე პრანდელიმ შეგირდები უკვე დარაზმა და კოვერჩიანოს საწვრთნელ ბაზაზე ავარჯიშებს. აქვე, „აძურას“ გაფართოებულ შემადგენლობას გაგაცნობთ, საიდანაც კონფედერაციათა თასისთვის 23 მოთამაშე შეირჩევა.

**მეკარეები:** ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი), ფედერიკო მარკეტი (ლაციო), სალვატორე სირიგუ (პსჟ, საფრანგეთი), მიკაელ აგაცი (კალიარი).

**მცველები:** ინაციო აბატე (მილანი), ლუკა ანტონელი (ჯენოა), დავიდე ასტორი (კალიარი), ანდრეა ბარცალი (იუვენტუსი), ჯორჯო კიელინი (იუვენტუსი), ლეონარდო ბონუჩი (იუვენტუსი), მატია დე შილიო (მილანი), ანჯელო ოგბონა (ტორინო), ანდრეა რანოკია (ინტერი).

**ნახევარმცველები:** ალბერტო აკვილანი (ფიორენტინა), ჯაკომო ბონავენტურა (ატალანტა), ანტონიო კანდრევა (ლაციო), ალესიო ჩერჩი (ტორინო), დანიელე დე როსი (რომა), ალესანდრო დიამანტი (ბოლონია), ემანუელე ჯაკერინი (იუვენტუსი), ანდრეა პირლო (იუვენტუსი), კლაუდიო მარკიზიო (იუვენტუსი), რიკარდო მონტოლივო (მილანი), ანდრეა პოლი (სამპდორია).

**თავდამსხმელები:** სტეფან ელ შაარავი (მილანი), მარიო ბალოტელი (მილანი), ალბერტო ჯილარდინო (ბოლონია), სებასტიან ჯოვინკო (იუვენტუსი), მარკო საუ (კალიარი).

■ ■ ■

ამ სიაში **პაბლო დანიელ ოსვალდოც** იყო, მაგრამ **აურელიო ანდრეაცოლისთან** კონფლიქტის გამო, **ჩეზარე პრანდელიმ** ნაკრებიდან მოკვეთა. ამრიგად, თავდასხმაში მხოლოდ ხუთი მოთამაშე დარჩა და გამომდინარე აქედან, დიდი ალბათობით, სეკვესტრი შეტევას არ შეეხება. თუმცა, მაინც არ არის გამორიცხული პრანდელიმ ოთხი ფორვარდი დატოვოს და რომელიმე სახლში გაუშვას. ფორვარდთაგან დებიუტანტია **მარკო საუ**, რომელსაც „კალიარიში“ შესანიშნავი სეზონი ჰქონდა. საუმ „გაძეტა დელო სპორტთან“ კომენტარი გააკეთა და როგორც ასეთ დროს ხდება, სიხარული საჯაროდ გამოხატა - მადლობა თავის გუნდს, „კალიარის“ გადაუხადა, რომელმაც ეროვნული ნაკრებისკენ გზა გაუხსნა. ფორვარდთა შორის ვერ ვხედავთ **ალესანდრო მატრის, ფაბიო კვალიარელას** და **ჯამპაოლო პაცინის**, თუმცა ეს უკანასკნელი ტრავმირებულია და მაინც ვერ გამოიძახებდა პრანდელი.

ნახევარდაცვას **მარკო ვერატი** აკლია, რომელიც პრანდელიმ ევროპის ჩემპიონატის სამზადისში მყოფ ახალგაზრდულ ნაკრებს დაუთმო. სამაგიეროდ, გუნდშია **ანდრეა პოლი** – კიდევ ერთი ახალგაზრდა, რომელსაც ეროვნულ ნაკრებში აქამდე ერთხელ უთამაშია. როგორც იქნა, გამოძახება დაიმსახურა **ალბერტო აკვილანიმ**, რომელმაც მთელი სეზონი ბრწყინვალედ ითამაშა. დაცვაში ყველაზე მეტი მოულოდნელობაა – განაცხადს მიღმა დარჩნენ **ფედერიკო ბალცარეტი** და **კრისტიან მაჯო**... არადა, ევროპის ჩემპიონატზე სწორედ ისინი იყვნენ ძირითად შემადგენლობაში. როგორც ჩანს, პრანდელი ფლანგებს „მილანისტებს“ მიანდობს: **ინაციო აბატეს** და **მატია დე შილიოს**.

აქვე ვთქვათ, რომ ბოლო ვარჯიშზე ტრავმა მიიღო **სტეფან ელ შაარავიმ** და გადაწყვეტილია, რომ სან მარინოსთან ამხანაგურ შეხვედრას გამოტოვებს. საეჭვოა მისი ჩეხეთთან ასპარეზობაც, აი კონფედერაციათა თასისთვის კი წესით სრულ მზადყოფნაში უნდა იყოს.

ნაპოლი

# ბენიტესი უკვე ოფიციალურად

## კავანი: ჩემი ბედი პრეზიდენტის ხელშია



რაფაელ ბენიტესს ნეაპოლური დრო დაუდგა

„ნაპოლის“ პრეზიდენტმა **აურელიო დე ლაურენტისმა** ოფიციალურად დაადასტურა, რომ გუნდის ახალი მთავარი მწვრთნელი **რაფაელ ბენიტესია**. სენიორ აურელიომ საგანგებო განცხადება გააკეთა, აღნიშნა, რომ კონტრაქტი უკვე გაფორმებულია, მაგრამ ხელშეკრულების დეტალებზე არაფერი უთქვამს. ერთი სიტყვით, თუ კიდევ რაიმე კითხვის ნიშანი არსებობდა, ისიც მოიხსნა და უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნეაპოლურ გუნდში ბენიტესის ერა იწყება. თუმცა, ერა იქნება ეს, ეპოქა თუ გაელვება, დრომ უნდა გვიჩვენოს. რაფას დანიშვნას „ნაპოლის“ ლიდერი **ედინსონ კავანი** გამოეხმაურა და ბუნებრივია, მის წასვლა-არწასვლის საკითხზეც გააკეთა კომენტარი:

*„ბენიტესს ევროტურნირებზე ასპარეზობის უდიდესი გამოცდილება აქვს და არაერთი ტროფეი მოუგია. ვფიქრობ, ეს ისაა, რაც „ნაპოლის“ ყველაზე მეტად სჭირდება. კლუბის მესვეურთა გადაწყვეტილებას ვემხრობი, რადგან რაფა თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტია. რაც შეეხება ჩემს ტრანსფერს, ყველაფერი აურელიო დე ლაურენტისზეა დამოკიდებული. სიმართლე გითხრათ, წასვლის დიდი სურვილი არ მაქვს, მაგრამ ეს ამბავი მხოლოდ ჩემი გადასაწყვეტი არაა. იმხელა თანხა სახელდება, რომ დიდია შანსი, ჩემი განსხვისება ნეაპოლელებს სურდეთ და ასეთ შემთხვევაში, არც მე გამოვიდებ თავს. თუმცა, კიდევ ერთხელ ვადასტურებ, რომ ნეაპოლში ბედნიერი ვარ და წასვლის სურვილი არ მაქვს“.*

შეგახსენებთ, რომ ედინსონ კავანის სატრანსფერო ღირებულება 63 მილიონი ევროა. რამდენიმე დღის წინ, ნეაპოლური კლუბის პრეზიდენტმა ლიად განაცხადა, რომ ასეთ თანხად ნებისმიერი ფეხბურთელის გაყიდვა ღირს, რადგან შეგიძლია 3-4 უმაღლესი დონის მოთამაშე გადაიბირო. მოკლედ, პრეზიდენტმა ტიფოზები ტრანსფერისთვის შეამზადა, მაგრამ რა მოხდება, ეს ჯერ კიდევ ძნელი სათქმელია.

იუვენტუსი

# იოვეტიჩი იუვეში გადადის

## 18 მილიონი და 2 ფეხბურთელი სანაცვლოდ



სტევან იოვეტიჩი

ტურინის „იუვენტუსის“ მესვეურები **გონსალო იგუაინის** მიმართულებით გადამწყვეტ შტურმზე არიან, მაგრამ ეს არ უშლით ხელს იმაში, რომ სხვა ფრონტზეც გააქტიურდნენ. „კორიერე დელო სპორტმა“ ისეთი ინფორმაცია გაავრცელა, რომელმაც მთელი საფეხბურთო იტალია აალაპარაკა – ავტორიტეტული გამოცემის მტკიცებით, „იუვეს“ მესვეურები ფლორენციელ კოლეგებს **სტევან იოვეტიჩის** ტრანსფერზე შეუთანხმდნენ და შესაბამისად, 23 წლის ჩერნოგორიელი შემტევი „ვეკია სენიორაში“ გააგრძელებს კარიერას. ითქვა ისიც, რომ სანაცვლოდ ფლორენციელები 18 მილიონ ევროს და პლუს ორ ფეხბურთელს მიიღებენ. ერთი აუცილებლად **მაურისიო ისლა** იქნება, მეორე კი შემდეგი ოთხი ფეხბურთელიდან აირჩევა: **ალესანდრო მატრი, ფაბიო კვალიარელა, სებასტიან ჯოვინკო, ლუკა მარონე,**

ტურინელთა შეთავაზება მართლაც მაცდურია, მით უმეტეს, იოვეტიჩს ტრავმები სჩვევია და როგორც წესი, სეზონის დიდი თუ არა, გარკვეული ნაწილი მაინც უცდება. 18 მილიონი ევრო და პლუს ორი მაღალი კლასის ფეხბურთელი, ხუმრობა საქმე ნამდვილად არაა... ჯერჯერობით, მხარეები აღნიშნულ ინფორმაციას არ ადასტურებენ, მაგრამ ჟურნალისტებმა იმდენად დეტალებში გვამცნეს შემდგარი გარიგების შესახებ, რომ რთულია არდაჯერება.

ამასობაში, მედიას „იუვეს“ მთავარი მწვრთნელი **ანტონიო კონტე** გაესაუბრა და იმედი გამოთქვა, რომ მისი გუნდი „ინტერის“ ბედს არ გაიზიარებს: *„ყველას გვახსოვს თუ როგორ თამაშობდა „ინტერი“ ჟოზე მოურინიოს დროს, სულ მოკლე პერიოდში კი იმ გუნდისგან არაფერი დარჩა. ეს კიდევ ერთი დადასტურებაა იმის, რომ მწვერვალზე ასვლა რთულია, მაგრამ კიდევ უფრო რთული სიმაღლის შენარჩუნებაა. ყველანაირად უნდა ვეცადოთ, რომ „ინტერის“ ბედი არ გავიზიაროთ, ამისთვის კი თავდადებული შრომა და ჭკვიანური გადაწყვეტილებებია საჭირო. სატრანსფერო ფანჯარა აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ, რადგან გუნდს გადახალისება სჭირდება. ახალი ფეხბურთელები ახალი მოტივაციით მოვლენ და სწორედ ეს დაგვეხმარება პრობლემების თავიდან აცილებაში“.*

რომა

# ოსვალდოს რომაში აღარ დაედგომება

## მსურველები კი არ აკლია

იტალიურ სპორტულ პრესაში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემა „რომას“ მწვრთნელ-ფეხბურთელს შორის მომხდარი კონფლიქტია. იტალიის თასის ფინალში, **პაბლო დანიელ ოსვალდო** სათადარიგოთა სკამზე დარჩა, რამაც 27 წლის ფორვარდი საშინლად ალაშფოთა და ემოციები ჯერ კიდევ თამაშის მსვლელობისას ვერ დამალა. ოსვალდომ **აურელიო ანდრეაცოლი** თამაშის შემდეგაც გალანძღა და მას არაკომპეტენტური უწოდა. თავის მხრივ, არც მწვრთნელმა დაიხია უკან და ფეხბურთელს ხმის ჩაგდებისკენ მოუწოდა. ყველაფერმა ამან კიდევ უფრო აქტუალური გახადა ოსვალდოს „რომადან“ აბარგების თემა და მას ახალი მსურველებიც გამოუჩნდნენ. აქამდე, პაბლოს გადაბირება „ფიორენტინას“ და ინგლისურ „ტოტენჰემს“ სურდათ, მათ რიცხვს კი „ნაპოლი“ და „ინტერი“ შეუერთდნენ.

„გაძეტა დელო სპორტის“ მტკიცებით, ოსვალდოს გასხვისების წინააღმდეგნი არც „რომას“ მესვეურები არიან, რადგან ფეხბურთელი ხშირად ეხვევა კონფლიქტებში და გუნდში აშკარად აფუჭებს ატმოსფეროს. თუნდაც **ფრანჩესკო ტოტისთან** დაპირისპირება რად ღირს, როდესაც კაპიტანს თერთმეტმეტრიანის დარტყმა არ დაანება და რაც მთავარია, გააცუდა. მოკლედ, დიდი ალბათობით, ოსვალდო წავა „ჯალოროსიდან“ და საკითხავი ისაა, სად გააგრძელებს კარიერას... ფეხბურთელის საბაზრო ღირებულება 17 მილიონი ევროა, თუმცა რომაელები ალბათ 15-ზეც დათანხმდებიან.

სავარაუდო ტრანსფერი



# ილიჩიჩს ფიორენტინაში უნდა

„პალერმომ“ სეზონი საშინლად ჩაატარა და სერია B-ში გავარდა. ამიტომ გუნდის წამყვანი ფეხბურთელები გაქცევაზე არიან და ახალ ნავსაყუდლებს ეძებენ. ყველაზე მოთხოვნადი მოთამაშე 25 წლის **იოსიპ ილიჩიჩია**, რომელმაც უკვე დასრულებულ სეზონში 31 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და 10 გოლი გაიტანა. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ილიჩიჩი სიღრმიდან უტევს და კლასიკური ცენრფორვარდი არ არის, შედეგი საკმაოდ კარგია. არაერთხელ გავრცელდა ცნობები, რომ იოსიპის გადაბირება „მილანის“ და „რომას“ მესვეურებს სურთ, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, თავად ფეხბურთელს „ფიორენტინასკენ“ მიუწევს გული:

*„რამდენიმე შეთავაზება მივიღე და ყველას სიამოვნებით განვიხილავ, მაგრამ ჯერ გამიჭირდება იმაზე ლაპარაკი თუ სად შეიძლება გავაგრძელო კარიერა. გავიგე, რომ ჩემი გადაბირება „ფიორენტინასაც“ სურს და ამან ყველაზე მეტად გამახარა. ფლორენციული გუნდი საოცრად კარგ ფეხბურთს თამაშობს და ვინჩენცო მონტელას მუშაობის სტილიც ძალიან მომწონს. ჯერჯერობით, ფლორენციიდან არავინ შემხმიანებია, მაგრამ იმედი მაქვს, მოლაპარაკების პროცესი დაიწყება“.*

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● რეალი



ფლორენტინო პერესის დასაყრდენი ამიერიდან ზიდანია

## ფლორენტინო პერესი:

# რონალდოს ყველაზე მაღალანაზღაურებად ფეხბურთელად ვაქცევ

### ახალი პროექტის ლიდერი ზინედინ ზიდანი იქნება

ერთი მატჩიც და **ჟოზე მოურინიოს** 3-წლიანი ერა მადრიდის „რეალში" დასრულდება, პორტუგალიელის კონტრაქტი დაირღვევა და ის სხვაგან (სავარაუდოდ, ლონდონის „ჩელსიში") წავა. ჯერ არ არის ცნობილი, ვინ იქნება „სამეფო კლუბის" ახალი მთავარი მწვრთნელი, მაგრამ უკვე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ის არ იქნება მთავარი პერსონა (როგორც ჟოზე იყო) - ახალი პროექტის ცენტრში კი **ზინედინ ზიდანი** იქნება.

სწორედ ეს სურვილი დააფიქსირა „კადენა სერთან" ინტერვიუში „რეალის" პრეზიდენტმა **ფლორენტინო პერესმა**, რომელსაც ივნისში კლუბის პრეზიდენტის არჩევნები ელის. თუმცა მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ პერესს კარგი შანსი აქვს, კიდევ ერთი ვადით გახდეს „სამეფო კლუბის" ბოსი.

მაშ ასე, „რეალის" ახალი პროექტის ხელმძღვანელი და სულის ჩამდგმელი მომავალი სპორტული დირექტორი, დიდი ფრანგი ზინედინ ზიდანი იქნება. მთავარი მწვრთნელის პოსტის ჩაბარება ფლორენტინოს აშკარად **კარლო ანჩელოტისთვის** სურს, თუმცა ამას ხელს „პარი სენ-ჟერმენთან" გაფორმებული კონტრაქტი უშლის. ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, მიუნხენის „ბაიერნის" მწვრთნელის, **იუპ ჰაინკესის** ვარიანტი, თავად ასაკოვანი გერმანელის ინიციატივაა, „რეალში" კი ამ ვარიანტით დიდად აღფრთოვანებულნი არ არიან.

#### რონალდოზე

„კადენა სერთან" საუბარში პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი **კრიშტიანო რონალდოს** საკითხს შეეხო. ბოსმა განაცხადა, რომ მისი სურვილია, პორტუგალიელი მსოფლიოში ყველაზე მაღალანაზღაურებად ფეხბურთელად აქციოს (ასეთი ახლა **ლეო მესია**).

*„მე მსურს, კრიშტიანო რონალდო მსოფლიოში ყველაზე მაღალანაზღაურებად ფეხბურთელად ვაქციო. ჩვენს ხელთ არსებულ ყველა ძალას გამოვიყენებთ, რომ მან თავი ბედნიერად იგრძნოს „რეალში"*, - განაცხადა პერესმა.

შეგახსენებთ, რომ სეზონის დასაწყისში რონალდომ განაცხადა, რომ არ არის ბედნიერი მადრიდულ კლუბში. მაშინ მას არ დაუკონკრეტებია, რის გამოც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. როგორც ჩანს, საქმე მაინც ფინანსურ საკითხშია. „რეალი" უახლოეს ხანებში რონალდოს გაუმჯობესებულ კონტრაქტს შესთავაზებს.

#### ახალ მწვრთნელზე

„ჩვენ ჯერ არ ვიცით, ვინ იქნება „რეალის" ახალი თავკაცი. ამის შესახებ მომდევნო კვირაში ვიმსჯელებთ და გადავწყვეტთ. მაგრამ ჩვენი სურვილია, ახალი პროექტის ცენტრი, სული და გული ზინედინ ზიდანი გახდეს. ის უნდა იყოს ჩვენი პროექტის ლიდერი".

#### ჟოზე მოურინიოზე

„ჟოზე „რეალიდან" მიდის. როგორი მწვრთნელი იყო ის. ყველა ფეხბურთელი მეუბნება მხოლოდ კარგს მის შესახებ, ისინი ამბობენ, რომ მოურინიო საუკეთესოა".

#### იკერ კასილიასზე

„ჩემთვის იკერ კასილიასი მსოფლიოში საუკეთესო მეკარეა. მაგრამ კლუბი არ ჩაერეოდა მწვრთნელის საქმეებში, ეს გამორიცხულია".

#### ანჩელოტის კანავარო მოჰყავს?

ამასობაში ირკვევა, რომ თუ კარლო ანჩელოტი მაინც მოახერხებს პსჟ-სთან ურთიერთობის გარკვევას და „რეალში" გადასვლას, მას სურს ასისტენტად 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონი **ფაბიო კანავარო** წაიყვანოს, „რეალის" ყოფილი ფეხბურთელი.

#### ვინ სურთ „რეალის" ფანებს

„მარკამ" „რეალის" 200 ათასამდე ფანი გამოკითხა, თუ რომელი ფეხბურთელის დამატება სურთ „სამეფო კლუბში". ფანებს 3-3 ვარიანტიდან ერთი უნდა ამოერჩიათ: **გარეთ ბეილის, ედინსონ კავანის** და **სერხიო აგუეროს** შორის „რეალის" ფანებმა (64%) ხმა უელსელ ფეხბურთელს მისცეს. **ილქაი გიუნდოგანს, არტურო ვიდალს** და **ჟოფრეი კონდობიას** შორის კი გაიმარჯვა „დორტმუნდის" ნახევარმცველმა (58%).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



კარლო ანჩელოტის (მარცხნივ) კანავაროს რეალში წაყვანა სურს

● ამბები

## საით, ხესუს: სიტი იხდის, რეალი სურს

„მანჩესტერ სიტი" გაძლიერებას ესპანეთის ნაკრებისა და „სევილიას" 27 წლის გარემარბით, **ხესუს ნავასით** აპირებს. ინგლისელები ესპანელის სანაცვლოდ 30 მილიონი ევროს გადახდას აპირებენ. ნავასს მეორე ვარიანტიც აქვს - მადრიდის „რეალი" და ანდალუსიელს გული უფრო „სამეფო კლუბისკენ" მიუწევს.

„სევილია" თანახმაა, თავის ლიდერს შეელიოს, თუ მასში 30 მილიონ ევროს გადაიხდიან.

## დეპორის ლეგენდა მიდის

„დეპორტივოს" ლეგენდამ, 38 წლის **ხუან კარლოს ვალერონმა**, როგორც მოსალოდნელი იყო, ფეხბურთიდან წასვლის შესახებ განაცხადა.

ვალერონს ესპანეთის ჩემპიონატის უკანასკნელ ტურში, „რეალ სოსიედადის" წინაალმდეგ გააცილებენ. ვალერონმა 14 სეზონი უერთგულა „დეპორტივოს" მანამდე ის „ლას პალმასში", „მალიორკასა" და „ატლეტიკოში" თამაშობდა. ესპანეთის ნაკრებში ნახევარმცველმა 46 თამაშში 5 გოლი გაიტანა. ვალერონი არის ესპანეთის თასის და ესპანეთის სუპერთასის (2-ჯერ) მფლობელი.

## სანტანა შალკეში გადავიდა

როგორც მოსალოდნელი იყო, დორტმუნდის „ბორუსიას" 27 წლის ბრაზილიელი ცენტრალური მცველი **ფელიპე სანტანა** „შალკეში" გადავიდა.

ის 2016 წლამდე „ხუმარების" რიგებში ითამაშებს. წინა დღით, ის „ფეისბუკის" საშუალებით დაემშვიდობა „დორტმუნდის" ფანებს. შეგახსენებთ, რომ სანტანა „მალაგასთან" პლეი ოფის მატჩის გმირია, თუმცა ისეთ კლუბში გადავიდა, ამიერიდან „დორტმუნდის" ფანებისთვის საძულველი ფეხბურთელი გახდება. „შალკე" და „დორტმუნდი" ერთმანეთის დიდი მტრები არიან გერმანიაში, მათი დერბი ყოველთვის დაძაბულია.

შეგახსენებთ, რომ წინა დღით გაირკვა, რომ „დორტმუნდმა" „ვერდერის" ბერძენი მცველი **სოკრატის პაპასტატოპულოსი** შეიძინა. 24 წლის ბერძენმა **იურგენ კლოპის** გუნდთან 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ფელიპე სანტანა



ტყვიის სროლა. მსოფლიოს თასი

# ქადაგიძის წარუმატებელი ფინიში

მიუნხენში გრძელდება მსოფლიოს თასის გათამაშება ტყვიის სროლაში, რომელშიც გუშინ **ლევან ქადაგიძე** გამოვიდა პნევმატური იარაღიდან სროლაში. სამწუხაროდ, მან არც ისე წარმატებით ისროლა – 566 ქულა დააგროვა და 70-ე ადგილზე გავიდა. ჩვენებურმა ტურნირი საკმაოდ კარგად დაიწყო. მართალია, პირველი სერიის პირველ ნახევარში ანუ ხუთი გასროლიდან მხოლოდ ორი გაარტყა 10-იანში, დანარჩენები კი 9-იანში მოახვედრა, მაგრამ, სამაგიეროდ, მომდევნო ხუთი ტყვია შუაგულში „დააჯინა“ და ეს სერია 100-დან 97 ქულით დაასრულა, რაც ურიგო მაჩვენებელი სულაც არ არის. სამწუხაროდ, ეს მისთვის „გედის სიმღერასავით“ აღმოჩნდა, რადგან ამ შედეგს მხოლოდ ერთხელ – მეოთხე სერიაში მიუახლოვდა, როცა 96 ქულა დააგროვა, დანარჩენებში კი გაცილებით დაბალი მაჩვენებლები ჰქონდა – 95, 93-93 და 92.

ამდენად, ქადაგიძემ უკვე დაასრულა გამოსვლა, ჩვენი ლიდერი, ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **ნინო სალუქვაძე** კი პნევმატური იარაღიდან დღეს ისვრის. შეგახსენებთ, რომ ის სპორტული პისტოლეტიდან სროლაში მეხუთე იყო.

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი

# სალომე მელია დაწინაურდა

საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ეროვნულ ჩემპიონატზე გუშინ მე-2 ტურის შეხვედრები გაიმართა. პირველი ტურის მსგავსად, გუშინაც ორი პარტია დასრულდა ყაიმით. დაზავდნენ **მერი არაბიძე - ნინო ხურციძე, მაია ლომინეიშვილი - მაკა ფურცელაძე. სალომე მელიამ**, რომელიც ერთხელ უკვე იყო საქართველოს ჩემპიონი ამ ტიტულის ორგზის მფლობელი **ინგა ხურცილავა** 31-ე სვლაზე დაამარცხა. **ნინო ბაციაშვილმა** თეთრი ფიგურებით 37-ე სვლაზე **სოფიკო გურამიშვილთან** წააგო. ასევე, შავებით მიაღწია გამარჯვებას 2008 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის ოქროსმედალოსანმა **სოფიკო ხუხაშვილმა** - 57-ე სვლაზე მან სეხნიას - **სოფიკო გვეტაძეს** აჯობა. ორი ეროვნული ოსტატის - **ანა კუჭავას** და **ლიკა კობეშავიძის** პაექრობა კუჭავამ მოიგო.

ამრიგად, ორი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ მელია დაწინაურდა. შემდეგ მოდიან: ხურციძე, ფურცელაძე - 1,5-1,5, ლომინეიშვილი, კუჭავა, ხურცილავა, გურამიშვილი - 1-1, გვეტაძე, ბაციაშვილი, არაბიძე - 0,5-0,5, კობეშავიძე - 0 ქულა.

დღეს მე-3 ტურში ითამაშებენ: ხუხაშვილი-ბაციაშვილი, ფურცელაძე-გვეტაძე, კობეშავიძე-ლომინეიშვილი, ხურცილავა-კუჭავა, ხურციძე-მელია, გურამიშვილი-არაბიძე.

**ვაჟა დანელია**

ძიუდო. მსოფლიოს რეიტინგი



# ტიუმენმა რეიტინგი გაგვიუმჯობესა

გამოქვეყნდა ძიუდოს ახალი საერთაშორისო რეიტინგი, რამაც ჩვენებს, ორიოდე გამონაკლისის გარდა, არსებითი ცვლილებები არ მოუტანა. უმეტეს წონებში კვლავაც მტკიცედ ვლიდერობთ, რაც აგვისტო-სექტემბრის მიჯნაზე ბრაზილიურ რიო დე ჟანეიროში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზე განთესილებში ყოფნას ანუ შედარებით „მშვიდ ცხოვრებას“ გვიქადის.

## 60 კგ

**ამირან პაპინაშვილი** კვლავაც მეორეა, თუმცა ტიუმენში, მასტერსზე მოპოვებული ბრინჯაოს შემდეგ მისი მონაგარი 1206 ქულიდან 1446-მდე გაიზარდა. ჩვენებურს ივნისის დასაწყისში მორიგი ცვლილება ელოდება – მას გაუნახევრდება შარშან ბრაზილიის „დიდ მუზარადზე“ მოპოვებული 120 ქულა და დარჩენილი 60 დაემატება 50%-იანების ჯამს. ეს ცვლილება მას კიდევაც არგებს, რადგან 100%-ში წლეულს თბილისში მოპოვებული 40 ქულაც შევა რეიტინგში, რომელიც ამჯერად 6 საუკეთესოში ვერ ხვდებოდა. არ ვიცით, იჭიდავებს თუ არა პაპინაშვილი 20-21 ივლისს მოსკოვში „დიდ მუზარადზე“, თუმცა გვეეჭვება, 1838-ქულიან იაპონელ **ნაოჰისა ტაკატოს** რეიტინგის ლიდერობა ჩამოართვას. ამას მხოლოდ იმ შეჯიბრების მოგებით შეძლებს, მაგრამ სწორედ ის გვაეჭვებს, რომ იქ არავინ გაამარჯვებინებს – რუსებს ამ წონაში თავისი ფავორიტებიც ჰყავთ, ხოლო მათთან რამდენად არაობიექტური მსაჯობაა, ეს ტიუმენშიც დავინახეთ. ამდენად, ჩვენებური მსოფლიოს პირველობას, სავარაუდოდ, ისევ რეიტინგის მეორე ნომრად შეხვდება, რაც კარგი ფაქტორია. არ ვიცით, როგორ დასრულდება მოსკოვური ტურნირი და რას იზამენ მათი ფალავნები, თუმცა სადღეისოდ ოლიმპიური ჩემპიონი **არსენ გალსტიანიც** და ევროპის ჩემპიონი **ბესლან მუდრანოვიც** 8 კაცში შედიან ანუ განთესილებში იქნებიან, რაც ჩვენთვის კარგია - ადრეულ ეტაპებზე არ შეხვდებიან პაპინაშვილს, თორემ განუთესავი პირველივე წრეში შეიძლება, გვერგოს. მისთვის ორივე უხერხული მეტოქეა. მართალია, მუდრანოვს ტიუმენში კი მოუგო, მაგრამ მისი ფაქტორი ჯერ დაძლეული მაინც არ გვგონია.

**ირაკლი თავაძე**

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

ცურვა

# რეპეტიციები პრაღის სალიცენზიომდე



ირაკლი ბოლქვაძე

წლეულს 23 ივლისიდან ბარსელონა მოცურავეთა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობის ლიცენზია ჯერჯერობით მხოლოდ **ირაკლი ბოლქვაძეს** აქვს, 200 მეტრზე ბრასით ცურვაში. ახალგაზრდებში ევროპის პირველობის 2012 წლის ბრინჯაოს პრიზიორმა ეს უფლება შარშან მოიპოვა. ამას წინათ მან ხარკოვში უკრაინის ღია თასის გათამაშებაში, სადაც მასპინძლებთან ერთად ბელარუსები, მოლდოველები და ქართველები მონაწილეობდნენ, 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში 2.06,91-ით ვერცხლის მედალი დაიმსახურა. საგულისხმოა, რომ ამ დისტანციაზე მას მსოფლიოს ჩემპიონატის ლიცენზიის მოსაპოვებლად წამი არ ეყო.

ამავე ტურნირში მონაწილეობდა 18 წლის დავით სიხარულიძე. 50 მეტრი თავისუფალი ყაიდით მან 23,91 წამში დაფარა და საქართველოს 28 წლის წინანდელი რეკორდი გააუმჯობესა, თუმცა ეს დრო კვარცხლბეკზე მოსახვედრად არ ეყო.

31 მაისიდან 3 ივნისის ჩათვლით პრაღაში საერთაშორისო სალიცენზიო ტურნირი ჩატარდება, სადაც ბარსელონის მსოფლიოს ჩემპიონატის ბოლო საგზურები გათამაშდება. **ირინა მინჟულინას** ხელმძღვანელობით ამ შეჯიბრებაზე გამოვლენ **ირაკლი ბოლქვაძე, დავით სიხარულიძე, თეიმურაზ კობახიძე** და **ირაკლი რევიშვილი**. მოცურავეთა ამ კვარტეტმა პრაღაში გამგზავრებამდე რეპეტიცია საწყლოსნო კომპლექს „ტონუსის“ აუზში გაიარა, სადაც თბილისის მერიის თასი გათამაშდა. შეჯიბრებაში თბილისის, რუსთავის გორის, საჩხერის, აზერბაიჯანისა და სომხეთის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. გამარჯვებულები და პრიზიორები ორი დისტანციის **ფინას** ქულების ჯამით გამოვლინდნენ. გაუწყებთ მათს ვინაობას.

## ქალები

**სპრინტი (100 და 200 მ). თავისუფალი ყაიდა.** 1. ელენე უნდილაშვილი (866 ქულა), 2. ელენე ბერაია (ორივე - „დილომი“, 836), 3. კრავაი კერვალიშვილი („ტონუსი“, 778). **ბრასი.** 1. თეონა ბოსტაშვილი (რუსთავი, 941), 2. მარიამ ზუბიაშვილი (საჩხერე, 940), 3. ქეთევან ყამარაული („ტონუსი“, 911). **ბატერფლაი.** 1. აფსანა ისმაილოვა (ბაქო, 833), 2. რუსუდან გოგინაშვილი (რუსთავი, 804), 3. მარიამ ჩიხრაძე („ტონუსი“, 633), **გულაღმა.** 1 იულია სტაციუკი (აზერბაიჯანი, 917), 2. მარიამ წერეთელი („ტონუსი“, 760), 3. თამარ მეგრელიძე (რუსთავი, 469).

**სტაიერული დისტანციები (400 და 800 მ). თავისუფალი ყაიდა.** 1. მონიკა ვასილიანი (სომხეთი, 1162), 2. მერი მუმლაძე („ტონუსი“, 756), 3. ნანო მოდოსიანი („დილომი“, 587).

## ვაჟები

**სპრინტი. თავისუფალი ყაიდა.** 1. ირაკლი რევიშვილი („ტონუსი“, 1443), 2. ცოტნე მაისურაძე (რუსთავი, 1023), 3. გიორგი ბიგანიშვილი („ლაგუნა, ვერე“, 970). **ბრასი.** 1. დავით ბოკერია („ტონუსი“, 835), 2. დიტო გიორგაძე („ლაგუნა ვერე“, 813), 3. ილია პაპიძე („ლაგუნა ვერე“, 765). **ბატერფლაი.** 1. თემურ კობახიძე (ლაგუნა ვერე“, 1287), 2. გრიშა გნედოვსკი („ოლიმპიკი“, 584), 3. ანზორ მონასელიძე („ლაგუნა ვერე“, 468). **გულაღმა.** 1. დავიდ უნანიანი (სომხეთი, 1010), 2. აკაკი ვაშაკიძე (თბილისი, 926), 3. ნაზირ იზმაილოვი (აზერბაიჯანი, 733).

**სტაიერი. თავისუფალი ყაიდა.** 1. დავით სიხარულიძე („ტონუსი“, 1215), 2. ნიკა ყაულაშვილი (რუსთავი, 982), 3. დავით შახნაზაროვი („ტონუსი“, 811).

**კომპლექსური ცურვა (200 და 400 მ).** 1. დორიან ფაზეკაში (აზერბაიჯანი, 959), 2. ირაკლი კვარაცხელია („ტონუსი“, 893), 3. ვლადიმერ ტერლეცკი (გორი, 674).

თბილისის მერიის მთავარი პრიზები ირაკლი რევიშვილსა და მონიკა ვასილიანს გადაეცათ.

**ვაჟა დანელია**

# კოეფიციენტით – მეორე

ინდოეთში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირში სამი ქართველი დიდოსტატი მონაწილეობდა. 10 შესაძლებლიდან 8-8 ქულა მოაგროვეს ვარუჟ ამონათოვმა (ტაჯიკეთი) და **მერაბ გაგუნაშვილმა.** უარესი კოეფიციენტით ჩვენებურმა მე-2 ადგილი დაიკავა, თუმცა რეიტინგი 17 პუნქტით გაიმდიდრა. 7,5-7,5 ქულით, შესაბამისად, მესამე-მეოთხე ადგილები **ლევან ფანცულაიამ** და ზავენ ანდრიასიანმა (სომხეთი) გაიყვეს. **მიხეილ მჭედლიშვილი** 7 ქულით მე-7 ადგილზე გავიდა.

# ინწკირველის მემორიალზე

შვიდი და ცხრა წლის მოჭადრაკეები მონაწილეობდნენ ცნობილი ქართველი მწვრთნელის - შოთა ინწკირველის მემორიალში, რომელსაც ჭადრაკის სასახლემ უმასპინძლა. გაუწყებთ გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას:

**7-წლიანები. გოგონები:** 1. მართა ქათამაძე (7 ქულა), 2. მარიამ გაბელაია (6), 3. მარიამ დოლაკიძე (5). **ბიჭები.** 1. ალექსანდრე ყორღანაშვილი (7), 2. აკაკი დვალიშვილი (5), 3. საბა ახალაია (5).

**9-წლიანები. გოგონები.** 1. ნეკა პავლიაშვილი (6), 2. ლიზი გურიელი (5,5), 3. მარიამ მირანაშვილი (5). **ბიჭები.** 1. ნიკოლოზ კაჭარავა (6,5), 2. დავით გაბუნია (6), 3. რატი მღვდელაძე (5).

**ვაჟა დანელია**

კარატე

# ევროპას თავი მოვაწონეთ

25-26 მაისს, თბილისმა, საქართველოს კარატეს ეროვნული ფედერაციის, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს და თბილისის მერიის ეგიდით გრანდიოზულ საერთაშორისო ღონისძიებას უმასპინძლა - „ოფენ ჯორჯია 2013“. ტურნირზე 12 ქვეყნის ეროვნული ნაკრების 350 საუკეთესო სპორტსმენი ასპარეზობდა. საპრიზო ფონდი საკმაოდ დიდი იყო - 3.000 დოლარი. გარდა ამისა, მრავალმა სპონსორმა დააწესა საჩუქრები. კარატეს ეროვნულმა ფედერაციამ კი ამერიკაში სპეციალური შეკვეთით დამზადებული მედლები გადასცა გამარჯვებულებს და პრიზიორებს.

საერთაშორისო ტურნირს წინ უსწრებდა ისრაელიდან ჩამოსული ოსტატის, მსოფლიოს უსაფრთხოების ორგანიზაციის შეფ-ინსტრუქტორის, **გაბი მიხაელის** სემინარი და სამსაჯო სემინარები, რომლებსაც ევროპა-აზიის აკრედიტებული ოფიციალური წარმომადგენლები ხელმძღვანელობდნენ.

„საქართველოში სამსაჯო კოლეგიას დიდი პოტენციალი აქვს. კმაყოფილი ვარ სემინარებით და შეჯიბრებაზე ქართველების მსაჯობით. ქართულ კარატეს დიდი მომავალი აქვს მსოფლიო ასპარეზზე, როგორც სპორტული ისე სამსაჯო კუთხით. დავძენ, რომ ქართული კარატეს მესვეურმა, ბატონმა კახა ბასილიამ ყველაფერი გააკეთა, რომ ეს ღონისძიება ევროპულ დონეზე ჩატარებულიყო“, - განაცხადა ევროპის მსაჯთა კომისიის თავმჯდომარე **პრიმოზ დებენაკმა.**

„ოფენ ჯორჯია“ სალიცენზიო ტურნირი იყო და ჩვენმა სპორტსმენებმა წარმატებით გაართვეს თავი გამოწვევას - გარანტირებული გვაქვს საგზურები ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე. მოწვეული ქვეყნების ფედერაციების პრეზიდენტები და ევროპის კარატეს ფედერაციის ოფიციალური წარმომადგენელი კმაყოფილნი დარჩნენ საერთო დონით, სპორტული, საორგანიზაციო, სამსაჯო და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ჩათვლით. საქართველოს კარატეს ეროვნულმა ფედერაციამ დადებითი შეფასება მიიღო ევროპის ფედერაციიდან, რაც უდავოდ დიდი წარმატებაა ჩვენი მომავალი მოღვაწეობისთვის, როგორც ევროპის კარატეს სტრუქტურებში, ასევე მსოფლიო ფედერაციაში. ამავე დროს, ამ რეზიუმეს, დიდი მნიშვნელობა აქვს იმისთვის, რომ საქართველო მზადაა ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატის ჩასატარებლად. ეს კი, კიდევ ერთი დიდი ნაბიჯია მომავალი წარმატებისთვის. შეგვიძლია ვიამაყოთ, რომ ჩვენმა სპორტსმენებმა შინაც გვასახელეს - ძირითად წონებსა და კატეგორიებში, - ოქროსმედალოსნები გახდნენ დავით პატარიძე, ჰენრი ვეკუა და გოგიტა არქანია. დანარჩენ კატეგორიებშიც მაღალი ხარისხის მედლები ჩვენთან დარჩა და შესაბამისად საქართველომ გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავა, მეორეზე თურქეთის ნაკრები გავიდა, მესამეზე - ირანისა და აზერბაიჯანის ეროვნული ნაკრებები“, - განაცხადა საქართველოს კარატეს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა **კახა ბასილიამ.**

მსოფლიო კარატეს ფედერაციამ ტურნირის მაღალ დონეზე ჩატარებისთვის სპეციალური დიპლომებითა და პრიზებით დააჯილდოვა თბილისის მერიის წარმომადგენლები - **მამუკა ქაცარავა** და **მერაბ ჩიქობავა.**

***ნუგზარ ჭიაბერაშვილი,***
*საქართველოს კარატეს ეროვნული ფედერაციის პრესმდივანი*



● რეგიონი. ძიუდო. მალხაზ ბერუაშვილის ტურნირი

# ახალი ტურნირი ახალ დარბაზში

ქარელის ძიუდოს დარბაზში, რომელიც ამ დღეებში გაიხსნა, 27 მაისს უკვე პირველი შეჯიბრება ჩატარდა. საფუძველი ჩაეყარა ძიუდოს ტურნირს, რომელიც ტიტულოვანი ქართველი მოჭიდავის, სამბოში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის, ქართულ ჭიდაობაში საქართველოს ხუთგზის ფალავნის, ძიუდოში თბილისის საერთაშორისო ტურნირის რამდენიმეგზის გამარჯვებულის **მალხაზ ბერუაშვილის** სახელს ატარებს. ბერუაშვილები ცნობილი საჭიდაო გვარია და ტურნირის აქ გამართვა, ცხადია, მოულოდნელი არ ყოფილა. ტურნირს ორგანიზება ქარელის რაიონის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურმა (ხელმძღვანელი **მირზა ხაბარელი**) გაუწია. საასპარეზოდ 1998 - 2000 წლებში დაბადებული ქვეყნის ათზე მეტი ქალაქის 17 გუნდი შეიკრიბა. ტურნირს მალხაზ ბერუაშვილის გარდა სტუმრობდა მისი ძმა ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი **გელა ბერუაშვილი**, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი სამბოში **ჯემალ მჭედლიშვილი**, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების და ოლიმპიური თამაშების პრიზიორი ძიუდოში **რამაზ ხარშილაძე**. 12 წონით კატეგორიაში 200-ზე მეტმა ძიუდოისტმა იასპარეზა. განსაკუთრებით კარგად ქარელისა და თბილისის ორი კლუბი - „შოთა ჩოჩიშვილის სახელობის აკადემია“ და „ლიდერი“ გამოვიდნენ.

*„მოხარული ვარ, რომ მშობლიურ რაიონში ჩემი სახელობის ტურნირს ჩაეყარა საფუძველი. ნიშანდობლივია, რომ ახალდაფუძნებულმა შეჯიბრებამ ახალგახსნილ დარბაზში აილო სტარტი. ძალიან კმაყოფილი დავრჩი ჩვენი ჭაბუკების ასპარეზობით, მათი ბრძოლის ჟინით და ოსტატობით. ყველას ვუსურვებ მომავალში მსოფლიო მასშტაბის შეჯიბრებებში დიდ გამარჯვებებს“* - გვითხრა მალხაზ ბერუაშვილმა.


81 კგ - ში საუკეთესოები მალხაზ ბერუაშვილმა დააჯილდოვა

**კვარცხლბეკი**

**34 კგ.** 1. გიორგი წამალაიძე (თბ. „ლიდერი)“, 2. ნოდარ აბდუშელიშვილი (ჭიათურა), 3. გიორგი მეგრელიშვილი (რუსთავი), გიორგი ლომიტაშვილი (ქარელი).

**38 კგ.** 1. გოგა ვარდოსანიძე (ზესტაფონი), 2. ერეკლე ოძელაშვილი (კასპი), 3. მამუკა ქურასბედიანი („ლიდერი“), შოთა ხაბელაშვილი (ქარელი).

**42 კგ.** 1. დავით ჩაგელიშვილი, 2. ვახო მასურაშვილი (ორივე - ქარელი), 3. გიგა ჩანადირი (მცხეთა), ნოდარ გელაშვილი (ხაშური).

**46 კგ.** 1. ტატო გრიგალაშვილი (ქარელი), 2. ალეკო ბუცხრიკიძე („ლიდერი“), 3. ვაჟა მარჯანიძე, ვოვა ახალკაცი (ორივე - ქარელი).

**50 კგ.** 1. ვანო ხუბაშვილი (მცხეთა), 2. შალვა გაზაშვილი (ქარელი), 3. გიგა გელაშვილი (თბ. „ჯორჯია“), თემურ ჩიტაური (მცხეთა).

**55 კგ.** 1. გოგა გოგაშვილი (თბ. აკადემია), 2. გელა გარაყანიძე (ლიდერი), 3. ოთარ გაბინაშვილი (კასპი), ალეკო ბეროშვილი (აკადემია).

**60 კგ.** 1. ლუკა მაისურაძე (ხაშური), 2. ზვიად ბერუაშვილი (ქარელი), 3. შიო ბესიაშვილი (თბ. შევარდენი), მირიან ბალათურია (აკადემია).

**66 კგ.** 1. შათირ შერაზადიშვილი (ხაშური), 2. ლაშა დუდაშვილი („ლიდერი“), 3. გაგა ლიჩელი (რუსთავი), გიორგი პაპოშვილი (აკადემია).

**73 კგ.** 1. გიორგი ყალაბეგაშვილი (აკადემია), 2. ნოდარ წამალაიძე, 3. ზაურ კენჭაძე (ორივე - ლიდერი), შოთა შავდია (აკადემია).

**81 კგ.** 1. ნიკა სიდამონიძე (ქარელი), 2. გიორგი გოგლიძე (საჩხერე), 3. მურმან კაპანაძე, ვაჟა მაჭარაშვილი (ორივე - აკადემია).

**87 კგ.** 1. გიორგი პოლიტაშვილი (ქარელი), 2. სპარტაკ გულიაშვილი (კასპი), 3. გურამ იასალაშვილი (თბ. „კაიძენი“), (მეორე მესამე ადგილი არ გათამაშებულა).

**+87 კგ.** 1. გიორგი წოწოლაშვილი (აკადემია), 2. გიორგი სუქნიძე (ჭიათურა), 3. გიორგი ოსაძე (ხაშური), ალიკა მოდებაძე (საჩხერე).

**ვასილ ბალახაძე**
ქარელიდან
ფოტო: qartlisport.ge

● კალათბურთი. ქართველები იტალიაში

# ოვერთაიმი უნდა დანიშნულიყო...

სერია A-ს ნახევარფინალში მეორე მატჩი ჩაატარა **ვიქტორ სანიკიძის** „მონტეპასკიმ“, თუმცა პირველი დღის შედეგი ვერ გაიმეორა და ამჯერად ვარეზეში „ჩიმბერიოსთან“ 62:64 დამარცხდა.

ლოგიკური იქნებოდა, მატჩი ოვერტაიმში გადასულიყო, მაგრამ საფინალო სირენამდე 2 წამით ადრე მონტეპასკელმა **ბობი ბრაუნმა** მეტოქეს ხელი სროლაში წესების დარღვევით შეუშალა (არადა თითქმის 6 მეტრის დისტანციიდან ტყორცნიდა) და **მარკეს გრინს** ისღა დარჩენოდა, ორივე საჯარიმო ტყორცნა გამოეყენებინა - 64:62. დარჩენილ 2 წამში სიენელებმა სიტუაცია ვერ გამოასწორეს.

ვიქტორ სანიკიძემ 10 წუთში 2 ქულა და 4 მოხსნა მოაგროვა.

ასე და ამგვარად, სერიაში ანგარიშია 1:1. მესამე მატჩი სიენაში, 30 მაისს გაიმართება.

**ვაჟა სიმონიშვილი**



● არდავიწყება



# არჩილ ჩოხელს ძეგლი დაუდგეს

ტიტულოვანი ქართველი სამბისტის არჩილ ჩოხელის დაბადების დღეს 23 მაისს, მშობლიურ სოფელ გალავანში (მცხეთის რაიონი) მისი ძეგლი გაიხსნა. ცნობილი სპორტსმენი ამ დღეს 42 წლის გახდებოდა. ჩოხელი მსოფლიოსა (1993) და ევროპის (1998) ჩემპიონი, მსოფლიოს ჩემპიონატების ორგზის მეორე (1993, 1997) და ექვსგზის მესამე (1992, 96, 98, 99, 2000, 2002) პრიზიორი, მსოფლიოს თასის მფლობელი (1997) და მეორე პრიზიორი (1996), ევროპის ჩემპიონატების მეორე (2001) და ექვსგზის მესამე (1993, 94, 97, 99, 2000, 2002) პრიზიორი იყო. გახლდათ ღირსების ორდენის კავალერი. გარდაცვალების შემდეგ კი ვახტანგ გორგასლის სახელობის პირველი ხარისხის ორდენი მიენიჭა.

ჩოხელი წლების განმავლობაში საქართველოს სპეცდანიშნულების რაზმის ოფიცერი (ბოლოს მაიორის ჩინით) იყო. 2012 წლის მარტში საქართველოს სამბისტთა ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა, თუმცა მხოლოდ ოთხი თვე დაყო ამ პოსტზე - 29 აგვისტოს, ლოპოტას ხეობაში გახმაურებული ამბებისას დაიღუპა. არჩილის დაბადების დღეზე, მისი ბიუსტის გახსნასთან ერთად საფუძველი ჩაეყარა არჩილ ჩოხელის სახელობის მემორიალურ ტურნირს, რომელიც მომავალში საერთაშორისო სტატუსს მიიღებს.

**ვასილ ბალახაძე**
*ეკა სილაგაძის ფოტო*

● თარიღები და მოვლენები

**29-31 მაისი**

**29.05.1939.** დაიბადა **გივი ჩიქვანაია** - წყალბურთი

**29.05.1944.** დაიბადა **ჯემალ ნათელაშვილი** - ძიუდო, მწვრთნელი

**29.05.2011.** საქართველოს სუპერთასი კალათბურთში „არმიამ“ მოიპოვა.

**30.05.1936.** დაიბადა **სლავა მეტრეველი** - ფეხბურთი. გარდაიცვალა 1998 წელს.

**30.05.1966.** დაიბადა **გია ნაცვლიშვილი** - სამბო

**30.05.1981.** საბჭოთა კავშირის ნაკრებში თავისი უკანასკნელი შეხვედრა ჩაატარა **დავით ყიფიანმა.**

**30.05.1991.** დაარსდა საქართველოს მძლეოსნობის ფედერაცია.

**30.05.1991.** დაარსდა საქართველოს ცხენოსნობის და თანამედროვე ხუთჭიდის ფედერაცია.

**30.05.1999.** საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრები ოსლოში ნორვეგიასთან 0:1 დამარცხდა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში.

**30.05.2005.** საქართველოს ჩემპიონი ფეხბურთში მეთორმეტედ თბილისის "დინამო" გახდა.

**31.05.1970.** სსრ კავშირის ნაკრებში ქართველებიდან ფეხბურთში მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატის გახსნის მატჩი (მექსიკა - სსრკ; 0:0) ითამაშეს **ანზორ კავაზაშვილმა, კახი ასათიანმა და გივი ნოდიამ**

**31.05.1989.** დაიბადა **რონ კვასხვაძე. ფეხბურთი (მეკარე)**

**31.05.991.** დაფუძნდა საქართველოს სპორტის ზამთრის სახეობათა ეროვნული ფედერაცია.

**„ლელოს“ დარბაზი გიწვევთ!**

თუ გსურთ ჩაატაროთ პრესკონფერენცია, შეხვედრა, სხდომა ან სხვა მცირე მასშტაბის ღონისძიება, თქვენს განკარგულებაშია „ლელოს“ სასტუმრო დარბაზი მომსახურების თანამედროვე შესაძლებლობებით.

საკონტაქტოდ ისარგებლეთ ჩვენი გაზეთის ბოლო გვერდზე საცნობარო ბლოკში გამოქვეყნებული საშუალებებით.

● მასობრივი სპორტი

# დამოუკიდებლობის დღეს

დამოუკიდებლობის დღეს მიძღვნა ქუთაისში სხვადასხვა სპორტის სახეობაში გამართული შეჯიბრებები, რომელშიც ქალაქის თითქმის ყველა ახალგაზრდა სპორტსმენი იყო ჩართული. ქუთაისის პირველობა გაიმართა შვიდკაცა რაგბიში, კრივში, ტანვარჯიშში, სროლაში, კალათბურთში, ხელბურთში, ფეხბურთში და სხვა სახეობებში. პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში ქალაქის პირველობაში ქალთა და ვაჟთა შორის 15-მა სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა. ვაჟებში პირველი ადგილი დაიკავა ვეტერანმა სპორტსმენმა **თემურ კვანტალიანმა**, ქალებში კი ტურნირის გამარჯვებული **ლიზი კილაძე** გახდა, რომელმაც ამას წინათ საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატიც მოიგო.

„დინამოს“ სტადიონზე შვიდკაცა რაგბიში 1999 წელს დაბადებულ ჭაბუკთა შორის გაიმართა ქალაქის ღია პირველობა, რომელშიც ქუთაისის ხუთ გუნდთან ერთად საჩხერის, თერჯოლისა და წყალტუბოს გუნდებიც მონაწილეობდნენ. ფინალში ქუთაისის გუნდები „ბაგრატი“ და „აია“ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, დაძაბული შეხვედრა „ბაგრატის“ გამარჯვებით 15:10 დასრულდა.

შეჯიბრებები სხვა სახეობებშიც ჩატარდა და აქცენტი სპორტის მასობრიობაზე იყო გადატანილი. ტურნირების გამარჯვებულები პრიზებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

*„დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ შეჯიბრებებში ყველა სპორტულმა სკოლამ მიიღო მონაწილეობა, სამწუხაროდ, ცუდი ამინდი იყო, მაგრამ არც ერთი ტურნირი არ გადადებულა. შეჯიბრებები თითქმის ყველა სახეობაში ჩატარდა, ბავშვები დიდი ენთუზიაზმით მოეკიდნენ საქმეს და საინტერესო ტურნირები გამოვიდა. ასეთი შეჯიბრებები, რომელშიც თითქმის ყველა ასაკის სპორტსმენია ჩართული, სპორტის პოპულარიზაციას უწყობს ხელს“.* - აღნიშნა ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების ხელმძღვანელმა **დავით აბულაძემ.**

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

● რეგიონი. კრივი

# შოშიაშვილი დააფასეს

ამ დღეებში გორის საკრებულოს გადაწყვეტილებით ქალაქის კრივის სპეციალიზებულ სპორტულ სკოლას საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, ავთანდილ შოშიაშვილის სახელი მიენიჭა. იგი 22 წელიწადია, რაც ამ სკოლის დირექტორი და მთავარი მწვრთნელია. 2007 წელს იგი საქართველოს მოკრივეთა ნაკრებს ხელმძღვანელობდა. მისი აღზრდილები არიან ჭაბუკთა, ახალგაზრდებსა და დიდებში მსოფლიოსა და ევროპის არაერთი პრიზიორი - **ილია და რატი ტლაშაძეები, რამაზ ბებნაძე, რომან ჯავახიშვილი, ბადრი კერესელიძე, ვამეხ ტერაშვილი, რევაზ ქარელიშვილი.** მისი ყველაზე ტიტულოვანი შეგირდი კი მსოფლიოს ჩემპიონი **გიორგი კანდელაკი** გახლავთ. ამჯერად უკვე შოშიაშვილის სახელობის დარბაზმა 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ტურნირს უმასპინძლა. შეჯიბრებაში 1996-დან 2005 წლებში დაბადებული ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქის (გორი, თბილისი, ქარელი, ქსანი, ქუთაისი, ახალციხე) მოკრივეები ოთხ ასაკობრივ კატეგორიაში მონაწილეობდნენ. ტურნირის გამარჯვებულებს სპეციალური პრიზები გადაეცათ.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან




● იუბილარი



80 წელი შეუსრულდა ადამიანს, რომელსაც შეიძლება რაიმე ისტორიული ძვრები არ მოუხდენია, დაფნის გვირგვინები და დიდების შარავანდედი არ მოუპოვებია, მაგრამ თავისი უხმაურო თავდადებული შრომით სახალხო საქმეში თავისი მოკრძალებული წვლილი შეუტანია. ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი, ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სპორტკომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე ბატონი **ჯუდუ ქამუშაძე.** ადამიანი პრინციპული, თანამოძმეთათვის გულის მადლისა და სითბოს უშურველად გამცემი.

ბატონო ჯუდუ, გისურვებთ დღეგრძელ სიცოცხლეს და ბედნიერებას თქვენს დიდ ოჯახთან ერთად.

ულრმესი პატივისცემით
**ვლადიმერ კანკავა**
ქ. თბილისის სპორტკომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე, სპორტის დამსახურებული მოღვაწე, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

სუპერლიგა 2012-13. ფინალი. საუკეთესონი

**I ჩემპიონატი (1991)**

თბილისის „დინამომ" ჩემპიონატის 20 შეხვედრიდან ყველა მოიგო და პირველი ეროვნული პირველობის ჩემპიონი გახდა.

**II ჩემპიონატი (1992-93)**

**ფინალი:** ვითა-მერანი 2:0 (83:75, 83:75)

**III ჩემპიონატი (1993-94)**

**ფინალი:** ვითა-თბილისი 2:1 (77:74, 76:80, 78:74)

**IV ჩემპიონატი (1994-95)**

**ფინალი:** ვითა-კაქტუსი 2:1 (69:79, 78:61, 84:73)

**V ჩემპიონატი (1995-96)**

**ფინალი:** ვითა-დინამო 2:1 (89:76, 73:78, 84:81)

**VI ჩემპიონატი (1996-97)**

**ფინალი:** ვითა-დინამო 2:0 (102:82, 94:74).

**VII ჩემპიონატი (1997-98)**

**ჩემპიონი:** ვითა

**VIII ჩემპიონატი (1998-99)**

**ფინალი:** ბასკო-აზოტი 3:1 (63:73, 105:66, 87:72, 98:95)

**IX ჩემპიონატი (1999-2000)**

**ჩემპიონი:** ბასკო

**X ჩემპიონატი (2000-01)**

**ფინალი:** ბასკო-სტუ 2:0 (104:74, 112:78)

**XI ჩემპიონატი (2001-02)**

**ფინალი:** ბასკო-დინამო 3:0 (108:77, 82:81, 92:91)

**XII ჩემპიონატი (2002-03)**

**ფინალი:** დინამო-ბასკო 3:2 (75:93, 107:87, 80:81, 87:79, 86:67)

**XIII ჩემპიონატი (2003-04)**

**ფინალი:** ბასკო-დინამო 3:2 (66:61, 74:83, 56:77, 93:81, 79:69)

**XIV ჩემპიონატი (2004-05)**

**ფინალი:** სტუ-ავიამშენი 3:2 (85:77, 73:81, 91:72, 67:90, 90:85)

**XV ჩემპიონატი (2005-06)**

**ფინალი:** თბილავიამშენი-აზოტი 3:2 (81:79, 74:57, 68:93, 58:77, 74:54)

**XVI ჩემპიონატი (2006-07)**

**ფინალი:** აზოტი-თბილავიამშენი 3:0 (85:75, 86:75, 85:63)

**XVII ჩემპიონატი (2007-08)**

**ფინალი:** ენერჯი ინვესტი-თბილავიამშენი 3:1 (80:82, 90:83, 77:83, 76:83)

**XVIII ჩემპიონატი (2008—09)**

**ფინალი:** ენერჯი-აგრარული 3:0 (104:59, 104:70, 89:68)

**XIX ჩემპიონატი (2009—2010)**

**ფინალი:** ენერჯი-თსუ 3:1 (80:69, 75:84, 79:71, 95:92)

**XX ჩემპიონატი (2010—2011)**

**ფინალი:** არმია-თსუ 3:1 (75:71, 60:64, 74:60, 65:61)

**XXI ჩემპიონატი (2011—2012)**

**ფინალი:** არმია-ოლიმპი 3:1 (72:66, 67:69, 87:52, 91:67)

# როცა გუნდი გემოვნებითაა შერჩეული...



დეონტა ვონი (N5) დარენ მურის წინააღმდეგ

დღეს ოთარ ქორქიას სახელობის სუპერთასისთვის ერთმანეთს „შსს აკადემია" და „ოლიმპი" დაუპირისპირდებიან. შსს-ელთა თავკაცმა, **გიორგიოს კეცელიდისმა** გაკვირვება გამოხატა: სუპერთასის შეხვედრები ყველგან სეზონის დასაწყისში იმართება, საქართველოში სეზონის ბოლოს რატომ არისო? მწვრთნელის გაოცება ლოგიკურია, მაგრამ ისიც ავუხსენით, რომ ასე ქართული რეალობიდან გამომდინარე ხდება: იყო შემთხვევა, ჩეპიონობის მოპოვების შემდეგ გუნდი დაიშალა („სტუ-ჯეოსელი"). ასე რომ, როცა არავინ იცის, ხვალ რა ელის, უმჯობესია სუპერთასიც დღეს გაიმართოს.

„ოლიმპის" თავკაცმა **გია კაზანჯიანმა** თქვა - სუპერთასის შეხვედრისთვის გუნდის ფსიქოლოგიურად მომზადება იოლი არ იქნებაო. ეს გასაგებიცაა, ოლიმპელებმა ხომ თანაბარ ბრძოლაში წარმართული ფინალური სერია ბოლო, მეხუთე მატჩში დათმეს. ისტორიას რომ გადავხედოთ, ეს იყო პირველი ხუთმატჩიანი სერია 2006 წლის შემდეგ. მაშინ „ავიამშენმა" „ენერჯის" 3:2 სძლია. მას მერე ჯერ რუსთაველები გაძლიერდნენ ისე, რომ წინასწარ იოლი იყო მათი ჩემპიონობის წინასწარმეტყველება, შემდეგ „არმიას" დრო დადგა - ორი სეზონი „იმეფა" და წლეულს პოზიციები ნახევარფინალში „ოლიმპთან" დათმო.

ფინალურმა სერიამ საინტერესოდ ჩაიარა (შსს-მ 3:2 მოიგო) და არაერთი დასკვნის გამოტანის საშუალება მოგვცა. „ოლიმპს" ჰყავდა ოთხი სხვადასხვა ეროვნების ლეგიონერი (სამი ევროპელი), რომელთა შერწყმითაც საფინალე გუნდი შეიქმნა. მათ კარგად ეხმარებოდნენ გამოცდილი და ახალგაზრდა ქართველი კალათბურთელები.

მწვრთნელები ამბობენ, რომ 4-5 ამერიკელი ლეგიონერის დამატება გუნდის ერთიანობისთვის სასურველი არ არის - ცალკე „ავტონომიას" აყალიბებენო. „შსს აკადემიას" ოთხი ამერიკელი ჰყავდა და შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათ ზემოთ ნახსენებ თეორიას ხაზი გადაუსვეს. მწვრთნელმა გიორგიოს კეცელიდისმა შერჩევისას პროფესიულთან ერთად პიროვნული თვისებითაც სასურველი კალათბურთელები შეარჩია და მიზანსაც გუნდური თამაშით მიაღწია. დავინახეთ, რომ ამერიკელი ლეგიონერის ჩამოყვანისას ბევრს ნიშნავს მისი ევროპული გამოცდილება: აქამდე ოთხივე ამერიკელს (**ვონს, არჩიბექს, პრუეტსა და რეიმონდს**) ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ჰქონდათ ნათამაშები. ერთ-ერთი მათგანი, დეონტა ვონი ფინალური სერიის საუკეთესო კალათბურთელად დავასახელეთ.

ფინალებმა დაგვანახა ისიც, რომ გამოცდილი უცხოელების გვერდით სათანადო დონეზე ქართველებსაც შეუძლიათ თამაში. თუმცა სასურველია მეტი სტაბილურობა, რაც მაღალი დონის შეხვედრებში რეგულარულად თამაშით მიიღწევა.

**ვაჟა სიმონიშვილი**







**ოლიმპი–შსს აკადემია 71:79, 86:65, 67:74, 72:75, 80:86**

**ქულა**

49 - ნეით ბოუი (რუსთავი)
2-ქულ 17/29; 3-ქულ 5/10; საჯ 0/2
09.03.13 სოხუმი-რუსთავი

**მოხსნა**

26 - სერგო ათუაშვილი (სოხუმი)
(მეტოქ: 5; საკუთ: 21)
09.03.13 სოხუმი-რუსთავი

**პასი**

12 - დეონტა ვონი (შსს აკადემია)
03.11.12 შსს-თსუ
12 - გიორგი გაფრინდაშვილი (სამედიცინო)
15.12.12 სამედიცინო-სტუ
12 - მალხაზ აბაიშვილი (რუსთავი)
04.02.13 რუსთავი-სტუ
12 - ზაურ ფაშაევი (ქუთაისი)
06.02.13 სამედიცინო-ქუთაისი
12 - გივი ბაქრაძე (თსუ)
23.02.13 თსუ-ოლიმპი
12 - ლაშა გამყრელიძე (არმია)
23.02.13 სტუ-არმია
12 - ლაშა გამყრელიძე (არმია)
27.04.13 არმია-დინამო
12 - ზაურ ფაშაევი (ქუთაისი)
29.04.13 რუსთავი-ქუთაისი

**ჩაჭრა**

8 - ლევან ფაცაცია (ოლიმპი)
23.02.13 თსუ-ოლიმპი

**დაფარება**

8 - მილან ოლუიჩი (დინამო)
26.10.12 ბათუმი-დინამო

**ქულა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | ქ | ქ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ნეით ბოუი | რუსთავი | 25 | 523 | 20.92 |
| 2 | სერგო ათუაშვილი | სოხუმი | 14 | 272 | 19.43 |
| 3 | რიჩარდ მათიაშვილი | ქუთაისი | 28 | 512 | 18.29 |
| 4 | კირკ არჩიბეკი | შსს აკადემია | 29 | 526 | 18.14 |
| 5 | ირაკლი ჩლაიძე | სოხუმი | 20 | 359 | 17.95 |
| 6 | ლამარ კარიმი | დინამო | 24 | 417 | 17.38 |
| 7 | ძიენ კარტერი | დინამო | 13 | 221 | 17 |
| 8 | კაელ ნელსონი | რუსთავი | 25 | 421 | 16.84 |
| 9 | ბოსკო სტოიაკოვიჩი | სოხუმი | 11 | 178 | 16.18 |
| 10 | ლაშა კეშელავა | ბათუმი-რსუ | 20 | 320 | 16 |
| 11 | ნიკა რამიშვილი | ბათუმი-რსუ | 18 | 284 | 15.78 |
| 12 | ლევან ფაცაცია | ოლიმპი | 30 | 472 | 15.73 |
| 13 | ბექა ჩიკვილაძე | დინამო | 24 | 367 | 15.29 |
| 14 | დეონტა ვონი | შსს აკადემია | 30 | 438 | 14.6 |
| 15 | ფლინ კლიმენი | დინამო | 25 | 364 | 14.56 |
| 16 | ბენჟამინ რეიმონდი | შსს აკადემია | 21 | 303 | 14.43 |
| 17 | სტეფან მილოშევიჩი | ოლიმპი | 26 | 366 | 14.08 |

**მოხსნა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | მ | მ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | სერგო ათუაშვილი | სოხუმი | 14 | 197 | 14.07 |
| 2 | სტეფან მილოშევიჩი | ოლიმპი | 26 | 313 | 12.04 |
| 3 | რიჩარდ მათიაშვილი | ქუთაისი | 28 | 326 | 11.64 |
| 4 | ვახტანგ ძადარია | სოხუმი | 24 | 274 | 11.42 |
| 5 | კირკ არჩიბეკი | შსს აკადემია | 29 | 330 | 11.38 |
| 6 | სერჟი ასელაინი | თსუ | 21 | 223 | 10.62 |
| 7 | კაელ ნელსონი | რუსთავი | 25 | 227 | 9.08 |
| 8 | ლაშა კეშელავა | ბათუმი-რსუ | 20 | 171 | 8.55 |
| 9 | ძიენ კარტერი | დინამო | 13 | 104 | 8 |
| 10 | მილან ოლუიჩი | დინამო | 18 | 143 | 7.94 |
| 11 | გიორგი რევაზაშვილი | თსსუ | 11 | 86 | 7.82 |

**პასი**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | პ | პ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გიორგი გამყრელიძე | არმია | 26 | 182 | 7 |
| 2 | ბოსკო სტოიაკოვიჩი | სოხუმი | 11 | 68 | 6.18 |
| 3 | ზაურ ფაშაევი | ქუთაისი | 28 | 159 | 5.68 |
| 4 | გიორგი გაფრინდაშვილი | თსსუ | 19 | 103 | 5.42 |
| 5 | დეონტა ვონი | შსს აკადემია | 30 | 161 | 5.37 |
| 6 | ლამარ კარიმი | დინამო | 24 | 126 | 5.25 |
| 7 | გივი ბაქრაძე | თსუ | 23 | 120 | 5.22 |
| 8 | სტენ სოკი | ოლიმპი | 30 | 155 | 5.17 |
| 9 | ნეით ბოუი | რუსთავი | 25 | 112 | 4.48 |
| 10 | ბუბა კვიმსაძე | ქუთაისი | 25 | 97 | 3.88 |

**ჩაჭრა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | ჩ | ჩ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ნეით ბოუი | რუსთავი | 25 | 64 | 2.56 |
| 2 | ნიკა რამიშვილი | ბათუმი-რსუ | 18 | 35 | 1.94 |
| 3 | დეონტა ვონი | შსს აკადემია | 30 | 57 | 1.9 |
| 4 | ზურა მაჩალაძე | სტუ | 20 | 37 | 1.85 |
| 5 | ვასილ ბერუაშვილი | თსუ | 18 | 32 | 1.78 |
| 6 | გიორგი ბარბაქაძე | ქუთაისი | 28 | 48 | 1.71 |
| 7 | გივი ბაქრაძე | თსუ | 23 | 38 | 1.65 |
| 8 | ზაურ ფაშაევი | ქუთაისი | 28 | 44 | 1.57 |
| 9 | ჟოლივეტ ტუჯანი | რუსთავი | 24 | 37 | 1.54 |
| 10 | ბექა ჩიკვილაძე | დინამო | 24 | 37 | 1.54 |
| 11 | ძიენ კარტერი | დინამო | 13 | 20 | 1.54 |

**დაფარება**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | დ | დ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | მილან ოლუიჩი | დინამო | 18 | 35 | 1.94 |
| 2 | სერგო ათუაშვილი | სოხუმი | 14 | 22 | 1.57 |
| 3 | ავთანდილ ელიაშვილი | ბათუმი-რსუ | 20 | 31 | 1.55 |
| 4 | რიჩარდ მათიაშვილი | ქუთაისი | 28 | 43 | 1.54 |
| 5 | სტეფან მილოშევიჩი | ოლიმპი | 26 | 37 | 1.42 |
| 6 | სერჟი ასელაინი | თსუ | 21 | 28 | 1.33 |
| 7 | ვახტანგ ძადარია | სოხუმი | 24 | 28 | 1.17 |
| 8 | გიორგი ფერიაშვილი | თსსუ | 20 | 23 | 1.15 |

**შეცდომა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | შ | შ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გიორგი გაფრინდაშვილი | თსსუ | 19 | 64 | 3.37 |
| 2 | ბოსკო სტოიაკოვიჩი | სოხუმი | 11 | 37 | 3.36 |
| 3 | ნიკა რამიშვილი | ბათუმი-რსუ | 18 | 58 | 3.22 |
| 4 | რიჩარდ მათიაშვილი | ქუთაისი | 28 | 88 | 3.14 |
| 5 | გიორგი ნანიტაშვილი | ბათუმი-რსუ | 15 | 47 | 3.13 |
| 6 | ვახტანგ ძადარია | სოხუმი | 24 | 71 | 2.96 |
| 7 | ირაკლი ჩლაიძე | სოხუმი | 20 | 59 | 2.95 |
| 8 | გივი ბაქრაძე | თსუ | 23 | 67 | 2.91 |
| 9 | ზაურ ფაშაევი | ქუთაისი | 28 | 80 | 2.86 |
| 10 | გიორგი ხანიაშვილი | თსუ | 23 | 65 | 2.83 |

ბენო ქაშაკაშვილი

# ჯომოლუნგმაზე ქართული დროშაც აფრიალდა



**ეს იყო ზუსტად 60 წლის წინათ - 1953 წლის 29 მაისს ახალზელანდიელმა ედმუნდ ჰილარიმ და შერპა თენსინგ ნორგეიმ მსოფლიოს „სახურავიდან" - 8848 მეტრიდან გადმოხედეს დედამიწას. ვინ დადგა პირველად ფეხი პლანეტის უმაღლეს მწვერვალზე? „ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწევდით წინ და სულ ბოლოს, როცა მწვერვალს მივაღწიეთ, ჰილარიმ პირველმა შედგა ფეხი, რამდენიმე წამში მეც მივყევი", - გაიხსენებს წლების შემდეგ პირველ ემოციებს ჟურნალისტების მითქმა-მოთქმისგან თავგაბეზრებული ნორგეი.**
**დედამიწის უმაღლეს მწვერვალს ტიბეტისა და აზიის ქვეყნების უმრავლესობა ჯომოლუნგმას („სიცოცხლის ქალღმერთი", „ქვეყნის დედა"), ნეპალელები - საგარმატჰას („ღმერთების დედა", „ცის მბრძანებელი"), ხოლო ევროპელები და ამერიკელები ევერესტს (ბრიტანეთის ინდოეთის გეოდეზიური სამსახურის უფროსის - სერ ჯორჯ ევერესტის სახელი) უწოდებენ.**
**მწვერვალზე ჰილარიმ ყველაფერი ფოტოფირზე აღბეჭდა, ნორგეიმ თოვლში ჩარჭობილ წერაყინზე თანმიმდევრულად ააფრიალა გაერთიანებული ერების, დიდი ბრიტანეთის, ნეპალისა და ინდოეთის დროშები. ჯომოლუნგმაზე ქართული დროშაც.აფრიალდა, ოღონდ 1999 წლის 12 მაისს - ბენო ქაშაკაშვილის ხელმძღვანელობით ქართული ექსპედიციის წევრებმა - აფი გიგანმა, ბიძინა გუჯაბიძემ და ლევონ სარქისოვმა „ცის მბრძანებელი" სამხრეთიდან დალაშქრეს. ევერესტზე პირველასვლიდან 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით გუშინ რედაქციაში გვეწვია სახელოვანი ალპინისტი ბენო ქაშაკაშვილი, კავკასიონზე, პამირზე, ტიან-შანსა და სხვა მასივებზე 150-მდე, მათ შორის უმაღლესი კატეგორიის სირთულის 20 ასვლის მონაწილე, რამდენიმე შვიდათასიანი მწვერვალის დამლაშქრავი. 1999 წელს ევერესტს, მომდევნო წელს კი ლჰოცზეს (8516) დაადგა ფეხი. ალპინიზმში პირველი კატეგორიის ინსტრუქტორი 1997-დან 2006 წლამდე საქართველოს მეკლდეურობისა და ალპინიზმის ასოციაციას ხელმძღვანელობდა.**

- სტუდენტობისას კლდეზე ცოცვამ გამიტაცა, - გვითხრა სტუმარმა. - ლადო გურჩიანი მავარჯიშებდა. თუმცა მნიშვნელოვანი წარმატებები არ მქონია.

**- რატომ მაინცდამაინც მთა?**

- ყველა ახალგაზრდა თავგადასავლებზე ოცნებობს. საამისოდ მთაზე უკეთეს ადგილს, აბა, სად შეარჩევ. იქ სილამაზეცაა და თავისუფლებაც. თან ქართველებს მთების შესაყვარებლად გენეტიკური კოდიც გვიწყობს ხელს. მახსოვს, საბჭოთა ახალგაზრდულ ბანაკ „აილამაში" გავემგზავრე მეგობართან ერთად. ერთი თვე მთებში იმდენი რამ გადავიტანე, სულ დამავიწყდა რომანტიკა და შინ დაბრუნებულმა ვთქვი, მთებისკენ აღარ გავიხედავ-მეთქი. თურმე სად ხარ - თვესაც არ გაუვლია და ისევ კავკასიონისკენ გამიწია გულმა. პირველად სვანეთში „მაჩხაპარაზე" (4200) ავედი.

**- შვიდათასიანი მწვერვალი როდის მოსინჯეთ?**

- 1985 წელს პამირში კორჟენევსკაიას პიკი. 7134 მეტრი სიმაღლიდან რომ გადმოვხედე ქვეყანას, დაუჯერებელი მეგონა.

**- შვიდათასიანებიდან ყველაზე დასამახსოვრებელი რომელი მწვერვალის დალაშქვრა იყო?**

- ალბათ, გამარჯვების პიკისა (7439 მ.). 1961 წელს ამ მწვერვალზე ასვლისას სამი ქართველი დაიღუპა - ილიკო გაბლიანი, თეიმურაზ კუხიანიძე და ჯუმბერ მეძმარიაშვილი. კუხიანიძე და მეძმარიაშვილი შედარებით მისადგომ ადგილას დაიღუპნენ და მათი ჩამოსვენება მოხერხდა. გაბლიანის ცხედარი კი 6900 მეტრზეა. მასთან ერთად სხვადასხვა ქვეყნის რამდენიმე წარმომადგენელიც ასვენია. 1997 წელს მერაბ ხაბაზმა, გიგი უგულავას ძმამ - ირაკლიმ, ლიოვა სარქისოვმა, ბიძინა გუჯაბიძემ და მე გაბლიანის საფლავი მოვინახულეთ და ამ ლაშქრობაზე დოკუმენტური ფილმიც გადავიღეთ, რომელმაც საერთაშორისო ფესტივალზე პრიზიც კი დაიმსახურა. პატივი მივაგეთ გაბლიანის ხსოვნას და მისი ცხედრის ჩამოსვენებაზეც კი ვიფიქრეთ, მაგრამ იმდენად სახიფათოა, რომ ვერ გავრისკეთ.

**- თქვენმა ჯგუფმა 2001 წელს მიხეილ ხერგიანის მარშრუტით სუალტოც დალაშქრა...**

- დიახ. დიდი ქართველი მეკლდეურის მიხეილ ხერგიანის დაღუპვიდან 32 წლის შემდეგ სწორედ 4 ივნისს დავამთხვიეთ სუალტოზე ასვლა. აფი გიგანთან და გელა ოთარაშვილთან ერთად მწვერვალზე სწორედ ხერგიანის მარშრუტით ავედით. დიდი შიშიც ვნახეთ. იქ ასვლას ყველა ერიდება, რადგან კედელი იშლება და ქვის ცვენა სახიფათოა. მეტი სირთულის კედლებიც დაგვიძლევია, ალბათ, ხერგიანსაც, მაგრამ მისი დაღუპვა ბედისწერა იყო. მწვერვალის ძირში ვახტანგ ონიანის შექმნილი „კლდის ვეფხვის" მემორიალი დგას. სუალტოზე რომ ავედით, მიშა ხერგიანის სულის მოსახსენებლად თითო ყლუპიც შევსვით.

**- ერთ ბრაზილიელ მეცნიერს ჩემი ნაცნობისთვის უთქვამს, ბედნიერი ხართ ქართველები, ამდენი ევერესტელი რომ გყავთ. ბრაზილია ამხელა ქვეყანაა და ჩვენგან ჯომოლუნგმაზე ერთ კაცსაც არ დაუდგამსო ფეხი...**

- მთის სიყვარული ჩვენ, ქართველებს, როგორც გითხარით, გენში გვაქვს. ალბათ, შემთხვევითი არც ის იყო, რომ საბჭოთა ალპინიზმს ქართველებმა ჩაუყარეს საფუძველი: 1923 წელს პროფესორების - გიორგი ნიკოლაძისა და ალექსანდრე დიდებულიძის ხელმძღვანელობით აგვისტო-სექტემბერში ზედიზედ ორი ექსპედიცია მოეწყო მყინვარწვერზე. იმ მთამსვლელთა შორის ხუთი ქალი გახლდათ. ორი წლის შემდეგ იმავე გიორგი ნიკოლაძის ხელმძღვანელობით განხორციელდა პირველი საბჭოური ასვლა კავკასიონის უმაღლეს მწვერვალ იალბუზზე. 60-80-იან წლებში ქართველ ალპინისტებს ყოფილ საბჭოეთში მოწინავე პოზიციები ეკავათ და არაერთი მწვერვალი დაულაშქრავთ. რაც შეეხება ევერესტის დაპყრობას, 1982 წელს იგი თბილისელ აკაკი ხერგიანს უცდია. ორჯერ ასულა 7900 მეტრზე, მაგრამ უამინდობის გამო გზის გაგრძელების უფლება არ მიუციათ. სამაგიეროდ, ცხრა წლის შემდეგ - 1991 წლის 10 აგვისტოს ქართველთაგან ევერესტს პირველი დაადგა ფეხი რომა გიუტაშვილმა სანკტ-პეტერბურგის ექსპედიციის შემადგენლობაში. 1999 წლის 12 მაისს კი ოთხმა დავლაშქრეთ ევერესტი - მე, აფი გიგანმა, ბიძინა გუჯაბიძემ და ლიოვა სარქისოვმა. მწვერვალზე სამხრეთის კედლით ავედით. ყველა მთამსვლელისთვის ეს არის ბედნიერება, რადგან ჯომოლუნგმა ოლიმპია და სიმაღლეზე ამსვლელთათვის სხვა რეკორდი არ არსებობს.

**- ბევრი წინააღმდეგობა შეგხვდათ?**

- როცა ამ სიმაღლეზე ადიხარ ქარსა და ყინვაში, თან გზად უამრავი კოლეგის გვამს ხედავ, ცხადია, ფსიქოლოგიურად დათრგუნვილი ხარ, მაგრამ გაქვს მიზანი და მის მისაღწევად არაფერს იშურებ.



5300 მეტრზე საბაზო ბანაკში ყოფნისას იტალიელი და ესპანელი კოლეგები გავიცანით. ერთ-ერთმა ეჭვით შეხედა სარქისოვს და ასაკი იკითხა. რომ გაიგო, 60 წლის იყო, შენ აპირებ ჩვენი რომან ბლანკოს რეკორდის მოხსნასო, ჰკითხა. მერე მე დამენაძლევა, თუ ეს კაცი ევერესტზე ავა და რეკორდს მოხსნის, მთელ ყუთ ვისკის ვკისრულობო. ეს იყო პირველ მაისს. ხუთი დღის შემდეგ 6100 მეტრზე ხუმბუს ყინულვარდნილზე დავეცით კარავი, მერე - 6400 და 7600 მეტრზე. ჩვენდა საბედნიეროდ, კარგი ამინდი იყო და დიდი სირთულე არ შეგვხვედრია. საიერიშო კარავი 8000 მეტრზე დავდგით. ჩვენ გარდა, კიდევ სხვადასხვა ქვეყნის 12-ოდე ალპინისტი აპირებდა მწვერვალზე ასვლას. 12 მაისს ღამის 3 საათზე გავედით ბანაკიდან. ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი. ვჩქარობდით, რომ რაც შეიძლება მალე გაგვევლო 848 მეტრი, მაგრამ 2 საათის შემდეგ ისეთი ქარი ამოვარდა, რომ ხილვადობა ჭირდა. 8500 მეტრზე ქედის ძირას გავჩერდით და ყინულოვან თოვლში სანგრები ამოვთხარეთ, რომ ქარისგან სახე დაგვეცვა. ქარი არ ჩერდებოდა. სამი ამერიკელის გარდა, ყველა ექსპედიცია საბაზო ბანაკისკენ დაეშვა. ამ დროს აფის და ბიძინას ხმა მოგვესმა - თუ არ ვიმოძრავებთ, გავიყინებითო. მე და ლიოვაც მივყევით. მალე მზეც ამოვიდა და ქარიც მიწყნარდა. შუადღისთვის მწვერვალზე ვიყავით და ჩვენი სამფეროვანი დროშაც ავაფრიალეთ. ეს ქართული ალპინიზმის დიდი გამარჯვება იყო.

**- ვისკი?**

- საბაზო ბანაკში დავბრუნდით თუ არა, იტალიელები და ესპანელები ყიჟინით შეგვხვდნენ. ლიოვა სარქისოვმა რეკორდი ერთი დღით გააუმჯობესა - ევერესტზე 60 წლისა და 162 დღისა ავიდა. ესპანელებმა მართლაც იკისრეს ვისკი, თანაც რამდენიმე ყუთი მისაყოლებლებითურთ. მეორე დღეს გაბრუებული პირენეელი ლიოვაზე მეგობრებს ეუბნებოდა - ამ კაცმა გუშინ 7 ბოთლი ( (ლაპარაკია, პატარა ბოთლებზე, ავტ.) ვისკი დალია, თანაც ჟანგბადის გამოუყენებლადო.

**- ბატონო ბენო, 2000 წელს თქვენ ლჰოცზეც დალაშქრეთ...**

- ევერესტიდან დაბრუნების შემდეგ ნეპალის პრემიერმა დაგვაჯილდოვა, მეფემ პატივით მიგვიღო, რუსეთის ელჩმა კი სუფრა გაგვიშალა. იქვე გამოითქვა მოსაზრება, ქართულ-რუსული ექსპედიციას ლჰოცზეც (8516 მ) დაელაშქრა, რასაც დავეთანხმეთ. 2000 წლის მაისში მე, აფი, ბიძინა და გელა ოთარაშვილი რუსებთან - ვინოგრადსკისთან, პერშინთან, ფოიქტსა და სოკოლოვთან ერთად ლჰოცზეს გზას დავადექით. არც ისე იოლი გამოდგა ლაშქრობა. თუ ევერესტზე ასვლისას ორ კვირაში სამი ბანაკი მოვაწყვეთ, აქ უამინდობის გამო ერთი თვე ისე გავიდა, რომ მე-3 ბანაკამდე - 7500 მეტრამდე ვერ მივაღწიეთ. 7600 მეტრზე მთელ ჰიმალაიში მარტო ჩვენ რვანი დავრჩით, რადგან მწვერვალზე ასვლას ვერავინ ბედავდა. მეორე დღეს ახალ სიმაღლეზე რომ უნდა ავსულიყავით, ღამით ზვავი ჩამოწვა და რუსების კარავი მოიყოლა. აფის, ბიძინას და გელას რომ არ ევაჟკაცათ, ოთხივენი დაიღუპებოდნენ - რამდენიმე წუთში სიკვდილს გამოსტაცეს რუსები ხელიდან. ისევ 3500 მეტრზე მდებარე ბანაკში დავბრუნდით. მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ, ძალა მოვიკრიბე თუ არა, თორმეტი რვაათასიანი მწვერვალის დამლაშქრავ პოლონელ პიოტრ პუსტელნიკთან ერთად გავუდექი მწვერვალისკენ მიმავალ გზას. თან ერთი შერპაც გვახლდა. შვიდი დღე ვებრძოდით თოვლსა და ყინვას. მაინც მივაღწიეთ მიზანს.

**- ახლა თუ ფიქრობთ მსგავსი მწვერვალების დაპყრობას?**

- წლებს თავისი მიაქვს. შვიდ და რვაათასიანებზე ვერაფერს გეტყვით. აი, კავკასიონის მწვერვალებსა და სილამაზეს კი ნამდვილად ვერ შეველევი.

**ვაჟა დანელია**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

# დიდ ცირკში ახალი სკანდალია

## მერსედესისა და პირელის საიდუმლო ტესტებმა ფორმულა 1-ში დიდი აურზაური გამოიწვია



მონაკოს გრან პრის დღეებში გაჟონა ინფორმაციამ, რომელმაც მთელი ფორმულა 1-ის სამყარო ფეხზე დააყენა: კონკურენტებმა შეიტყვეს, რომ "მერსედესმა" საბურავების მონოპოლურ მიმწოდებელ "პირელისთან" ერთად ბარსელონაში "საიდუმლო" ტესტები ჩაატარა. ეს ესპანეთის გრან პრის დასრულების შემდეგ მოხდა. ეს არ ყოფილა 100-კილომეტრიანი დისტანციის გავლა, რომელიც ნებადართულია სარეკლამო მასალის გადაღებისთვის. ტესტებზე "მერსედესმა" 1000 კილომეტრი დაფარა და ვარჯიში უამინდობის გამო სამი დღე გაიწელა – 15, 16 და 17 მაისი. ტესტებში მონაწილეობა მიიღეს გერმანული საჯინიბოს პილოტებმა – **ლუის ჰემილტონმა** და **ნიკო როსბერგმა.** მთელი უქმეების განმავლობაში ლაპარაკი სწორედ ამ ტესტებზე იყო - მეორე პლანზე გადავიდა მონაკოში როსბერგის შთამბეჭდავი ტრიუმფი.

ჰქონდათ თუ არა "პირელისა" და "მერსედესს" ტესტების ჩატარების უფლება? იმ კონტრაქტის თანახმად, რომელიც იტალიურ ბრენდს აქვს გაფორმებული, "პირელის" საბურავების გამოსაცდელად შეუძლია დახმარებისთვის მიმართოს ნებისმიერ გუნდს. და კომპანიამ ასეთი თხოვნით "მერსედესს" მიმართა. სწორედ იმ გუნდს, რომელსაც ყველაზე მეტი პრობლემა შეექმნა განვლილ რბოლებში საბურავების ცვეთასთან დაკავშირებით. ეს საჯინიბო ბევრს გაიღებდა იმისთვის, რომ ასეთი ტესტები ჩაეტარებინა და გაეუმჯობესებინა საბურავებთან მუშაობა.

ტესტები ჩატარდა ესპანეთის გრანპრის შემდეგ. შეგახსენებთ, რომ ბარსელონას ეტაპი საბურავების ძლიერი ცვეთით აღინიშნა და პილოტებს ოთხოთხი პიტსტოპის ჩატარებამ მოუწიათ. სწორედ ამ რბოლის შემდეგ მოექცა "პირელი" ყველაზე სერიოზული კრიტიკის ქარცეცხლში. თუმცა "მერსედესთან" ტესტები კრიტიკის ამ ტალღას არ უკავშირდება. როგორც გუნდში ამბობენ და როგორც ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის განცხადებიდან ვიგებთ, ტესტები ესპანეთის გრანპრიმდე დიდი ხნით ადრე იყო დაგეგმილი - ჯერ კიდევ ბაჰრეინის რბოლის შემდეგ, სადაც საბურავი ძალიან მალე გამოდიოდა მწყობრიდან.

"პირელიმ" და "მერსედესმა" მიმართეს ფედერაციას დასაზუსტებლად – შეეძლოთ თუ არა ასეთი გამოცდის ჩატარება. გერმანული საჯინიბოს წარმომადგენელი **ნიკი ლაუდა** მონტე კარლოში ყველას არწმუნებდა, რომ FIA-მ ასეთ ტესტებზე ხანქცია გასცა, თუმცა ორი დღის წინ, ფედერაციამ გაავრცელა განცხადება, სადაც ახსნა შექმნილი სიტუაცია.

მან დაადასტურა, რომ მართლაც მიიღო თხოვნის წერილი და ასე უპასუხა მას: ტესტები შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას "პირელი" გაუწევს ორგანიზებას. სინამდვილეში კი, ტესტები "მერსედესმა" ჩაატარა თავისი პერსონალითა და მოწყობილობებით. ამასთან, FIA-მ აღნიშნა, რომ ტესტებზე მიწვევა უნდა მიეღოთ დანარჩენ გუნდებსაც.

ლაუდა ჯიუტად ამტკიცებს, რომ ტესტები ლეგიტიმური იყო, რადგან **როს ბრაუნმა** პირადად დაურეკა **ჩარლი უაიტინგს** და ამ უკანასკნელმა, იურისტებთან კონსულტაციის შემდეგ, საცდელ რბოლებს მწვანე შუქი აუნთო. სხვათა შორის, ლაუდამ ისიც თქვა, რომ ტესტების ჩატარება "რედ ბულსაც" შესთავაზეს. **კრისტიან ჰორნერმა** ეს ინფორმაცია დაადასტურა და განაცხადა, რომ გუნდმა უარი უთხრა "პირელის", რადგან მიაჩნდა, რომ ეს ტესტები არ შეესაბამებოდა რეგლამენტს. საბოლოოდ, "რედ ბულმა" სავსებით სწორი და თანამიმდევრული პოზიცია დაიკავა – თავად უარი თქვა ტესტებზე და პროტესტი შეიტანა "მერსედესზე".

ფედერაციის პრესრელიზის შემდეგ ცხადი გახდა, რომ "მერსედესს" რთული დღეები ელის. "რედ ბულის" ოფიციალურ პროტესტს შეუერთდა "ფერარი" და საქმე, შესაძლოა, საერთაშორისო ტრიბუნალს გადაეცეს. სპორტული რეგლამენტის დარღვევა მკაცრად ისჯება – როგორც ფინანსური თვალსაზრისით, ასევე კონსტრუქტორთა თასზე ქულების ჩამოკლებით. სავარაუდოდ, საქმე არ მივა 100-მილიონიან ჯარიმამდე და კონსტრუქტორთა თასიდან გარიცხვამდე, როგორც 2007 წელს, "მაკლარენის" შემთხვევაში იყო, თუმცა ფედერაცია არც თითის დაქნევით შემოიფარგლება.

საინტერესოა ის, რომ "მერსედესი" ამტკიცებს: ტესტები საიდუმლო არ ყოფილა - ბარსელონაში გუნდის სატვირთო მანქანები ყველას დასანახად იდგა ავტოდრომთან და საერთოდ, "პირელის" უნდა გამოეცხადებინა ამ ვარჯიშის შესახებ. მაგრამ, როცა როს ბრაუნს პირდაპირი კითხვა დაუსვეს – რა სამუშაო ჩაატარა გუნდმა საბურავებზე ესპანეთის გრანპრის შემდეგ, მას ტესტებზე სიტყვაც არ დასცდენია (მაშინ ჯერ არ იყო გავრცელებული ინფორმაცია ტესტების შესახებ). გამოდის, ჰქონდა რაღაც დასამალი.

# მონაკო კულტჰარდის თვალით



რაიკონენისა და პერესის ორთაბრძოლა

ფორმულა 1-ის ყოფილ პილოტს, შოტლანდიელ **დევიდ კულტჰარდს** მონაკოს გრან პრი არ მოეწონა, რის შესახებაც მან გულახდილად ილაპარაკა BBC Sport-ის ვებგვერდზე.

დევიდ კულტჰარდი: *"ჩვეულებრივ, მე პირველი გამოვდივარ ფორმულა 1-ის დასაცავად. აქ არის ყველაზე მაღალი სიჩქარე, საუკეთესო მანქანები, საუკეთესო პილოტები – ეს არის ავტოსპორტის მწვერვალი. ფორმულა 1 იზიდავს მაღალი დონის პროფესიონალებს ყველა სფეროში – იქნება ეს ჟურნალისტიკა, საბანკეტო სერვისი და თუ სხვა რამ.*

*მაგრამ არ ივარგებს, თუ პილოტები თავიანთ შესაძლებლობებზე ნელა იმოძრავებენ ტრასაზე.*

*ვიღაცამ შეიძლება თქვას, რომ მსგავსი მოვლენა საკმაოდ დიდი ხანია შეიმჩნევა - ფაქტობრივად იმ მომენტიდან, როცა 2011 წელს "პირელი" გახდა ფორმულა 1-ისთვის საბურავების მიმწოდებელი. მაგრამ, პირადად მე ამას ვერ ვგრძნობდი მონაკოს გრან პრიმდე. ის, რაც მონტე კარლოში ვნახეთ, ყოველგვარ ზღვარს სცილდება და ეს ძალიან დასანანია.*

*განვლილ რბოლაში ძალიან ბევრი ავარია ვნახეთ და ყველა იმის გამო მოხდა, რომ პელოტონი იყო ძალიან მჭიდრო. ეს სრულიადაც არ აკნინებს ნიკო როსბერგის დამსახურებას – მან ყველაფერი სწორად გააკეთა და მთელი უქმეების განმავლობაში საუკეთესო იყო.*

*ხოლო ნიკოს თანაგუნდელს "მერსედესში" - ლუის ჰემილტონს შეიძლება თანავუგრძნოთ. გუნდს შეეძლო დუბლის შესრულება, მაგრამ რაღაც მიზეზით მან გზად ბოქსებისკენ დრო დაკარგა, როცა ტრასაზე უსაფრთხოების მანქანა იყო გამოსული. ამის გამო გაუშვა წინ "რედ ბულის" პილოტები.*

*სებასტიან ფეტელმა და მარკ უებერმა კარგი რბოლა ჩაატარეს, მკაცრად მიჰყვნენ ტაქტიკას და ავსტრალიელმა განსაკუთრებული ოსტატობა გამოავლინა, როცა ჰემილტონმა მისი გასწრება სცადა შიდა რადიუსით. ეს იყო პროფესიონალიზმის ნამდვილი მაგალითი.*

*მაგრამ, რბოლის რამდენიმე მონაწილეზე იმავეს ვერ ვიტყვი.*

*მანერა, რომლითაც მოძრაობდა სერხიო პერესი, კონტრასტულია უებერისა და ჰემილტონის მუშაობასთან. ის მონდომებით მიიწევდა წინ, ხშირად მიდიოდა გასწრებაზე და ფიქრობდა, რომ უნაკლო იყო, მაგრამ ყველაფერი ცუდად დასრულდა.*

*ერთი მხრივ, პერესი კარგ გასწრებებს ასრულებდა, მაგრამ ფერნანდო ალონსოსა და კიმი რაიკონენზე შეტევისას მან ისარგებლა იმით, რომ ეს პილოტები, მისგან განსხვავებით, ჩემპიონატში გამარჯვებისთვის იბრძვიან.*

*მას უნდოდა დაენახვებინა ყველასთვის, რომ ასევე ძლიერი პილოტია, მაგრამ უტევდა იმათ, ვისთვისაც აუცილებელია ყოველ გრან პრიში ქულების დაგროვება, რათა პრეტენზია გამოაცხადონ ჩემპიონატში გამარჯვებაზე. ამიტომაც, ამ ორთაბრძოლებს ტრასაზე არასამართლიანი ხასიათი ჰქონდა.*

*როცა პერესი რაიკონენს შეეჯახა, ფინელის "ლოტუსი" ტრასის შუაში იმყოფებოდა და მარცხნივ მოძრაობას აგრძელებდა, რადგან კიმის საკუთარი პოზიციის დაცვა ჰქონდა განზრახული. პერესი უნდა მიმხვდარიყო, რომ შანსი არ ჰქონდა. შეიძლება იმაზე კამათი, რომ რაიკონენს შეეძლო გვერდზე გამდგარიყო, როგორც ეს სხვებმა გააკეთეს. სერხიოს გასწრებები წარმატებით მთავრდება იმ შემთხვევაში, თუ მას დამთმობი მეტოქეები ხვდებიან ტრასაზე.*

*ზუსტად ასეთივე ფილოსოფიას მისდევდა მიხაელ შუმახერი. ის ცდილობდა დაეკავებინა პოზიცია მოსახვევის შიდა მხარეს: "მე შენ გაგასწრებ ან ერთმანეთს შევეჯახებით". ხშირ შემთხვევაში, მეტოქეები დათმობაზე მიდიოდნენ. მაგრამ ყველა ასე არ იქცევა ტრასაზე.*

*მანამ, სანამ პერესს ეს მეთოდი გასდის, ის გმირად წარმოიდგენს თავს, მაგრამ ერთხელ ფიასკოს ვერ ასცდება, როგორც ეს იყო მონაკოში, როცა რაიკონენმა არ მოისურვა მისთვის გზის დათმობა.*

*არ მინდა იმის თქმა, რომ პერესი არასწორი იყო, მაგრამ ნებისმიერი გასწრება, რომელიც წინ უძღოდა ამ სიტუაციას, შეიძლება იმავეთი დასრულებულიყო, თუ სხვა პილოტებიც ისევე მოიქცეოდნენ, როგორც ეს კიმიმ გააკეთა.*

*მაგალითად, ფერნანდო ალონსოს შეეძლო დარჩენილიყო ტრაექტორიაზე და არ მოეჭრა მოსახვევი, მაგრამ მან ოდნავ გვერდზე გადგომა არჩია პერესთან შეჯახების თავიდან ასაცილებლად. ამიტომაც, როცა მოგვიანებით ალონსოს მექსიკელისთვის პოზიციის დაბრუნება მოსთხოვეს, ჩემი აზრით, ეს მეტად მკაცრი გადაწყვეტილება იყო.*

*საერთოდაც, ალონსომ მისთვის არადამახასიათებელი ფრთხილი და მშვიდი რბოლა ჩაატარა. მომეჩვენა, თითქოს საჭის მოწყობილობის მხრივ ჰქონდა პრობლემა, რაც ხელს უშლიდა დაცვაში. მთელი რბოლა მას არა შეტევამ, არამედ დაცვამ მოუწია, რაც არადამახასიათებელია ესპანელისთვის.*

*მოგვიანებით გაირკვა, რომ ეს ნაწილობრივ ბოლიდთან დაკავშირებული პრობლემებით იყო გამოწვეული, რის გამოც შემცირდა მოჭიდების ძალა: თავიდან მისი "ფერარის" ფრთას პლასტიკური პაკეტი მიეკრა, მოგვიანებით, პიტსტოპის შემდეგ, მანქანის ძირში რაღაც ნამსხვრევი გაიჭედა.*

*ამით ნაწილობრივ აიხსნება სიჩქარის დეფიციტი, მაგრამ, საერთო ჯამში, "სკუდერია" გასულ უქმეებზე არადამაჯერებლად გამოიყურებოდა, არადა, წინა რბოლებში მეტად კონკურენტუნარიანი ჩანდა. მაგრამ ალონსოს დიდი თამაში აქვს წამოწყებული და მან საკმაოდ კარგად ჩაატარა სეზონის სტარტი.*

*ცალკე სალაპარაკო თემაა რაიკონენის თანაგუნდელი რომენ გროსჟანი. მის შესახებ ან არაფერი გვესმის ან კრიტიკის ქარცეცხლში ექცევა. მონაკოში ის ძალიან სწრაფი იყო, მაგრამ ხშირად ვერ აკონტროლებდა თავის მოქმედებებს. ერთი სარბოლო უქმეების განმავლობაში ოთხი ავარია – აბსოლუტურად დაუშვებელია.*

*არ მინდა რომენის კრიტიკა – ის სასიამოვნო ახალგაზრდა და სწრაფი პილოტია, მაგრამ ძალიან ხშირად ხვდება ავარიაში – ან თავისი მიზეზით, ან უიღბლობის გამო.*

*კარგი სიჩქარე ქველაფერს არ ნიშნავს. შენ უნდა შეგეძლოს მისი მორჯულება. ფორმულა 1-ის ისტორიაში ყოველთვის იყვნენ პოტენციურად ნიჭიერი პილოტები, მაგრამ სერიოზულ წარმატებას ვერ მიაღწიეს. თუ გროსჟანი ვერ იპოვის სწორ ბალანსს სიჩქარესა და წინდახედულობას შორის, ის ამ უიღბლოთა სიაში ჩაეწერება".*

# კიმის ყველაზე მეტი გასწრება ჰქონდა


კიმი რაიკონენი

ფინელ **კიმი რაიკონენს** მონაკოს გრან პრიზე მინიმუმ მეხუთე ადგილის დაკავების კარგი შანსი ჰქონდა, მაგრამ "მაკლარენის" პილოტის **სერხიო პერესის** ზედმეტად აგრესიულმა მოქმედებამ ის გამოიწვია, რომ მათ მანქანებს შორის მოსახვევში კონტაქტს ჰქონდა ადგილი. შედეგად, "ლოტუსის" პილოტს ბოქსებში შესვლამ მოუწია: მისი ბოლიდის უკანა საბურავი დაზიანებული იყო.

დაუგეგმავმა პიტსტოპმა ფინელი ქულების ზონის მიღმა გადააგდო და ისე ჩანდა, რომ შეწყდებოდა რაიკონენის 22-რბოლიანი სერია, რომლის დროსაც კიმი მინიმუმ ერთ ქულას მაინც იღებდა ეტაპზე. მაგრამ "ლოტუსის" წევრმა ისევ გამოამჟღავნა თავისი მაღალი კლასი: ბოლო ექვსი წრის განმავლობაში ხუთ მეტოქეს გაუსწრო - ეს საუკეთესო მაჩვენებელია 2013 წლის მონაკოს გრან პრის მონაწილეებს შორის. საბოლოოდ, რაიკონენმა მე-10 ადგილი დაიკავა და ახლა, მის ანგარიშზეა ზედიზედ 23 შედეგიანი რბოლა.

ფინურმა გაზეთმა Turun Sanomat-მა მოიყვანა საინტერესო სტატისტიკა, რითაც ვრწმუნდებით, რომ რაიკონენის გმირობა მსგავსი ხასიათის ხუთ საუკეთესო მიღწევას შორის უნდა განვიხილოთ, რომელსაც სხვადასხვა წელს გვიჩვენებდნენ მონაკოში ლეგენდარული პილოტები.

1993 წელს, ფრანგმა **ალენ პროსტმა** ფალსტარტის გამო მიიღო ჯარიმა stop-and-go, რის შემდეგაც საჩემპიონო "უილიამსის" ბოლიდით დაკარგული პოზიციების დაბრუნება დაიწყო და 12 მეტოქეს გაასწრო.

1990 წელს, ბრიტანელმა **ნაიჯელ მენსელმა** ასევე "უილიამსის" ბოლიდით ცხრა პილოტის გასწრება შეძლო.

2006 წელს, გერმანელი **მიხაელ შუმახერის** შედეგი კვალიფიკაციაში გააუქმეს, რის გამოც შუმის ბოლო ადგილიდან მოუწია სტარტის აღებამ და შვიდი პილოტი ჩამოიტოვა უკან.

კიმიმ თავისი ხუთი გასწრებით ამ რეიტინგში მეოთხე ადგილი დაიკავა. ის ამ პოზიციას იყოფს... სერხიო პერესთან, რომელმაც ფინელს კვირის რბოლა გაუფუჭა. მექსიკელმა შარშანდელ გრანპრიზე ხუთი წარმატებული მანევრი შეასრულა.

სხვათა შორის, კიმი რაიკონენი წლევანდელი ჩემპიონატის განვლილი ექვსი ეტაპის შემდეგ ლიდერობს გასწრებების რაოდენობით: მის ანგარიშზე 25 წარმატებული მანევრი მოდის.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

კალათბურთი. NBA. პლეი ოფი

# სპურსი მაიამის დაელოდება

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის წლევანდელი სეზონის პირველი ფინალისტი გახდა „სან ანტონიო სპურსი“. ტექსასელთა „დიდი ტრიოს“ ასაკმა ხელი ვერ შეუშალა **ტიმ დანკანს, ტონი პარკერსა** და **მანუ ჯინობილის** გადამწყვეტ სერიაში თამაშის უფლება მოეპოვებინათ. ახლა, ისინი ფინალში „მაიამის“ „დიდ ტრიოს“ ელიან, მაგრამ სანამ ეს მოხდება, „სპურსმა“ სეზონის ბოლო სერიისთვის დასასვენებლად საკმარისზე მეტი დრო მიიღო.

„მემფისთან“ სერიის ბოლო მატჩმა კარგად გამოაჩინა „სან ანტონიოს“ უპირატესობა „გრიზლისზე“. „დათვები“ მთელი პლეი ოფის განმავლობაში სოლიდურად გამოიყურებოდნენ, ფინალამდე დაამარცხეს ძლიერი „კლიპერსი“ და საჩემპიონო ამბიციების მქონე „ოკლაჰომა“. „სან ანტონიოსთან“ დაპირისპირებაში ისინი აუტსაიდერებად მიიჩნეოდნენ, მაგრამ სერიაში 0:4-ს არავინ ელოდა.

ბრწყინვალე იყო გუშინდელ მატჩში **ტონი პარკერი**, რომელსაც ხელი არც მაშინ შეეშალა, როცა **მარკ გასოლის** თითი მოხვდა თვალში და მეოთხე მეოთხედში დროებით მოედნის მიტოვებამ მოუწია. „მემფისის“ ესპანელმა ცენტრმა მეტოქეს შემთხვევით მოარტყა ხელი სახეში, მოგვიანებით კი საკუთარი გუნდის სათადარიგოთა სკამთან მუშტი დაუშინა სარეკლამო ბანერს: საკუთარი უმწეობის გამო, „მემფისის“ კალათბურთელები ემოციებს ვერ თოკავდნენ. ამ მხრივ, ყველაზე შორს **ჯარედ ბეილესი** წავიდა, რომელმაც კინაღამ ხელჩართული ჩხუბი გაუმართა საკუთარი მთავარ მწვრთნელს **ლაიონელ ჰოლინზს!**



გასოლისგან დაზარალებული პარკერი

ბოლოსკენ „მემფისმა“ სცადა მატჩის გადარჩენა, მაგრამ რეალური შანსი მაინც ვერ მიიღო. სხვაობა სამ ქულამდე შემცირდა, თუმცა ეს იყო მაქსიმუმი, რასაც მასპინძლებმა მიაღწიეს. ყველაზე გასაკვირი ის არის, რომ „გრიზლისმა“ პირწმინდად წააგო იმ გუნდთან, რომელიც დიდად არ შეცვლილა 2004 წლის შემდეგ, როცა „სპურსმა“ „მემფისს“ ასეთივე ანგარიშით მოუგო - 4:0. დრო მიდის, იცვლება ყველაფერი... დანკანის, პარკერის, ჯინობილისა და პოპოვიჩის გარდა.

„სპურსის“ წინა ხაზმა ბრწყინვალედ ითამაშა, იმ დროს, როცა მთლიანად ჩააგდო სერია **ზაკ რენდოლფმა**. გუშინდელ მატჩში ტექსასელებმა სამწამიანიდან 52 ქულა ჩააგდეს (მეტოქემ - 32 ქულა), აგრეთვე უპირატესობას მიაღწიეს მოხსნებში - 41:34. თამაშიდან 51-პროცენტიანი სიზუსტეც „სან ანტონიოს“ უპირატესობის მაჩვენებელია, „მემფისის“ რიგებში კი 50-პროცენტიანი ზღვარი მხოლოდ ერთმა კალათბურთელმა გადალახა - სათადარიგო **ქუინსი პონდექსტერმა**, რომელმაც მეორე ტაიმში 18 ქულა დააგროვა.

ბოლო შტურმი „დათვებმა“ ბოლოსკენ მოაწყვეს: გასოლის ზუსტი ტყორცნის შემდეგ, 48.7 წამით ადრე ანგარიში გახდა 86:89. მაგრამ ამას მოჰყვა პარკერის ზედიზედ ოთხი ზუსტი საჯარიმო და ამით ყველაფერი დასრულდა.

**მემფისი-სან ანტონიო 86:93**

**14:24, 24:20, 28:28, 20:21**

**მ**: პონდექსტერი (22), გასოლი (14+5 პასი+5 მოხსნა+3 დაფარება), რენდოლფი (13+8 მოხსნა).

**ს-ა**: პარკერი (37+6 პასი), დანკანი (15+8 მოხსნა+4 დაფარება), ლეონარდი (11+6 მოხსნა+5 ჩაჭრა).

**სერია**: 0-4

ჰოკეი. NHL. პლეი ოფი

# აქაც შვიდ მატჩამდე გაიწელა

სერიის მეხუთე მატჩის მოგების შემდეგ, “ჩიკაგომ” ფსიქოლოგიური უპირატესობა მოიპოვა “დეტროიტზე”, თუმცა “რედ უინგზის” მოთამაშეებს არ ჰქონდათ მეშვიდე მატჩის ჩიკაგოში ჩატარების სურვილი, ამიტომაც გუშინ დიდი ბრძოლის გამართვას აპირებდნენ სერიის სასურველი ანგარიშით დასასრულებლად.

მატჩის წინ, დეტროიტელი ჰოკეისტები მოკრძალებულად მიანიშნებდნენ იმის შესახებ, რომ მსაჯები ჩიკაგოელებს ზედმეტის საშუალებას აძლევენ. ისე მოხდა, რომ მსაჯების გადაწყვეტილებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მეექვსე მატჩის საბოლოო შედეგზე. ლაპარაკია ბულიტზე „დეტროიტის“ კარში, რამაც დიდი კამათი გამოიწვია.

პირველად „ჩიკაგოს“ მსაჯის გადაწყვეტილების მხრივ მეოთხე წუთზე გაუმართლა, როცა **მარიან ჰოსამ** რიცხობრივ უპირატესობაში გოლი მის მიერვე დაძრულ კარში გაიტანა. ეპიზოდი საკამათო იყო და ვიდეოარბიტრს შეეძლო ვერდიქტი როგორც ერთი, ასევე მეორე მხარის სასარგებლოდ გამოეტანა, მაგრამ, საბოლოოდ, სლოვაკის გოლი ჩაითვალა.

მეორე საკამათო მომენტს მესამე პერიოდის სტარტზე ჰქონდა ადგილი: **ტეივზმა** ცენტრალური ზონიდან მაშინ მიიღო შაიბა, როცა ორივე ფეხით მეტოქის ზონაში იყო, მაგრამ თამაშგარე არ დაფიქსირდა, რამდენიმე წამში კი სტუმრებმა მესამე გოლი გაიტანეს. NHL-მ ოფიციალურად ახსნა, რომ „დეტროიტის“ ზონაში შაიბა „რედ უინგზის“ ფორვარდისგან **იოჰან ფრანცენისგან** შევარდა, ამიტომაც, იმ მომენტში თამაშგარე ვერ იქნებოდა.

კულმინაცია გახდა ეპიზოდი მესამე პერიოდის მეათე წუთზე, როცა „დეტროიტის“ კარში ბულიტი დაინიშნა. „რედ უინგზის“ მცველმა **კარლო კოლაიაკოვომ** მართლაც ჩაარტყა ჯოხი ხელში ერთი ერთზე გაჭრილ **მიხალ ფროლიკს**, მაგრამ ძალიან საეჭვო და მკაცრი სასჯელი იყო ასეთი ჯარიმისთვის ბულიტის დანიშვნა. პლეი ოფში არბიტრები ასეთ სიტუაციაში, ჩვეულებრივ, ორწუთიანი ჯარიმით შემოიფარგლებიან, ხანდახან კი საერთოდ თვალს ხუჭავენ. მიუხედავად ამისა, ბულიტი დაინიშნა და „ჩიკაგომ“ ეს შანსი გამოიყენა. სწორედ ეს გოლი გახდა „ჩიკაგოსთვის“ გამარჯვების.

ფროლიკი გახდა პირველი მოთამაშე NHL-ის ისტორიაში, ვინც ორჯერ შეძლო პლეი ოფის მატჩებში ბულიტის გამოყენება. პირველად მან ეს 2011 წლის აპრილში, „ვანკუვერთან“ პირველი წრის სერიის მეექვსე მატჩში გააკეთა.

ასე რომ, აღმოსავლეთის კონფერენციის ფინალი „ბოსტონსა“ და „პიტსბურგს“ შორის 30 მაისამდე არ დაიწყება, რადგან დასავლეთში ორივე ნახევარფინალი შვიდ მატჩამდე გაიწელა.

**დეტროიტი-ჩიკაგო 3:4**

**1:1, 1:0, 1:3**

**გოლები**: 0:1 მარიან ჰოსა-5 (ტეივზი-4, კიტი-8), 1:1 ივზი-1 (დ. მილერი-1, ბ. სმიტი-3), 2:1 ანდერსონი-1 (კინდლი-4), 2:2 ჰანზუში-1 (ჰიალმარსონი-3), 2:3 ბიკელი-5 (ტეივზი-5, მარიან ჰოსა-5), 2:4 ფროლიკი-3 (ბულიტი), 3:4 ბრუნერი-5 (დაციუკი-6, ქლირი-5).

**სერია**: 3-3

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**



ჩიკაგომ ანგარიში გაათანაბრა

ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| თურქეთი-ლატვია | 3:3 |
| **ტულონის ტურნირი** | |
| **UNDER 21** | |
| კოლუმბია-კორეა | 1:0 |
| საფრანგეთი-აშშ | 4:1 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა. პლეი ოფი** | |
| დინამო-ოსნაბრიუკი | 2:0 (0:1) |
| **ირლანდია** | |
| სლიგო-დანდალკი | 0:1 |
| სტ. პატსი-უნივერსიტი | 5:0 |
| **შვედეთი** | |
| სირიანსკა-გეფლე | 2:2 |
| **რუმინეთი** | |
| სტიაუა-ბრაშოვი | 4:0 |
| ოცელული-დინამო | 0:1 |
| **კალათბურთი** | |
| **იტალია** | |
| ვარეზე-მონტეპასკი | 64:62 |
| **ესპანეთი** | |
| ვალენსია-სარაგოსა | 77:83 |
| კახა ლაბორალი-გრან კანარია | 66:72 |
| ბარსელონა-ბილბაო | 79:70 |
| **თურქეთი** | |
| ეფესი-ბანვითი | 76:78 |

TV პროგრამა

**29 მაისი. ოთხშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. დორტმუნდი-ბაიერნი. ლონდონი. ინგლისი.
**13:00** მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
**14:00** გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ჰოფენჰაიმი.
**16:00** არგენტინის ჩემპიონატი. ნიუელსი-ბოკა ხუნიორსი.
**18:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOT-BRAZIL.
**18:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ნორვიჩი.
**21:00** არგენტინის ჩემპიონატი. XV ტურის მიმოხილვა.
**22:00** ევროპის ლიგა. ფინალი. ბენფიკა-ჩელსი. ამსტერდამი. ჰოლანდია.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. რივერ პლეიტი-რაფაელა.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. ინდიანა-მაიამი. IV მატჩი.
**15:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. პლეი ოფი. ჰოფენჰაიმი-კაიზერსლაუტერნი. I მატჩი.
**17:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ედინბურგი-სარასენი.
**19:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** კალათბურთი. ევროლიგა. ჩემპიონის გზა. ეფესი-ოლიმპიაკოსი.
**22:00** მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. ლოს ანჯელეს ლეიკერსი. 2008-09 წლები. I ნაწილი.
**23:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. ინდიანა-მაიამი. IV მატჩი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ფინალი. რაფაელ ნადალი-სტანისლას ვავრინკა. მადრიდი. ესპანეთი.
**12:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მადრიდი. ესპანეთი. მიმოხილვა.
**13:00** სპორტ-NEWS.
**13:30** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ფინალი. კლერმონი - ტულონი
**15:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. სან ანტონიო-დალასი.
**17:00** სპორტ-NEWS.
**17:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. რომა. იტალია.
**20:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ინდიანა-ლეიკერსი.
**22:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. რომა. იტალია.

ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 16 | 27 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 14 | 27 | (მცირე წვიმა) |
| ბათუმი | 16 | 25 | (მზე) |
| ფოთი | 15 | 26 | (მზე) |
| ზუგდიდი | 14 | 26 | (ხანმოკლე წვიმა) |
| გორი | 12 | 27 | (მცირე წვიმა) |
| თელავი | 15 | 25 | (მცირე წვიმა) |
| სიღნაღი | 13 | 23 | (მცირე წვიმა) |
| ბაკურიანი | 5 | 20 | (მცირე წვიმა) |
| ბორჯომი | 8 | 25 | (მცირე წვიმა) |
| მესტია | 7 | 22 | (ხანმოკლე წვიმა) |

ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1226 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6419 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.4807 |
| 100 რუსული რუბლი | 5.2326 |

კალათბურთი

## ადმირალი FIBA-მ დააფასა

ამერიკის ნაკრებისა და “სან ანტონიო სპურსის” ლეგენდარული ცენტრი **დევიდ რობინსონი** და ავსტრალიელი ფორვარდი **ენდრიუ გეიზი** იმ ექვს მოთამაშეს შორის მოხვდნენ, რომლებსაც კალათბურთის საერთაშორისო ფედერაცია დიდების დარბაზში შეიყვანს, - იტყობინება ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდი.

წელს, საერთო ჯამში FIBA-ს დიდების დარბაზს 12 ადამიანი შეავსებს. მათ შორის ექვსი კალათბურთელია: ამერიკელები რობინსონი და **ტერეზა ედვარდსი**, ავსტრალიელი გეიზი, ბრაზილიელი **პაულა გონსალვეში**, ანგოლელი **ჟან-ჟაკ კონსეისაო** და სერბი **ზორან სლავნიჩი**. სიაშია სამი მწვრთნელი: კანადელი **ჯონ დონაჰიუ**, იტალიელი **ჩეზარე რუბინი** და ამერიკელი **პეტ სამიტი**. ორი მსაჯი: ბულგარელი **ვალენტინ ლაზაროვი** და ბერძენი **კოსტას რიგასი**. და კიდევ, იტალიელი ფუნქციონერი **ალდო ვიტალე**.

## ტეოდოშიჩი ევრობასკეტს გამოტოვებს?

მოსკოვის ცსკა-ს გამთამაშებელმა **მილოშ ტეოდოშიჩმა** VTB-ის ერთიანი ლიგის ნახევარფინალურ სერიაში “ხიმკის” წინააღმდეგ ტრავმა მიიღო. დაზიანება სერიოზული აღმოჩნდა, რადგან სერბ კალათბურთელს ოპერაცია ესაჭიროება.

“ეს სერიოზული დანაკარგია ჩვენთვის. მან ფეხის კუნთი გაიწყვიტა, - განაცხადა ცსკა-ს პრეზიდენტმა **ანდრეი ვატუტინმა**. – ტეოდოშიჩს აუცილებლად ოპერაცია ესაჭიროება. ასეთი ტრავმის დროს, როგორც წესი, მკურნალობას ორი-ოთხი თვე სჭირდება. ახალი მოთამაშის დამატება არ შეგვიძლია, ამიტომაც ამ დანაკარგს საკუთარი რეზერვის ხარჯზე შევავსებთ”.

ჯერჯერობით უცნობია, შეძლებს თუ არა ტეოდოშიჩი 2013 წლის ევრობასკეტზე თამაშს, რომელიც სექტემბერში გაიმართება.

## რეალი სპლიტერს უმიზნებს

ვებგვერდ Hoopshype-ს ინფორმაციის თანახმად, ევროლიგის წლევანდელი ფინალისტი მადრიდის “რეალი” ეცდება “სან ანტონიო სპურსიდან” გადაიბიროს ბრაზილიელი ცენტრი **ტიაგო სპლიტერი**. როგორც ერთ-ერთი წყარო ამტკიცებს, სამეფო კლუბისთვის წლევანდელ ზაფხულს სწორედ ამ ტრანსფერის განხორციელებაა უპირველესი მიზანი.

სპლიტერის გარდა, “რეალი” ინტერესს გამოთქვამს პოლონელი ცენტრის **მაცეი ლამპესა** და ესპანეთის მოქალაქეობის მქონე 20 წლის ბრაზილიელის, **ლუკაშ ნოგეირას** მიმართ, რომელმაც თავისი კანდიდატურა წამოაყენა NBA-ს 2013 წლის დრაფტზე.

## შარლოტმა მწვრთნელი იპოვა

როგორც ჩანს, ახალი სეზონისთვის მწვრთნელი იპოვა “შარლოტ ბობკეტსმა”, რომლის მფლობელიც გახლავთ ლეგენდარული **მაიკლ ჯორდანი**. კლუბის წინადადება მიიღო “ლოს ანჯელეს ლეიკერსის” მთავარი მწვრთნელის ასისტენტმა **სტივ კლიფორდმა**. როგორც ამერიკული პრესა იუწყება, კონტრაქტი უახლოეს დღეებში გაფორმდება.

შეგახსენებთ, რომ “ბობკეტსის” მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე კანდიდატებად განიხილებოდნენ **კელვინ სემპსონი, ელსტონ ტერნერი, ნეიტ ტიბეტსი** და **ელვინ ჯენტრი**.

ეროვნული

ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა


ნოვაკ ჯოკოვიჩი

# წვიმიანი უინტერესო დღე

პარიზში გაგრძელდა საფრანგეთის ღია პირველობა. გუშინ, იქ არასრულფასოვანი სათამაშო დღე შედგა - საქმეში წვიმა ჩაერია და ამის გამო, პირველი წრის დასრულება არ მოხერხდა.

მესამე დღიდან ჩაება ბრძოლაში მსოფლიოს პირველი ჩოგანი **ნოვაკ ჯოკოვიჩი**. მართალია, **რაფაელ ნადალის** მსგავსად სერბს სეტი არ წაუგია, მაგრამ მაინც რთული ბრძოლის გადატანამ მოუწია ბელგიელი **დავიდ გოფენის** წინააღმდეგ. შეგახსენებთ, რომ ეს ის ჩოგბურთელია, რომელიც შარშან, როლან გაროსზე მერვედფინალში გავიდა და იქ ერთი სეტი მოუგო **როჯერ ფედერერს**.

პირველ სეტში მეტოქეებს ბრეიკის მცირე შანსი ჰქონდათ და საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა, სადაც გოფენი 4:3-ს იგებდა, მაგრამ 5:5-ზე ორმაგი შეცდომა დაუშვა და სეტბოლი აჩუქა მეტოქეს, რომელიც ჯოკოვიჩმა გამოიყენა.

მეორე პარტიაში გოფენმა მატჩში ერთადერთი ბრეიკი გააკეთა და 2:4-დან გაათანაბრა ანგარიში. აქაც თითქოს ტაი-ბრეიკი უნდა დანიშნულიყო, მაგრამ ბელგიელმა მეცხრე გეიმში 40:0-დან წააგო საკუთარი მოწოდება და ჯოკოვიჩმა შანსი ხელიდან არ გაუშვა.

რაც შეეხება მესამე სეტს, აქ ჯოკოვიჩმა 5:5-ზე გააკეთა გადამწყვეტი ბრეიკი, თუმცა გოფენმა მაინც ბოლომდე იბრძოლა და 5:6-ზე ორმაგი ბრეიკპოინტი მოიპოვა, მაგრამ ნოვაკმა გადაარჩინა გეიმი და მეორე წრის საგზური მოიპოვა. აქ მისი მეტოქე არგენტინელი **გვიდო პეია** იქნება.

შეგახსენებთ, რომ ჯოკოვიჩმა წელს ორი მასტერსი ჩაგდო - მაიამიში წააგო **ტომი ჰაასთან** და მადრიდში დამარცხდა **გრიგორ დიმიტროვთან**. გუშინ ამ ჩოგბურთელებმა იოლად მოიგეს თავიანთი მატჩები. ჰაასი უაილდ-ქარდის მფლობელ **გიიომ რუფენს** ხვდებოდა. 35 წლის ვეტერანმა დამაჯერებელი თამაში აჩვენა - მან ბადესთან 15-დან 12 ქულა აიღო და მხოლოდ ერთხელ დათმო საკუთარი მოწოდება.

ჰაასის შემდეგი მეტოქე ამერიკელი **ჯეკ სოკი** იქნება, რომელმაც მოულოდნელად საკმაოდ იოლად დაამარცხა გრუნტის კორტზე თამაშის ოსტატი **გილერმო გარსია-ლოპესი**. 118-ე ჩოგანი სოკი ძალიან კარგად თამაშობდა მილებაზე და 13 ბრეიკ-პოინტიდან შვიდი გამოიყენა, რამაც გადაწყვიტა მატჩის ბედი.

რაც შეეხება გრიგორ დიმიტროვს, მან თითქმის უბრძოლველად გაიარა პირველი წრე - პირველი სეტი მოუგო კოლუმბიელ **ალეხანდრო ფალას**, რის შემდეგაც, ამ უკანასკნელმა ტრავმის გამო თამაში მიატოვა.

სხვათა შორის, თუ ჯოკოვიჩი და დიმიტროვი მეორე რაუნდს გაივლიან, მესამე რაუნდში მათი შეხვედრაა მოსალოდნელი.

■ ■ ■

გუშინ, ქალებს შორის 12 შეხვედრა მეორე დღისთვის გადაიდო, ძირითადად ფავორიტთა თამაშები. ამიტომაც, ქალების ბადეში განსაკუთრებულად საინტერესო მატჩები არ ყოფილა.

გარკვეულ ბრძოლას ელოდნენ ავსტრალიელ **სამანტა სტოსურსა** და იაპონელ **კიმიკო დატეს** შორის. ამ სეზონში, სტოსური არც ისე კარგ ფორმას აჩვენებს და ჯერ არც ერთი ტურნირის ნახევარფინალში არ გასულა, მაგრამ გუშინ, სამანტა შესანიშნავად თამაშობდა. 42 წლის დატემ პირველი გეიმი მაშინ აიღო, როცა ავსტრალიელი 6:0, 3:0 იყო დაწინაურებული. ეს მატჩი წვიმის გამო ორსაათნახევრით შეწყდა, მაგრამ ამ პაუზამ დატეს ვერ უშველა და 0:6, 2:6 დამარცხდა.

ქალებს შორის კიდევ ერთი საინტერესო მატჩი იყო ფრანგ **მარიონ ბარტოლისა** და ბელარუს **ოლგა გოვორცოვას** შორის. სტოსურისა არ იყოს, ბოლო პერიოდში ბარტოლიც ვერ ბრწყინავს, რაც გუშინდელ მატჩშიც დადასტურდა. მე-13 ნომრად განთესილ ფრანგს სამი საათი დასჭირდა მეორე წრის საგზურის მოსაპოვებლად.

ბარტოლიმ პრაქტიკულად წაგებული მატჩი გადაარჩინა. ბოლო სეტში ბელარუსი 5:3-ს იგებდა, მატჩზე აწვდიდა და 40:15-ზე ორმაგი მატჩბოლი ჰქონდა. და აქ მასპინძელმა სასწაული მოახდინა - მან ეს გეიმი გადაარჩინა, კიდევ სამი მოგებული გეიმი დაუმატა და მესამე სეტი 7:5 მოიგო.

## I წრე

### კაცები

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1)**-დავიდ გოფენი (ბელ) 7:6(5), 6:4, 7:5; **გვიდო პეია (არგ)**-ივან დოდიგი (ხორ) 4:6, 6:4, 6:3, 2:6, 12:10; **ლუკას პუიე (საფ)**-ალექს კუზნეცოვი (აშშ) 6:1, 7:6(2), 6:2; **გრიგორ დიმიტროვი (ბულ, 26)**-ალეხანდრო ფალა (კოლ) 6:4, 1:0; **დმიტრი ტურსუნოვი (რუს)**-ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ, 22) 7:6(7), 6:4, 7:6(7); **ვიქტორ ჰანესკუ (რუმ)**-ბერნარდ დომიჩი (ავსტრა) 7:5, 7:6(8), 2:1 უარი; **იენ-ჰსუნ ლუ (ტაივ)**-სიმონე ბოლელი (იტა) 6:4, 6:4, 2:1 უარი; **ფილიპ კოლშრაიბერი (გერ, 16)**-ირჟი ვესელი (ჩეხ) 7:6(3), 1:6, 7:5, 6:2; **ტომი ჰაასი (გერ, 12)**-გიიომ რუფენი (საფ) 7:6(4), 6:1, 6:3; **ჯეკ სოკი (აშშ)**-გილერმო გარსია ლოპესი (ესპ) 6:2, 6:2, 7:5; **მიხაილ იუჟნი (რუს, 29)**-პაბლო ანდუხარი (ესპ) 4:6, 6:4, 6:2, 6:3; **ფედერიკო დელბონისი (არგ)**-იულიან რაისტერი (გერ) 6:7(2), 6:1, 6:0, 6:4; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ)**-მარკ ჟიკელი (საფ) 6:2, 6:3, 6:1; **სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 9)**-ტიემო დე ბაკერი (ჰოლ) 7:5, 6:3, 6:7(1), 7:5; **დენის ისტორმინი (უზბ)**-ფლორიან მაიერი (გერ, 28) 4:6, 6:3, 7:5 უარი; **ნიკოლაი დავიდენკო (რუს)**-ფლორან სერა (საფ) 6:3, 6:4, 7:5.

### ქალები

**იაროსლავა შვედოვა (ყაზ, 27)**-კოკო ვანდევეგე (აშშ) 6:0, 3:6, 6:2; **მარიონ ბარტოლი (საფ, 13)**-ოლგა გოვორცოვა (ბლრ) 7:6(8), 4:6, 7:5; **მარიანა დუკე-მარინო (კოლ)**-კრისტინა პლიშკოვა (ჩეხ) 6:2, 6:0; **ალიზ კორნე (საფ, 31)**-მარია ჟოაო კოლერი (პორ) 7:5, 6:2; **სილვია სოლერ-ესპინოსა (ესპ)**-ირინა-კამელია ბეგუ (რუმ) 6:3, 6:2; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 18)**-დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) 6:4, 7:6(7); **კრისტინა მლადენოვიჩი (საფ)**-ლორენ დევისი (აშშ) 6:0, 7:5; **სამანტა სტოსური (ავსტრა, 9)**-კიმიკო დატე (იაპ) 6:0, 6:2; **დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ, 16)**-ლესია ცურენკო (უკრ) 6:1, 6:4; **მარინა ერაკოვიჩი (ა. ზელ)**-ელენა ბალტაჩა (ბრიტ) 6:3, 6:0.

ოლიმპიზმი

# ბუბკას კანდიდატურა

ჭოკით ხტომაში მსოფლიოს რეკორდსმენმა, ლეგენდარულმა უკრაინელმა მძლეოსანმა **სერგეი ბუბკამ** თავისი კანდიდატურა წამოაყენა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის პოსტზე. ეს ინფორმაცია სააგენტო AP-მ გაავრცელა კომიტეტში ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით. ოფიციალურად ბუბკას მიერ საკუთარი კანდიდატურის წამოყენების შესახებ ჯერ არ გამოცხადებულა. 49 წლის ბუბკა მეექვსე კანდიდატია სოკ-ის პრეზიდენტის თანამდებობაზე.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის პოსტი ვაკანტური 2013 წლის სექტემბრის შემდეგ გახდება, როცა თანამდებობას დატოვებს ბელგიელი **ჟაკ როგე**. ორგანიზაციის ახალი ხელმძღვანელის არჩევნები 10 სექტემბერს, ბუენოს აირესში გამართება.

უფრო ადრე, სოკ-ის პრეზიდენტობაზე თავიანთი კანდიდატურები წამოაყენეს კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტებმა – გერმანელმა **ტომას ბახმა** და სინგაპურელმა **სერ მიანგ ნგმა**, სამოყვარულო კრივის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტმა, ტაივანელმა **კუო ვუ ჩინმა**, სოკ-ის ფინანსური კომისიის თავმჯდომარემ, პუერტორიკოელმა **რიჩარდ კერიონმა** და ნიჩბოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა, შვეიცარიელმა **დენის ოსვალდმა**.

ბუბკა ოთხი ოლიმპიადის მონაწილეა. 1988 წლის თამაშებზე მან ოქროს მედალი მოიგო ჭოკით ხტომაში. თავისი კარიერის განმავლობაში უკრაინელმა 35-ჯერ დაამყარა მსოფლიოს რეკორდი და დღემდე ინარჩუნებს ყველა დროის საუკეთესო შედეგს – 6 მეტრი და 14 სანტიმეტრი.

ბუბკა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრია 1999 წლიდან, სოკ-ის ალმასკომში შეიყვანეს 2000 წელს. 2005 წლიდან ბუბკა სათავეში უდგას უკრაინის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს. ის ერთ-ერთი მთავარი კანდიდატია მძლეოსნობის ფედერაციათა საერთაშორისო ასოციაციის (IAAF) პრეზიდენტის პოსტზე. ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელის არჩევნები 2015 წელს უნდა გაიმართოს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


სერგეი ბუბკა




დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.**
*ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:* ***ირაკლი თავაძე***

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:00
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608